

**თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ საქმეების
ანალიზი საქართველოს ეროვნულ სასამართლო
პრაქტიკაში**

(საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ დონეზე)

სახელმძღვანელო

საქართველოს უზენაესი სასამართლო

კვლევისა და ანალიზის ცენტრი

თბილისი

2020



კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ანალიტიკური განყოფილების
კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

ავტორი და მთავარი რედაქტორი

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ავტორები

ნათია ჯუღელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და
ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

ელენე ღვინჯილია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და
ანალიზის ცენტრის უფროსი კონსულტანტი

რედაქტორი

ნინო ძიბიგური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში.

საერთაშორისო დაცვაზე მოთხოვნასთან მიმართებით, დამოუკიდებელ მართლმსაჯულების სისტემას ენიჭება ფუნდამენტური როლი განმარტოს ეროვნული კანონმდებლობა ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრა ამ სფეროსთვის დამახასიათებელი ყველა მნიშვნელოვანი ტერმინი და პროცედურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ახალი საკანონმდებლო რეგულაციების ფონზე საერთო სასამართლოების პრაქტიკის განვითარება და თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვის შეფასება. ამდენად, ნაშრომში ვრცლად არის მიმოხილული ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტები და მათი ასახვის პრაქტიკა საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

კვლევაში ეროვნული სასამართლო პრაქტიკის თვალსაჩინოებისთვის უხვად არის ციტირებული „საუკეთესო პრაქტიკიდან“ შესაბამისი ამონარიდები.

კვლევაში ნათლად არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც გამოიკვეთა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, ამასთან იდენტიფიცირებული გამოწვევების კვლადაკვალ ამგვარი კატეგორიის საქმეებზე სამართალწარმოების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები. დამატებით, კვლევაში უხვად არის წარმოდგენილი მოსამართლეებისთვის საკითხის სწორად და მარტივად შეფასებისთვის საჭირო შესაბამისი თემატური საკონტროლო სიები (checklists).

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს დამხმარე მასალას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. ვფიქრობთ, კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, ასევე, ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

გვსურს, გულითადი მადლობა გადაუხადოთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობას საქართველოში ნაყოფიერი თანამშრომლობისა და წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

Analysis on Asylum-related Cases in Georgian National Judicial Practice

(Application of International standards at the national level)

Handbook

THE SUPREME COURT OF GEORGIA
THE RESEARCH AND ANALYSIS CENTRE

TBILISI

2020



The Research was conducted by Research and Analysis Centre
Analytical Department
The Supreme Court of Georgia

Author and Chief Editor

Prof. Dr. Marina Kvachadze
The Head of Analytical Department

Authors

Natia Jugeli

Chief Consultant of Research and Analysis Centre

Elene Gvinjilia

Senior Consultant of Research and Analysis Centre

Style Editor

Dr. Nino Dzidziguri

Consultant of the Supreme Court

Preface

This Study "Analysis on Asylum-related Cases in National Judicial Practice (Application of International standards at the national level) " has been prepared within the Research and Analysis center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia with close cooperation with UNHCR representation in Georgia.

In international protection, an independent justice system plays a fundamental role of interpreting the national legislation in consistency with international instruments on refugee protection. In this regard, it should be noted that in order to bring the legislative framework in line with international standards, in 2016 the Parliament of Georgia adopted a new law on "International Protection", which clearly defines all the important terms and procedures specific to this area.

This research is aimed at evaluating application of international standards by domestic courts in asylum cases, in particular, the manner in which the national courts invoke the relevant international legal instruments and standards in adjudicating such type of cases. To achieve this goal, the document studies and analyzes asylum cases examined by the Common Courts of Georgia.

In view of the foregoing, the purpose of the study is to illustrate the development of common courts' practice in line with the new legislative regulations. Thus, the research shines a light on such cases, which illustrates great examples of the appropriate application of above-mentioned standards through quoting relevant excerpts from the judgments, giving a greater level of clarity to the necessity of their application in the particular case. In addition to this, the research includes the trends identified during the study process.

The study outlines major findings relative to the practices of Georgian courts. Alongside the challenges identified, it offers recommendations on how to improve legal proceedings in asylum cases based on UNHCR's guidelines and handbooks. Finally, the study contains a plenty of thematic checklists to help judges accurately and easily assess relevant issues.

We firmly believe that this study will be of particular importance not only to people working in the Judiciary, but for the academics, students and all the other persons interested in human rights issues.

We would like to express our sincere gratitude to the UNHCR representation in Georgia for the fruitful cooperation and technical assistance provided in publishing the study.



კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფიციალურ პოზიციას. კვლევის გამოქვეყნება დაფინანსებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში.

სარჩევი

.....	8
აბრევიატურა.....	9
შესავალი.....	11
საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პროცედურა.....	15
საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში.....	21
სანდოობის ანალიზი.....	21
წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ანალიზი.....	36
დევნა და დევნის განმახორციელებელი სუბიექტები.....	48
დევნა.....	48
დევნის განმახორციელებელი სუბიექტები.....	68
დაცვის განმახორციელებელი სუბიექტები და შიდა გადაადგილების ალტერნატივა.....	72
დაცვის განმახორციელებელი სუბიექტები.....	72
შიდა გადაადგილების ალტერნატივა.....	78
კონტრაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინების სასამართლო პრაქტიკა.....	87
სასამართლო პრაქტიკა კონტრაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.....	Error! Bookmark not defined.
საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფ პირთა საქმეების ანალიზი.....	104
დასკვნა.....	126

აბრევიატურა

აშშ ლტოლვილთა კონვენცია	ამერიკის შეერთებული შტატები კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (1951წ.), ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია მისი 1967 წლის ოქმით [ევროკავშირის თავშესაფრის სამართალში მას ეწოდება „ჟენევის კონვენცია“]
ACCORD	წარმოშობის ქვეყნების და თავშესაფრის კვლევისა და დოკუმენტაციის ავსტრიული ცენტრი
CJEU	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
EASO	თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ევროპული ბიურო
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
IARLJ	ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია
QD	ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/83/EC იმ მინიმალური მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მესამე ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომ ისინი ჩაითვალოს ლტოლვილებად ან სხვა საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირებად და მათი სტატუსის შესახებ, აგრეთვე ასეთი დაცვის შინაარსის შესახებ
QD (ცვლილებებით)	ევროკავშირის პარლამენტის და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა 2011/95/EU მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების, ლტოლვილებისა და სუბსიდიარული დაცვის მიმღები პირების ერთიანი სტატუსის და მინიჭებული დაცვის შინაარსის

UKIAT

UKUT

UNHCR

მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ
(ცვლილებებით)

დიდი ბრიტანეთის ტრიბუნალი
იმიგრაციის და თავშესაფრის
საქმეებზე

დიდი ბრიტანეთის ზემდგომი
ტრიბუნალი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი
კომისარიატი

შესავალი

მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება თავშესაფრის მაძიებელ პირთა რაოდენობა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ყოველწლიურად მზარდია იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც იძულებით ტოვებენ თავიანთ წარმოშობის ქვეყანას დევნის, შეიარაღებული კონფლიქტების, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების ან სერიოზული ზიანის სხვა ფორმების შედეგად. UNHCR-ის მონაცემებით დღეს-დღეისობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით 79.5 მილიონი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა წარმოშობის ქვეყანა. მათ შორის, დაახლოებით 26 მილიონ ადამიანს მინიჭებული აქვს უკვე ლტოლვილის სტატუსი, რომელთა შორისაც ნახევარზე მეტი 18 წელს მიუღწეველი პირია. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ასევე გამოიკვეთა ის სამი ძირითადი ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტად ტოვებენ თავშესაფრის მაძიებლები ბოლო წლების განმავლობაში, კერძოდ სირია (6.6 მილიონი), ვენესუელა (3.7 მილიონი) და ავღანეთი (2.7 მილიონი).¹ შესაბამისად, სახელმწიფოთაშორის გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა რჩება გლობალურ გამოწვევად. 1951 წლის კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და მისი 1967 წლის ოქმი მთავარი ინსტრუმენტებია, რომლებიც სამოც წელზე მეტია საერთაშორისო მასშტაბით ლტოლვილთა სამართლებრივი დაცვის სისტემის ქვაკუთხედს ქმნიან. კონვენციის ძირითადი პრინციპები მოიცავს დისკრიმინაციის დაუშვებლობას, ლტოლვილთა იძულებით დაბრუნების დაუშვებლობას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დაუშვებლობას სახელმწიფოში არალეგალურად შესვლის ან დარჩენის გამო და დროთა განმავლობაში, უფლებების მიღებასა და ამ უფლებებით სარგებლობას.

დღევანდელი მსოფლიოსთვის და მათ შორის, საქართველოსთვისაც სახელმწიფოთაშორის გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა უდიდესი გლობალური გამოწვევაა.

საერთაშორისო დაცვაზე მოთხოვნასთან მიმართებით, დამოუკიდებელ მართლმსაჯულების სისტემას ენიჭება ფუნდამენტური როლი, განმარტოს ეროვნული კანონმდებლობა ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წელს მიღებული „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად ვერ ასახავდა თავშესაფრის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებს, რის გამოც (ასოცირების შეთანხმების მესამე კარის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების

¹ იხ.: <https://www.unhcr.org/figures-at-a-glance.html>.

მიზნით), საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო ახალი კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ.“ კანონის მიღების მიზანს წარმოადგენდა შემუშავებულიყო ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად დაიცავდა საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებებს, უფრო ქმედითს გახდიდა თავშესაფრის პროცედურებს და გონივრულ ვადებში უზრუნველყოფდა გადაწყვეტილების მიღებას.

აღსანიშნავია, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ახალი კანონით საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ჩამონათვალს დაემატა ტერმინი „დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი“ და ამ სტატუსის მინიჭების საფუძველი, აგრეთვე დაზუსტდა ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმები, განიმარტა დევნისა და სერიოზული ზიანის საფრთხის არსი, თავშესაფრის პროცედურა, დაკონკრეტდა და განისაზღვრა წარმოშობის ქვეყნისა და შიდა გადაადგილების ტერმინები. წინათ მოქმედი კანონისგან განსხვავებით, ახალი საკანონმდებლო რეგულაციით სრულად იქნა გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლით აღიარებული ისეთი პრინციპები, როგორებიცაა: საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის და თავშესაფრის პროცედურებზე ხელმისაწვდომობის, არგაძევების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობის დაცვის, ოჯახის ერთიანობის, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებისა და ექვსის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპები. ასევე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეს წარმოადგენს ადგილზე წარმოშობილი (Sur place) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში.²

თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, ეროვნული სასამართლოების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს განმარტონ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის³ წარმომადგენლობის მხარდაჭერით,

² განმარტებითი ბარათი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120318>.

³ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი შეიქმნა 1950 წელს, გენერალური ასამბლეის 1949 წლის 3 დეკემბრის №319 (IV) რეზოლუციით და მისი მანდატი ითვალისწინებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას და სახელმწიფოების ხელშეწყობას ამ ადამიანების პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიმართულებით. მისი საქმიანობის მიზანია თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ფარგლებში დაიგეგმა განხორციელებულიყო თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებზე ეროვნული სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული კვლევა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვის შეფასება. კერძოდ, თუ როგორ იყენებენ ეროვნული სასამართლოები ამგვარი კატეგორიის საქმეების განხილვისას რელევანტურ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და სტანდარტებს. სწორედ ამ მიზნით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ 2016-2020 წლებში განხილული საქმეები⁴ (საკვლევი თემის ანალიზი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების საშუალებით).⁵

პირების და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებების პატივისცემის და დაცვის უზრუნველყოფა, მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ადამიანთა უსაფრთხოების გაზრდა. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ერთგვარად ახორციელებს ქენევის 1951 წლის კონვენციის პრაქტიკაში სათანადო იმპლემენტაციაზე საზედამხედველო ფუნქციას, მაგალითად, 2016 წელს აღნიშნულმა ორგანიზაციამ საქართველოს ეროვნულ სასამართლოებს წარუდგინა 21 „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება (Amicus curiae) სამართლებრივი საკითხების განმარტებასთან დაკავშირებით. იხ.: <https://www.unhcr.org/admin/dipstatements/59312bd57/rule-law-protection-refugees-remarks-bar-leaders-briefing-union-internationale.html>.

⁴ კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სასამართლოებს ეთხოვათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოეწოდებინათ 2016-2020 წლებში თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებზე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები.

⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები დამუშავდა შემდეგი 18 ინდიკატორის გამოყენებით: 1. საქმის ნომერი/გადაწყვეტილების მიღების თარიღი; 2. თავშესაფრის მაძიებლის სქესი, ასაკი (საჭიროების შემთხვევაში, მითითება სპეციფიკური საჭიროების მქონე პირზე); 3. წარმოშობის ქვეყანა; 4. დავის საგანი – სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის/რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; 5. დავის საგანი – სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილება; 6. სამინისტროს დასკვნა – თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი; 7. დევნის განმახორციელებელი სუბიექტი; 8. დევნა და სერიოზული ზიანი – ქმედება, რომელზეც მიუთითებს განმცხადებელი; 9. დევნის საფუძველი; 10. თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები; 11. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია (სასამართლოს მსჯელობა); 12. საქმეში ფიგურირებდა თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაცია. გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, როგორც სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. 13. სასამართლოს გადაწყვეტილება – სარჩელი დაკმაყოფილდა; 14. სასამართლოს გადაწყვეტილება – სარჩელი არ დაკმაყოფილდა, უარის თქმის საფუძველი; 15. სასამართლოს გადაწყვეტილება – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ადმინისტრაციულ ორგანოს (ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი); 16. სასამართლოს განჩინება – მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის ან სარჩელზე უარის

თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებზე არსებული ეროვნული სასამართლო პრაქტიკის წარმოსაჩენად კვლევა მოიცავს შემდეგ თემებს: თუ როგორ ხდება ეროვნული სასამართლოების მიერ დავის გადაწყვეტისას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეფასება, როგორცაა: სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა სარჩელები, წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია, განმცხადებლის სანდოობა, დევნის ან/და სერიოზული ზიანის საფრთხის არსებობა, დევნის საფუძვლები, დევნისა და დაცვის განმახორციელებელი სუბიექტების იდენტიფიცირება, შიდა გადაადგილების ალტერნატივის შეფასება, ამასთან, თუ როგორია სასამართლო პრაქტიკა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით და რა მიდგომები იკვეთება საქსტრადციო საქმეებში.

კვლევაში ეროვნული სასამართლო პრაქტიკის თვალსაჩინოებისათვის უხვად არის ციტირებული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან შესაბამისი ამონარიდები. აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რელევანტური საერთაშორისო აქტების გამოყენების პრაქტიკას, თუ რამდენად ითვალისწინებენ ეროვნული სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, თუ ხდება ციტირებული მასალის საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგება.

კვლევაში ნათლად არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც გამოიკვეთა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, ამასთან იდენტიფიცირებული გამოწვევების კვლადაკვალ, ამგვარი კატეგორიის საქმეებზე

თქმის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება; 17. საერთაშორისო სტანდარტების მოხმობის პრაქტიკა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების დამუშავება განხორციელდა შემდეგი 19 ინდიკატორის გამოყენებით: 1. საქმის ნომერი/გადაწყვეტილების მიღების თარიღი; 2. გასაჩივრებული გადაწყვეტილება; 3. თავშესაფრის მაძიებლის სქესი, ასაკი (საჭიროების შემთხვევაში, მითითება სპეციფიკური საჭიროების მქონე პირზე); 4. წარმოშობის ქვეყანა; 5. აპელანტი; 6. დავის საგანი; 7. სამინისტროს დასკვნა – თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი; 8. დევნის განმახორციელებელი სუბიექტი; 9. დევნა და სერიოზული ზიანი – ქმედება, რომელზეც მიუთითებს განმცხადებელი; 10. დევნის საფუძველი; 11. თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები; 12. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია; 13. საქმეში ფიგურირებდა თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაცია. გაითვალისწინა თუ არა სასამართლომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, როგორც სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. 14. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; 15. სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული (საპროცესო ვადების დარღვევის გამო ან დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა საქმის გამოსმობის ან საქმეზე უარის თქმის შესახებ); 16. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სამინისტროს; 17. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 18. საერთაშორისო სტანდარტების მოხმობის პრაქტიკა;

სამართალწარმოების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციებიც. დამატებით, კვლევაში უხვად არის წარმოდგენილი მოსამართლეებისთვის საკითხის სწორად და მარტივად შეფასებისთვის საჭირო შესაბამისი თემატური საკონტროლო სიები (Checklists).⁶

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პროცედურა

წინამდებარე თავში ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით წარმოგიდგინთ იმ საკონტროლო სიას (Checklist),⁷ რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ პირს აძლევს ერთგვარ მითითებებს, თუ როგორ უნდა გააანალიზოს თავშესაფრის მინიჭებაზე წარმოდგენილი განაცხადი ლოგიკური თანმიმდევრობით:

საერთაშორისო დაცვაზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვის პროცედურა (ევროკავშირის დირექტივების მიხედვით)

საკითხები

კონკრეტული კითხვები

პირველი ნაბიჯი

საჩივრის მოკლე შინაარსი

საჩივრის მოკლე შინაარსი: გადაწყვეტილების მიმღებ პირს ევალება განსაზღვროს, აქვს თუ არა უფლება განმცხადებელს, თავშესაფრის შესახებ განცხადებაში მოტანილი ფაქტების საფუძველზე, მიენიჭოს საერთაშორისო დაცვა. ✓

გადაწყვეტილების მიმღებმა განმცხადებელთან ერთად უნდა შეძლოს დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები და გააანალიზოს იგი პირის ინდივიდუალურ გარემოებებთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი წარსულში დაექვემდებარა დევნას ეს წარმოადგენს

⁶ UNHCR – Building in Quality, A Manual on Building a High Quality Asylum System, September 2011
 ob.: <https://www.refworld.org/docid/4e85b36d2.html>.

⁷ UNHCR – Building in Quality, A Manual on Building a High Quality Asylum System, September 2011
 ob.: <https://www.refworld.org/docid/4e85b36d2.html>.

„სერიოზულ მითითებას, განმცხადებლის დევნისადმი საფუძვლიანი შიშის თაობაზე, „მომავლისთვის,“ [...] თუ არ გვაქვს გონივრული მიზეზები, რომ ამგვარი დევნა ან ზიანი აღარ განმეორდება.“

არსებითი ფაქტების მოპოვების ყველაზე მკაფიო გზა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიმდებმა პირმა კითხვები დაუსვას განმცხადებელს იმის თაობაზე, თუ რა გადახდა და კონკრეტულად რისი ეშინია მას, თუ დაბრუნდება წარმოშობის ქვეყანაში.

არ დაუსვათ კითხვა იმის შესახებ, დაექვემდებარა თუ არა იგი დევნას ან აქვს თუ არა შიში, რომ შესაძლებელია დაექვემდებაროს დევნას კონვენციაში მოხსენიებული ერთ-ერთი საფუძვლიდან გამომდინარე, რადგან შესაძლებელია, რომ მან არ იცოდეს ამ საფუძვლების შესახებ ან თუნდაც „დევნის“ სამართლებრივი მნიშვნელობა. შესაბამისად, უმჯობესია მას მარტივად დაესვას კითხვა: რა პრობლემა შეგექმნათ წარმოშობის ქვეყანაში ან რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით უკან დაბრუნების შემთხვევაში?

მეორე ნაბიჯი
სანდლობა

სანდლობა: შეაფასეთ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სანდობა საჩივრის მატერიალურ გარემოებებთან მიმართებით, გაითვალისწინეთ სანდობის ინდიკატორები და განმცხადებლის სანდობაში ეჭვის შეტანისას, განმცხადებლის ნებისმიერი ახსნა-განმარტების გონივრულად მიჩნევის შესაძლებლობა. სანდობის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები შემდეგი ხუთი ინდიკატორი: (i) საკმარისი დეტალები და კონკრეტულობა; (ii) განმცხადებლის მიერ ზეპირად და წერილობით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობა მათ შორის, დოკუმენტების; (iii) თავშესაფრის მაძიებლის მიერ ✓

გაკეთებული განცხადებების შესაბამისობა ოჯახის წევრების/მოწმეების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან; (iv) წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციასთან შესაბამისობა; (v) დამაჯერებლობა.

სანდოობის შეფასება გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ყველაზე რთული ასპექტია. იგი მოიცავს ორივეს, როგორც მტკიცების სტანდარტს, ასევე, მტკიცების ტვირთს. მტკიცების „ტვირთში“ იგულისხმება, თუ ვინ რა უნდა ამტკიცოს, მაშინ, როდესაც მტკიცების „სტანდარტში“ მოიაზრება ის ხარისხი/მოცულობა, რა დონეზეც უნდა დამტკიცდეს რაიმე.

QD-ის მე-4 მუხლით აღნიშნულია, რომ საჩივრის დასაბუთება წარმოადგენს განმცხადებლისა და გადაწყვეტილების მიმღები პირის საზიარო ვალდებულებას.

1998 წლის 16 დეკემბერს, გამოცემულ ანგარიშში, ლტოლვილთა საჩივრებში მტკიცებულების ტვირთსა და სტანდარტებზე, UNHCR ადგენს, რომ *„სანდოობა დადგენილია, როდესაც განმცხადებელმა წარმოადგინა ისეთი საჩივარი, რომელიც ლოგიკური და დამაჯერებელია, არ ეწინააღმდეგება ზოგადად, ცნობილ ფაქტებს და ამასთან, დაბაღანსებულია და შესაძლებელია, რომ სარწმუნოდ იქნას მიჩნეული.“*

მესამე ნაბიჯი

საფუძვლიანი შიშის შეფასება

საფუძვლიანი შიშის შეფასება: ამ ნაწილში გადაწყვეტილების მიმღები პირი აანალიზებს შეესაბამება თუ არა განმცხადებლის საჩივარი ლტოლვილის დეფინიციას. აღნიშნული გულისხმობს იმის განსაზღვრას, აქვს თუ არა განმცხადებლის მიერ გამოხატულ შიშს ობიექტურად დასაბუთებული საფუძველი, შეუძლია თუ არა და სურს თუ არა სახელმწიფოს შესთავაზოს მას ეფექტიანი დაცვა. ასევე, სერიოზულ ზიანზე გამოთქმული შიში უკავშირდება თუ არა დევნას, რომელიც გამომდინარეობს კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველიდან.

მესამე ნაბიჯი (ა)
ობიექტური საფუძველი

ობიექტური საფუძველი: წარმოშობის ქვეყნის შესახებ რელევანტური ინფორმაციის, ინდივიდუალური პროფილისა და გამოცდილების აგრეთვე, წარმოშობის ქვეყანაში მსგავს ვითარებაში მყოფი სხვა პირების გამოცდილების გათვალისწინებით, არსებობს თუ არა გონივრული შესაძლებლობა, რომ განმცხადებელი წარმოშობის ან საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებარება დევნას. გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა მისი შეფასება უნდა დააფუძნოს იმ ფაქტებს, რომლებზეც მან მიიჩნია, რომ მიესადაგება განმცხადებლის პროფილსა თუ გამოცდილებას, წარმოშობის ქვეყანაზე მოპოვებული რელევანტური ინფორმაციის გამოყენებით.

მესამე ნაბიჯი (ბ)
დაცვა

დაცვა: დაცვის უზრუნველყოფა შესაძლებელია (i) სახელმწიფოს მიერ; (ii) ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს მთლიან სახელმწიფოში ან მის მნიშვნელოვან ნაწილში. ზოგიერთი ქვეყანა მოითხოვს, რომ მხოლოდ სახელმწიფომ უზრუნველყოს დაცვის მინიჭება.

ზოგადად, დაცვა უზრუნველყოფილია, როდესაც

(i) და (ii) ნაწილში მოხსენიებული სუბიექტები ახდენენ დევნის პრევენციასა და სხვა საშუალებების გამოყენებას: „ეფექტური“ სამართლებრივი სისტემის ადმინისტრირებას, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის (i) „დადგენას“, (ii) დამნაშავე პირთა „გასამართლებას“ და მათზე „სასჯელის დაწესებას“ და დაცვის ამ სისტემის განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომობას.

მესამე ნაბიჯი (გ)
დევნა

დევნა: დევნის აქტები უნდა იყოს „[...] *საკმარისად სერიოზული მათი ბუნებით ან სისტემატურობით, იმდენად, რამდენადაც უნდა აღწევდეს ადამიანის ძირითადი უფლებების სასტიკი დარღვევის ხარისხს.*“ აღნიშნული შესაძლებელია მოიცავდეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის ფორმებს. აგრეთვე, შესაძლებელია მოიცავდეს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, საპოლიციო თუ სასამართლო ზომებს, დევნას ან დასჯას, სამართლებრივი საშუალების ეფექტიან საშუალებაზე უარის თქმას, სამხედრო სამსახურს ან ძალადობრივ აქტებს, რომლებიც მიმართულია გენდერული ნიშნით ან არასრულწლოვანთა წინააღმდეგ. ✓

დევნის განმხორციელებელი სუბიექტები: დევნა შესაძლებელია განხორციელდეს (i) სახელმწიფოს მიერ; (ii) სახელმწიფოს ან მისი მნიშვნელოვანი ტერიტორიის მაკონტროლებელი დაჯგუფებების ან ორგანიზაციების მიერ; (iii) არასახელმწიფო სუბიექტების მიერ, როდესაც (i) და (ii) პუნქტში მითითებულ სუბიექტებს არ სურთ ან არ შეუძლიათ რომ უზრუნველყონ დაცვა.

მესამე ნაბიჯი (დ)
კავშირი/მიზეზობრივი კავშირი

დევნის საფუძვლები: არსებობს ხუთი საფუძველი, რომლებზედაც შესაძლებელია, რომ დაფუძნდეს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე განაცხადი: (i) რასა; (ii) რელიგია; (iii) ეროვნება; (iv) გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა ან/და (v) პოლიტიკური შეხედულებები. დაიმახსოვრეთ, ✓

ეს დეფინიცია აღგენს, რომ დევნა შესაძლებელია განხორციელდეს „[...] ამ მიზეზთა გამო.“ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა მოტივაციით მოქმედებს დევნის განმახორციელებელი პირი. მაგალითად, თუ განმცხადებელი დაექვემდებარა დევნას ისეთი პოლიტიკური შეხედულების გამო, რომელიც მას რეალურად არ გააჩნია, ჩაითვლება, რომ იგი მაინც დაექვემდებარა დევნას „პოლიტიკური საფუძვლით.“

მეოთხე ნაბიჯი
შიდა გადაადგილების
ალტერნატივა

შიდა გადაადგილების ალტერნატივა: ყველა ქვეყანა არ იყენებს შიდა გადაადგილების ალტერნატივის კონცეფციას. იმ ქვეყნებში, სადაც ამ კონცეფციას იყენებენ, იმის დასადგენად, განმცხადებელს აქვს თუ არა შიდა გადაადგილების ალტერნატივით სარგებლობის შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა ეს საკითხი გასაუბრების დროს უნდა გამოარკვიოს, ასევე, განსაკუთრებულად და მკაფიოდ განსაზღვროს, წარმოშობის ქვეყნის კონკრეტულად რომელ ნაწილს განიხილავს იგი შიდა გადაადგილების ალტერნატივად. იმისათვის, რომ ტერიტორია შეფასდეს შიდა გადაადგილების ალტერნატივად, ის უნდა იყოს: (i) უსაფრთხო განმცხადებლისთვის და (ii) გონივრულად შესაძლებელი საცხოვრებლად. ამ ანალიზის განხორციელებისას, განმცხადებლის ინდივიდუალური გარემოებებია მხედველობაში მისაღები.

მეხუთე ნაბიჯი
ლტოლვილის
სტატუსიდან
გამორიცხვა

გამორიცხვა: ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება პირს, რომლის მიმართაც სერიოზული საფუძველი არსებობს ვარაუდისა, რომ მან: ა) ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებებისთვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად; ბ) ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული

თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სანამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული; გ) ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.

მეექვსე ნაბიჯი

დასკვნა

დასკვნა: გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც იგი მხარს უჭერს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი არგუმენტებით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დასკვნა უარყოფითი იქნება, მიუთითეთ უფლების აღდგენის ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალება.

✓

საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში

სანდოობის ანალიზი

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ საქმეების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა⁸ აუცილებლად უნდა შეაფასონ მტკიცებულებების სანდოობა. ეს შეფასება უნდა გაკეთდეს მიუკერძოებლად და იმგვარად, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა მინიმუმამდე დაიყვანოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ადამიანისთვის დამახასიათებელი სუბიექტურობა.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადი უნდა იყოს თანმიმდევრული თავის თავშიც და გარე ფაქტორებთანაც.

⁸ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. კერძოდ, მიგრაციის დეპარტამენტი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლე). ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შიდა თანმიმდევრულობაში იგულისხმება ის დასკვნები იმ შეუსაბამობის თუ წინააღმდეგობის შესახებ, რომლებიც არსებობს განმცხადებლის ნათქვამსა და სხვა მტკიცებულებას შორის, რომლებიც ადრე დააფიქსირა მან გასაუბრებისას, განაცხადში, მისი განხილვის/გასაჩივრების ნებისმიერ ეტაპზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში⁹ მოსამართლემ განმარტა, რომ: ზოგადად, მოსარჩელის სანდოობის შემოწმებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარდგენილი ფაქტების საფუძვლიანობა და თავშესაფრის მაძიებლის მიერ გადმოცემული ფაქტების თანმიმდევრულობა (ანკეტა, გასაუბრების მასალა). სასამართლოს მოსაზრებით, ჩვენების არათანმიმდევრობა დასაშვებია განცხადებაში არაარსებით ფაქტებთან მიმართებით და აღნიშნული ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ზოგადად, განმცხადებლის ჩვენების სანდოობას.

წინამდებარე საქმეში, მოსარჩელის განმარტებიდან გამომდინარეობდა, რომ უძრავი ქონების მეუღლისთვის გადაფორმებაზე უარის თქმის გამო მეუღლისა და ოჯახის წევრების მხრიდან განხორციელდა მასზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტები.

აღნიშნული გარემოება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სანდოდ ვერ იქნა მიჩნეული იმ საფუძველით, რომ მიწოდებული ინფორმაცია იყო ალოგიკური და შეუსაბამო. კერძოდ: ანკეტირების დროს თავშესაფრის მაძიებელმა განაცხადა, რომ მას ზღს უამბო ქმრისა და რძლის ურთიერთობის შესახებ, რის შემდეგაც ნასვამმა მას ზღს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა განმცხადებლის რძალს, ხოლო გასაუბრების დროს განაცხადა, რომ მას ზღსთვის არაფერი უთქვამს, რადგან ერიდებოდა. განმცხადებელს დაესვა დამაზუსტებელი კითხვა შეუსაბამობასთან დაკავშირებით, რაზეც მან აღნიშნა, რომ ანკეტირების დროს ნათქვამი არის სწორი, ხოლო გასაუბრებაზე ამ ფაქტის თაობაზე დაავიწყდა, რომ მოეყოლა. ასევე, ანკეტირების დროს განმცხადებელმა აღნიშნა, როდესაც 2013 წელს მეუღლე დიდი ბრიტანეთიდან ჩამოვიდა, მიუვარდა განმცხადებელს, რის შემდეგაც თავშესაფრის მაძიებელი დაუკავშირდა პოლიციას, ხოლო გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სახლში მას ზღს და დედამთილი მიუვარდნენ. შეუსაბამობის დამაზუსტებელ კითხვაზე განმცხადებელმა განმარტა, რომ თავდასხმებს ახორციელებდნენ ოჯახის სხვადასხვა წევრები, სხვადასხვა დროს, ხოლო უშუალოდ იმ მომენტში, როდესაც პოლიციისთვის მიმართვა გადაწყვიტა, სახლში მას ზღს და დედამთილი მიუვარდნენ. ამასთან, თავშესაფრის მაძიებლის მიერ სამინისტროში წარდგენილი პოლიციისთვის მიმართვის განცხადება

⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/4672-17.

(საჩივარი) არ არის დედანი, დოკუმენტი არ არის წარდგენილი ტიტულოვან ფურცელზე, არ ახლავს აღრიცხვის ნომერი, პოლიციის მიერ საბუთის მიღების რაიმე ნიშანი, ხელმოწერა. საბუთის ფორმა არ შეესაბამება ოფიციალური დოკუმენტის რეკვიზიტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირის განმარტებები არათანმიმდევრული იყო და არ აკმაყოფილებდა სანდოობის ზოგად მოთხოვნებს. თავშესაფრის მაძიებლის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში არ იკვეთებოდა კონკრეტული გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა დევნის კონვენციური („ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენცია) ნიშნების დადგენა.

გარე თანმიმდევრულობაში კი, იგულისხმება დასკვნები იმ შეუსაბამობების თუ წინააღმდეგობების შესახებ, რომლებიც ფიქსირდება განმცხადებლის მონათხრობსა და გარე ობიექტურ მტკიცებულებებს შორის, როგორცაა სათანადოდ გამოკვლეული ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ და სხვა შესაბამისი მტკიცებულებები.

ამასთან, განაცხადის დამაჯერებლობა ვლინდება განმცხადებლის ისტორიის სანდოობის შეფასებისას. განცხადების დამაჯერებლობის თაობაზე დასკვნა შეიძლება შეიცავდეს მის სანდოობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვების თაობაზე განმცხადებლის მიერ გაკეთებულ განმარტებებს. ეს განმარტებები შეიძლება დაემატოს ან გამოაკლდეს სარწმუნოდ მიჩნეულ ფაქტებს. ამასთან, დამაჯერებლობასთან დაკავშირებით შეიძლება სხვადასხვა პრობლემა შეიქმნას. მაგალითად: არასაკმარისი ან არალოგიკური დეტალები, მონათხრობი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება სად აზრს, განმარტება სხვა ეჭვის თაობაზე, რომელიც უბრალოდ უაზრობაა.¹⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ საქმეში¹¹ სასამართლო დაეთანხმა ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტაციას და მართებულად მიიჩნია სამინისტროს უარი თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა წარმოშობის ქვეყანაში მისი დევნის, ხოლო დაბრუნების შემთხვევაში, ფიზიკური განადგურების ფაქტები და აღნიშნული დევნის განხორციელების საშიშროება. კერძოდ, სამინისტრომ სანდოდ არ მიიჩნია

¹⁰ ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 14.

¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3683-16.

თავშესაფრის მაძიებლის განმარტება რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებით (აჰმადიას მიმდევრობა), ვინაიდან ის არ იცნობდა აჰმადიას მოძღვრების ძირითად, ზოგად და საბაზისო დებულებებს, ხოლო მონათხრობი პაკისტანში აჰმადიას მიმდევრების მდგომარეობასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდიოდა სამინისტროს მიერ წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოძიებულ ინფორმაციასთან. გადაწყვეტილების თანახმად, სამინისტრომ ასევე, სანდოდ არ მიიჩნია მოსარჩელის განაცხადი „ილიას ჩინიოტის“ დაჯგუფების მიერ განხორციელებული მუქარისა და გაგზავნილი მუქარის შემცველი წერილების შესახებ, რადგან თავშესაფრის მაძიებლის მიერ ვერ იქნა წარდგენილი ვერც ერთი წერილი და ასევე, ვერ იქნა დაკონკრეტებული, თუ სად და რა ვითარებაში მიიღო აღნიშნული წერილები. რაც შეეხება თავად „ილიას ჩინიოტის“ დაჯგუფებას, სამინისტროს მიერ წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, აღ-ჰააჯ მუჰამად ილიას ჩინიოტი არის პაკისტანელი პოლიტიკოსი და პენჯაბის პროვინციული ასამბლეის წევრი. ამასთან, სამინისტროს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკაში არ ფიქსირდება გარე აგრესიის ან ოკუპაციის შემთხვევები. ამდენად, სასამართლო დაეთანხმა მოპასუხის არგუმენტაციას და მართებულად მიიჩნია სამინისტროს უარი თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

დასკვნა სანდოობის თაობაზე გამოტანილ უნდა იქნას განმცხადებლის საქმისთვის არსებითი ფაქტების მიხედვით, რომელიც ეხება ფუნდამენტურ საკითხებს. აქ იგულისხმება მთავარი მტკიცებულება, რომელსაც განმცხადებელი წარმოადგენს, როგორც მისი დევნის თაობაზე საფუძვლიანი შიშის მიზეზს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,¹² სადაც დადგინდა, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირი იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, სომალის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე, „საკ“-ის ტომის წევრი. განმცხადებელის განმარტებით, მას ემუქრებოდა საფრთხე ოჯახის წევრების მხრიდან, რადგან იგი ცოლად გაჰყვა სხვა ტომის წარმომადგენელს.

განსახილველ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი სომალის რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუროს გენერალური საავადმყოფოს ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო მოხსენებითა და სომალის საპოლიციო ძალების ბიუროს

¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N3/9283-16.

ცენტრალური პოლიციის ანგარიშით, თავშესაფრის მაძიებელს დანით ჰქონდა მიყენებული ჭრილობა. კერძოდ, განმცხადებელი დაჭრილი იყო ზურგის არეში მარჯვენა მხარეს, მისი ორი ბიძაშვილის მიერ, მას შემდეგ, რაც იგი დაქორწინდა კაცზე, რომელიც იყო უმცირესობათა ტომიდან. უმცირესობათა ტომი კი, სომალიში ითვლება ქვემდგომ და არაპრივილეგირებულად. სასამართლომ ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ორივე პირი იმუამად იმყოფებოდა პოლიციის წინასწარი დაკავების განყოფილებაში და მიმდინარეობდა საქმის ძიება.

მოცემულ საქმეში სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოეკვლია, თუ რამდენად დასტურდებოდა ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით მოსარჩელის მონათხრობი და წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, რამდენად იყო შესაძლებელი თავშესაფრის მაძიებლის ფუნდამენტურ უფლებებს დამუქრებოდა საფრთხე.

განმცხადებლის მონაყოლის რომელიმე ნაწილის არგაზიარების, დოკუმენტების სანდოდ აღიარებისა ან სანდოდ აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა უზრუნველყოს არსებითი, ობიექტური და ლოგიკური დასაბუთება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,¹³ სადაც მოსარჩელე, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე აცხადებდა, რომ წარმოშობის ქვეყანაში იდევნებოდა რელიგიური ნიშნით. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ თავშესაფრის მაძიებელმა შესაბამისი წარმოების დროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარუდგინა არაბულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი და მისი ქართულენოვანი თარგმანი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელეს მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა. სასამართლოს შეფასებით, მოცემული დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას ან მასში ასახული ინფორმაციის დასაბუთებულ, საფუძვლიან გაქარწყლებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სადავო საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ თვით მოსარჩელის მიერ, მათ შორის, სასამართლოში გაკეთებულ განმარტებებსა და ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციას შორის არსებობს მთელი რიგი შეუსაბამობები.

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/7538-15.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სადავო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი არ შეიცავდა საკმარის დასაბუთებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მიზეზთან დაკავშირებით. კერძოდ, საფუძვლიანად, სანდო ინფორმაციაზე მითითებით არ არის დასაბუთებული იმ დოკუმენტის სინამდვილე ან არასანდოობა, სადაც აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი. საკითხის განხილვისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის დასაბუთებაში მიეთითებინა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საფუძვლიანად გამოეკვლია იმ საფრთხის რეალურობა, რომელიც მოსარჩელეს ემუქრება მისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, იმ დოკუმენტიდან გამომდინარე, რომელიც მან წარუდგინა ადმინისტრაციულ ორგანოს და სადაც მითითებულია, რომ მას სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი. დამატებით, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი შეიძლება საფუძვლიანად იქნას გამოკვლეული ირანის ისლამური რესპუბლიკის შესაბამისი – სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის საფუძვლიანი ანალიზით, რელიგიის შეცვლის გამო სასჯელებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული შესაბამისი ინფორმაციის ანალიზით, მოსარჩელის მიერ მიწოდებული ინფორმაციების ურთიერთშესაბამისობის ანალიზითა და ა. შ. რაც ცხადად და დამაჯერებლად უნდა აისახოს შესაბამისი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის დასაბუთებაში, რათა გამოირიცხოს ადამიანის (მოსარჩელის) სიცოცხლისთვის საფრთხის მიყენების შესაძლებლობა.

დოკუმენტების სანდოობა უნდა შეფასდეს მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლიობის განხილვის შემდეგ. არც ერთი დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს ცალკე, სხვა არსებული მასალებისგან იზოლირებულად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,¹⁴ რომელიც ეხებოდა სომალის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეს.

განსახილველ საქმეში სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნა, რომლის თანახმადაც, თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და მოტანილი ფაქტების

¹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №3/7382-16.

უტყუარობის, ასევე მისი ქცევის სანდოობის ანალიზის შედეგად, მოსარჩელის შიში დევნასთან დაკავშირებით უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

კერძოდ, არასანდოდ იქნა მიჩნეული მოსარჩელის განაცხადი, მის არასრულწლოვნებასთან დაკავშირებით, ვინაიდან თუ მოსარჩელე 2003 წელს, სამი წლის ასაკში ორი წელი სწავლობდა ქ. ჯედაში ჰამადანიას მეჩეთში, ხოლო ხუთი წლის ასაკში დაიწყო სწავლა მანარის საჯარო სკოლაში, სადაც თერთმეტი წლის განმავლობაში სწავლობდა. სკოლის დასრულების შემდეგ კი, ხის ხელოსნად მუშაობდა სამი წლის განმავლობაში, მაშინ თავშესაფრის მაძიებელი გამოდის არა თექვსმეტის, არამედ 18-19 წლის. ამასთან, წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციით, სომალური ყალბი პასპორტის მოპოვების პრაქტიკა, უკვე დიდი ხანია არსებობს და მისი დაუფლება მარტივად არის შესაძლებელი. აღნიშნული ფაქტები საუდის არაბეთშიც არის გამოვლენილი. ასევე, სასამართლომ არასანდოდ მიიჩნია თავშესაფრის მაძიებლის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ის არასოდეს ყოფილა სომალიში, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მოსარჩელემ საქართველოს ტერიტორია დატოვა და გაემგზავრა სომალიში, 2016 წლის 13 ოქტომბერს.

საერთაშორისო დაცვის საქმეებზე საჩივრების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმდებმა პირმა ცალკე უნდა გამოიტანოს დასკვნა წარსულში განცდილი დევნის ან არასათანადო მოპყრობის თაობაზე არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რადგან მათ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მომავალში ზიანის რისკის შეფასებაზე. კერძოდ, იმის შეფასებისთვის, ემუქრება თუ არა თავშესაფრის მაძიებელს დევნა ან სერიოზული ზიანი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.¹⁵

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე,¹⁶ სადაც დადგინდა, რომ ეგვიპტის რესპუბლიკის მოქალაქემ მეუღლესთან და შვილებთან ერთად, თავშესაფრის მინიჭების თხოვნით მიმართა საქართველოს ოკუპირებული

¹⁵ ადრინდელი დევნის მნიშვნელობაზე საუბარი QD დირექტივის (ცვლილებებით) 4(4) მუხლში, რომლის თანახმად: ის გარემოება, რომ განმცხადებლის მიმართ ადრე უკვე განხორციელდა დევნა ან სერიოზული ზიანი ან ასეთი დევნის ან ზიანის პირდაპირი მუქარები, არის სერიოზული მინიშნება, რომ განმცხადებელს აქვს დევნის დასაბუთებული შიში ან რეალურად ემუქრება სერიოზული ზიანი, თუ არ არსებობს მყარი საფუძლიანი ვარაუდისთვის, რომ დევნა ან სერიოზული ზიანი აღარ განმეორდება. აქვე უნდა ითქვას, რომ Abdulla-ს საქმეში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განაცხადა, რომ როდესაც განმცხადებელი QD დირექტივის (ცვლილებებით) 4(4) მუხლის თანახმად, უთითებს ადრინდელი დევნის ქმედებებზე ან მუქარებზე იმის დასამტკიცებლად, რომ მას აქვს დევნის დასაბუთებული შიში, მან ისიც უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ძველი ქმედებები და მუქარები დაკავშირებული იყო იგივე საფუძველთან, რომელი საფუძველითაც მას მომავალში დევნისაც ეშინია.

¹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/5827-16.

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომლის გადაწყვეტილებითაც, განმცხადებლებს უარი ეთქვათ, როგორც ლტოლვილის ასევე, ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

განსახილველ საქმეში, თავშესაფრის მაძიებელმა აპელირება გააკეთა წარსულში განცდილ დევნაზე. კერძოდ, მომჩივანმა განაცხადა, რომ 2011-2013 წლებში (ზუსტად არ ახსოვდა) მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად გზაზე გააჩერა ავტომობილი და მაღაზიაში გადავიდა. მეუღლე და ქალიშვილი ავტომობილში დარჩნენ. მაღაზიიდან განმცხადებელმა დაინახა, რომ სამი პიროვნება მის კუთვნილ ავტომობილში ჩასხდომას და გატაცებას ცდილობდა. უცხო პირებს ნიღბები არ ეკეთათ. იგი მაღაზიიდან მანქანისკენ გაიქცა, უცხო პიროვნებებს, რომელთაც მანქანის კარი უკვე ღია ჰქონდათ და მანქანაში სხდებოდნენ, დაუპირისპირდა, მანქანაში ჩაჯდა და გაეცალა იქაურობას. განმცხადებელი ფიქრობს, რომ უცხო ადამიანებს არა მხოლოდ მისი ავტომობილის, არამედ მისი მეუღლის და ქალიშვილის გატაცებაც სურდათ გამოსასყიდის მიღების მიზნით. თავშესაფრის მაძიებელმა დასძინა, რომ მას სტაბილური ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა და ხშირად ეხმარებოდა ადამიანებს (როგორც ქრისტიანებს, ასევე, მუსლიმანებს), რის გამოც იგი ცნობილი იყო. ამასთან, განმცხადებელმა გაიხსენა მეორე ინციდენტი, რომელიც სამსახურიდან სახლისკენ მიმავალ გზაზე შეემთხვა, როდესაც მეჩეთის წინ მდგომმა ხალხმა მისი მანქანის გაჩერება სცადა და თან ეძახდნენ – „შე, ურწმუნო! შე, ქრისტიანო!“ (მსგავსი ფაქტი ორჯერ მოხდა). ასევე, განმცხადებელს ხშირად ჰქონია შემთხვევა, როდესაც მაღაზიაში შესულა, სადაც უთქვამთ ქრისტიანი ხარ და არაფერს მოგყიდითო. ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა აიძულა თავშესაფრის მაძიებელი დაეტოვებინა წარმოშობის ქვეყანა და საქართველოში ჩამოსულიყო ოჯახთან ერთად, რადგან საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა აღნიშნული საქმე და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელის მიერ წარდგენილი კაიროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელს 25 წელი მიესაჯა ციხეში მძიმე სამუშაოებითა და ფინანსური ჯარიმით, რომლის ოდენობაც განისაზღვრა ხუთასი ათასი ეკვიპტური გინეათი (ფუნტი), თავისი ფულადი წყაროებითა და საკუთრებების ჩათვლით, იმის გამო რომ იგი შეეცადა გაეგრძელებინა ქრისტიანული რელიგია მუსლიმანებს შორის, რაც გამოიხატა მუსლიმანი ღარიბების ფულადი დახმარებით.

მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე ასევე წარადგინა ელექტრონული ჩანაწერი ეგვიპტეში ტერორისტული თავდასხმების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეგვიპტეში, კოპტი ქრისტიანების ორ ტაძარში მოხდა აფეთქება, რომელსაც 40-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის დადგენილ იქნა, რომ ეგვიპტის ხელისუფლებამ ვერ შეძლო რელიგიური უმცირესობებისკენ მიმართული დანაშაულების პრევენცია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტის გამოცემისას, სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების რისკები. კერძოდ, ის გარემოება, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში არსებობდა საფუძვლიანი შიში იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებლისა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე მათი რელიგიური მიმდინარეობის გამო (მართლმადიდებელი ქრისტიანი – კოპტი). სასამართლომ ვერ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებაში პრეზიდენტ ალ-სისის მოსვლის შემდეგ, კოპტების მდგომარეობა ეგვიპტეში მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაუმჯობესდა და განმარტა, რომ ის მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მიდგომა ზოგადად შეიცვალა, არ ქმნის იმ უტყუარი დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მოსარჩელეთა მიერ მითითებული ფაქტები – რელიგიური კუთხით კონკრეტული პირების მიერ დევნის განხორციელება, უპირობოდ აღმოფხვრილი იქნება მათი სამშობლოში დაბრუნებისას და ისინი არ დაექვემდებარებიან რელიგიური კუთვნილების გამო დევნას.

ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდებოდა მოსარჩელეთა მიმართ წარმოშობის ქვეყანაში რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტი, რაც წარმოადგენდა მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველს და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საკითხის ხელახალი განხილვისას გამოერკვია, ხომ არ არსებობდა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, მოსარჩელეთა საქართველოში ყოფნა ხომ არ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ინტერესებს.

წარსულში განცდილ დევნასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სასამართლომ არასანდოდ არ უნდა ცნოს განაცხადი მხოლოდ იმიტომ, რომ წარსულში პირისთვის ზიანი არ მიუყენებიათ და ახლა ეს პირი აცხადებს, რომ მომავალში მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

განმცხადებელს, რომლის მიმართ წარმოშობის ქვეყნის დატოვებამდე არც დევნა ხორციელდებოდა და არც პირდაპირ ემუქრებოდნენ, შეუძლია სხვა

მტკიცებულებებით დაამტკიცოს, რომ აქვს დევნის დასაბუთებული შიში განჭვრეტად მომავალში. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ერთ-ერთი საქმის განხილვისას, პირდაპირ მიუთითა, რომ „მართალია, განმცხადებელი არ უთითებს დევნის კონკრეტულ შემთხვევებზე, თუმცა, მიუთითებს უკან დაბრუნების შემთხვევაში დევნის რეალურ რისკზე (Human Rights Watch-ის 2016 წლის ანგარიში) და ასეთ შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლის საფუძვლიანი შიშის ობიექტური ელემენტები ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მას არ განუხორციელებია.“ გარდა ამისა, წარსულში დევნას ლოგიკურად შეიძლება არ ჰქონდეს ადგილი ან მნიშვნელობა sur place შემთხვევებში.¹⁷

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწვევლადი განმცხადებლების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სანდოობის შეფასების საკითხს, რადგან თუ მათ მიერ გადმოცემული ინფორმაცია არათანმიმდევრულია ან შეუსაბამო – ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ ის არ არის სანდო. მაგალითად, ბავშვები ხშირად ვერ ჰყვებიან იმდენ დეტალს, რასაც უფროსები, როდესაც იხსენებენ განვლილ ამბავს.

მოწვევლადობის ხარისხის და სანდოობის შეფასებაზე მათი გავლენის დასადგენად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:¹⁸

- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
- ✓ სოციალური და სწავლის სირთულეები;
- ✓ სექსუალური ორიენტაცია;
- ✓ ეთნიკური, სოციალური ან კულტურული წარმომავლობა;
- ✓ ოჯახური, განათლების და დასაქმების გარემოებები;
- ✓ ფიზიკური შეზღუდვა ან შეზღუდული შესაძლებლობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,¹⁹ სადაც დადგინდა იქნა, რომ სიერა-ლეონეს მოქალაქემ

¹⁷ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §94, გვ. 23. „მოთხოვნა, რომ პირი იმყოფებოდეს მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომ ჩაითვალოს ლტოლვილად, არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად კანონიერად უნდა ჰქონდეს დატოვებული ის ქვეყანა ან თუნდაც, საფუძვლიანი შიშის გამო იყოს წამოსული. მან შეიძლება ლტოლვილის სტატუსის აღიარების თხოვნით მიმართვა საზღვარგარეთ გარკვეული დროის განმავლობაში ყოფნის შემდეგ გადაწყვიტა. პირი, რომელიც ქვეყნიდან წამოსვლისას არ იყო ლტოლვილი, მაგრამ მოგვიანებით ხდება ლტოლვილი, უწოდებენ ადგილზე (sur place) ლტოლვილს.“

¹⁸ ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 30.

განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა თავშესაფრის მინიჭება. თუმცა, სამინისტროს გადაწყვეტლებით განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძველით, რომ პირი ფაქტებს გადმოსცემდა არათანმიმდევრულად და შეუსაბამოდ.

განსახილველ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტაცია, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსარჩელე ქვეყნის დატოვებისას იყო არასრულწლოვანი და სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. კერძოდ, სამინისტროს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა განმცხადებლისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში განმარტა, რომ თავშესაფრის მაძიებელმა გასაუბრებისას და ანკეტირებისას გადმოსცა ინფორმაცია, რაც გააჩნდა მამის საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სტატუსის მაძიებელს მოპოვებული ექნებოდა ყოველდღიური ცხოვრების პირობებში, ოჯახის წევრთა მიერ გაქდერებული ინფორმაციის შეკრებით. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელე თანმიმდევრულად და სარწმუნოდ ვერ აღწერს მამის საქმიანობასთან დაკავშირებულ გარემოებებს, არ უნდა გახდეს განმცხადებლისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ არასრულწლოვანს არ გააჩნია ფაქტების აღქმის იმგვარი უნარი, რაც შესაძლოა გააჩნდეს ზრდასრულ ადამიანს, მით უმეტეს იმ პირობებში, რომ თავშესაფრის მაძიებლის მიერ მამის საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია არ არის პირადი ხასიათის და სხვა პირის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ გადმოცემით, ამა თუ იმ წყაროდან. მოსარჩელისათვის ასევე, გადმოცემით გახდა ცნობილი სახლის დაწვისა და ოჯახის წევრების დაღუპვის, ასევე მამის მკვლელობის ფაქტი (მამის მეგობრისგან და ასევე, ბიძაშვილისგან). შესაბამისად, შესაძლებელია ინფორმაციის უზუსტობა გამოწვეული იყოს ინფორმაციის წყაროს უზუსტობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატუსის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ერთობლიობაში სარწმუნოა. ამასთან, თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც პირადად მას ეხება (ქუჩის შემთხვევა და სამშობლოდან გამოძგზავრების ფაქტი), არ იძლევა ეჭვის შეტანის საფუძველს, ხოლო ოჯახის წევრების შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესაძლო უზუსტობები აიხსნება პირის ასაკით, დროის ფაქტორითა და

¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1752-16, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ უცვლელად დატოვა (2017 წლის 31 მაისის განჩინება საქმეზე №3პ/1830-16).

ინფორმაციის მიღების ფორმის გათვალისწინებით, რის გამოც არსებული ეჭვი სტატუსის მაძიებლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

სანდოობის შეფასება არსებითი დარღვევით ჩატარებულად ჩაითვლება, თუ ხარვეზიანი ან არასწორი პროცედურის განხორციელების შედეგად განმცხადებელს არ მიეცემა მისი განაცხადის და შესაბამისი მტკიცებულებების სამართლიანად და გონივრულად წარდგენის საშუალება.²⁰ მაგალითად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცედურულ სტანდარტს წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებლის უზრუნველყოფა კომპეტენტური და მიუკერძოებელი თარჯიმნით. აღნიშნული სტანდარტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არასწორმა თარგმანმა შესაძლოა დააყენოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობის პრობლემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,²¹ რომელშიც დადგენილ იქნა, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირი იყო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე. იგი ამტკიცებდა, რომ წარმოშობის ქვეყანაში იდევნებოდა პოლიტიკური ნიშნით. თუმცა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან თავშესაფრის მაძიებელს უარი ეთქვა საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე იმ მიზეზით, რომ მოსარჩელის მიერ მოტანილი არგუმენტები არ იქნა მიჩნეული სარწმუნოდ და დამაჯერებლად, იმ საფუძველზე, რომ თავშესაფრის მაძიებელი ფაქტებს გადმოსცემდა არათანმიმდევრულად და შეუსაბამოდ.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რადგან მან ვერ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტაცია თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის არათანმიმდევრულობისა და შეუსაბამობის შესახებ, ვინაიდან განმცხადებლის განმარტებით, მას პროცესში მონაწილე თარჯიმნის არ ესმოდა და სჭირდებოდა ბენგალური ენის თარჯიმანი (იქვე, მოსარჩელემ დაადასტურა, რომ იგივე პრეტენზია მას გააჩნდა ანკეტირება-გასაუბრების პროცესშიც).

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიერ გამოთხოვილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებული თავშესაფრის მაძიებლის თანხმობით ჩაწერილი ანკეტირება/გასაუბრების აუდიოჩანაწერი და ადმინისტრაციულ

²⁰ ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ) - ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 27.

²¹ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1965-16.

ორგანოს დაავალა შესაბამისი ენის თარჯიმნის მონაწილეობით გამოეკვლია მოსარჩელის მიერ გაცემული პასუხების შინაარსი შეესაბამებოდა თუ არა დასმული კითხვების შინაარსს და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, ეს უზუსტობა იყო განმცხადებლის პასუხების არათანმიმდევრულობა თუ არამშობლიური ენის თარჯიმნის მონაწილეობით ჩატარებული პროცედურის ხარვეზი. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ უკანასკნელი გარემოების დადასტურების შემთხვევაში, სამინისტრომ თავშესაფრის მაძიებელს ანკეტირება/გასაუბრება უნდა ჩაუტაროს ხელახლა, შესაბამისი ენის თარჯიმნის მონაწილეობით და გარემოებათა ამგვარად გამოკვლევის შემდეგ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

თუ გადაწყვეტილების მიღებს დარჩა გაურკვეველობა ან ეჭვი განაცხადის ზოგიერთი ნაწილის სანდოობასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ არის დამადასტურებელი მტკიცებულება, მაგრამ ყველა სხვა მტკიცებულება მიჩნეულ იქნა სანდოდ, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნას ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი.²² აღნიშნული პრინციპი არის გამოხატულება იმისა, რომ განმცხადებლისთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს განაცხადის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება და რომ საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უმართებულო უარმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები. UNHCR-ის სახელმძღვანელოს თანახმად: „მტკიცების ტვირთი ეკისრება თავშესაფრის მაძიებელს. თუმცა, ხშირად, შესაძლოა თავშესაფრის მაძიებელს არ შეეძლოს მისი განცხადებების დასაბუთება დოკუმენტური ან სხვა მტკიცებულებით. როგორც წესი, თავშესაფრის მაძიებელს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეეძლება მისი განცხადებების დამადასტურებელი ყველა მტკიცებულების წარმოდგენა. უმეტეს შემთხვევებში, პირი, რომელიც გაუბრუნებს დევნას, ჩამოსული იქნება ყველაზე აუცილებელი მოთხოვნების საგნებით და ძალიან ხშირად, პირადი დოკუმენტების გარეშე კი. ამდენად, მტკიცების ტვირთი პრინციპში, თავშესაფრის მაძიებელს აკისრია, ხოლო შესაბამისი ფაქტების დადგენის და შეფასების მოვალეობა ნაწილდება თავშესაფრის მაძიებელსა და ლტოლვილის საკითხის განხილვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტს შორის. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება პასუხისმგებელმა სპეციალისტმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება განცხადების დასაბუთებლად, თუმცა, აღნიშნული სახის დამოუკიდებელი კვლევა შეიძლება ყოველთვის წარმატებული არ გამოდგეს. აგრეთვე, შეიძლება იყოს განცხადებები, რომელთა მტკიცებულებებით გამყარება შეუძლებელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მაძიებლის მონათხრობი სანდოდ ჟღერს, მისი განცხადება

²² ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 32.

საწინააღმდეგო მიზეზების არარსებობის შემთხვევაში, დამაჯერებლად უნდა იქნას მიჩნეული. ამდენად, არ უნდა მოხდეს მტკიცებულების მოთხოვნის ძალიან მკაცრად გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის განსაკუთრებული სიტუაციიდან გამომდინარე, მისთვის რთულია ამ მტკიცებულების მოპოვება. თუმცა, მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება არ ნიშნავს, რომ დაუსაბუთებელი განცხადება აუცილებლად ჩაითვლება სიმართლედ, თუ ის არ შეესაბამება თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ ზოგად მონათხრობს.²³

ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი გადაწყვეტილების მიმდებს საშუალებას აძლევს, გამოიტანოს მკაფიო გადაწყვეტილება და სანდოდ მიიჩნიოს არსებითი ფაქტი, როდესაც მასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვი რჩება.²⁴ თუმცა, „სრულყოფილი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება მოპოვებული და შემოწმებულია და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხის განმხილველი სპეციალისტი კმაყოფილია თავშესაფრის მაძიებლის ზოგადი სანდოობით. თავშესაფრის მაძიებლის განცხადებები უნდა იყოს თანმიმდევრული და დამაჯერებელი და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოდ ცნობილ ფაქტებს.“²⁵ აღნიშნულს ითვალისწინებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,²⁶ რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ „თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული ცალკეული საფუძვლები შესაბამისი დოკუმენტური ან სხვა მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, ასეთ გარემოებებს არ სჭირდება დამტკიცება შემდეგი გარემოებების ერთობლივად არსებობის შემთხვევაში: ა) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დასასაბუთებლად, თავშესაფრის მაძიებელმა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა; ბ) თავშესაფრის მაძიებელმა წარადგინა საქმის განხილვისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაცია, ამასთან, დამაკმაყოფილებლად ახსნა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის არარსებობა; გ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია თანმიმდევრულია, დამაჯერებელია და არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ინფორმაციას; დ) თავშესაფრის მაძიებელმა საერთაშორისო დაცვა მოითხოვა

²³ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §196-197, გვ. 48-49.

²⁴ ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 32.

²⁵ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §204, გვ. 50.

²⁶ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

ასეთი შესაძლებლობის გაჩენისთანავე, თუ მის მიერ არ იქნა წარდგენილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემოფერხებელი მიზეზები; ე) დადგინდა თავშესაფრის მაძიებლის წარდგენილი ინფორმაციის ზოგადი სანდოობა.²⁷

ამასთან, საერთაშორისო სასამართლოების დონეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი. მაგალითად, საქმეში *ნ. შვედეთის წინააღმდეგ*,²⁸ განმარტა, რომ იმ განსაკუთრებული სიტუაციის გამო, რომელშიც თავშესაფრის მაძიებლები იმყოფებიან, ხშირად საჭიროა ეჭვის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა, როდესაც ხდება მათი განაცხადის და მის დამადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტების სანდოობის შეფასება. მაგრამ თუ წარმოდგენილი ინფორმაცია იძლევა სერიოზულ საფუძველს თავშესაფრის მაძიებლის ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვის შესატანად, მან უნდა გააკეთოს სათანადო განმარტებები არსებულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით.

დაბოლოს, კვლევის ფარგლებში შესწავლილმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ თავშესაფრის მაძიებლის სანდოობის შეფასებისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეები ობიექტურობის უზრუნველყოფისა და მთავარ ელემენტებზე ყურადღების გამახვილების მიზნით ძირითადად, ითვალისწინებენ შემდეგ საკითხებს:

- რამდენად თანმიმდევრული და დამაჯერებელია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადი თავის თავში და გარე ფაქტორებთან;
- წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას;
- წარსულში განცდილი დევნის ან არასათანადო მოპყრობის თაობაზე არსებულ მტკიცებულებებს;
- რამდენად ლოგიკურად და ობიექტურად ასახულებს ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლის მონაყოლის რომელიმე ნაწილის არგაზიარების, დოკუმენტების სანდოდ აღიარების ან სანდოდ აღიარებაზე უარის თქმის შესახებ თავის გადაწყვეტილებას;
- მოწყვლადი განმცხადებლების მარგინალიზებულ მდგომარეობას;
- მიეცა თუ არა განმცხადებელს განაცხადის და შესაბამისი მტკიცებულებების სამართლიანად და გონივრულად წარდგენის შესაძლებლობა.

²⁷ QD დირექტივის (ცვლილებებით) 4(5) მუხლი.

იხ.: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:337:0009:0026:EN:PDF>.

²⁸ N v. Sweden, საჩივარი #23505/09, §53, 2010 წლის 20 ივლისი.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ანალიზი

თავშესაფრის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება დიდწილად დამოკიდებულია, რამდენად განახლებული და სანდო ინფორმაცია ექნებათ მათ ქვეყნის შესახებ ანუ „ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ.“

თავშესაფრის მაძიებლის მონაყოლის მტკიცებულებებითი ღირებულება უნდა შეფასდეს იმის საფუძველზე, თუ რა არის ცნობილი წარმოშობის ქვეყანაში არსებული პირობების შესახებ.²⁹

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები და მოსამართლეები არ არიან კონკრეტული ქვეყნის საკითხებზე ექსპერტები, მაგრამ მათ ხშირად უწევთ ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ მასალების შეფასება და დასკვნების გაკეთება ქვეყანაში არსებულ ზოგად მდომარეობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში რელიგიური უმცირესობები (კოპტები) კვლავ დგანან თუ არა ტერორისტული აქტებისა და რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის სერიოზული საფრთხის წინაშე; ემუქრებათ თუ არა კონვერტირებულ ქრისტიანებს საფრთხე ირანში დაბრუნების შემთხვევაში; ერაყის რესპუბლიკაში, სუნიტი მოსახლეობის წინააღმდეგ ხორციელდება თუ არა დევნა და შევიწროვება შიიტური დაჯგუფებების მხრიდან; ასევე, შესაძლებელია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მოუწიოთ იმის განსაზღვრა, შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკიდან „თამილელ ვეფხვებთან“ კავშირში მყოფ პირებს ემუქრებათ თუ არა დღესდღეისობით საფრთხე, თუ ეს საფრთხე შორეული და ნაკლებად რეალურია შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე. სწორედ, ერთმანეთისგან განსხვავებული სიტუაციების განხილვისთვის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სჭირდებათ ზუსტი და სანდო ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ, რომ სამართლიანად და დასაბუთებულად გადაწყვიტონ, თუ ვის ესაჭიროება საერთაშორისო დაცვა.

ამ კუთხით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის განკარგულებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, სამინისტროს დებულების შესაბამისად, ახალი სტრუქტურული ერთეული - თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის

²⁹ ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 37.

მოპოვების განყოფილება შეიქმნა.³⁰ განყოფილების ძირითად მიზანს კი წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელი პირების წარმოშობის ქვეყნებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სტატუსის დამდგენი სპეციალისტებისთვის მიწოდება და კონკრეტულ ქვეყნებზე ინფორმაციის პერიოდული განახლება. მოძიებული ინფორმაცია ეხმარება თავშესაფრის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ სპეციალისტებს თავშესაფრის მომთხოვნი პირის წარმოშობის ქვეყანაში ადამიანის უფლებების, უსაფრთხოების, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ჰუმანიტარული და ეკონომიკური მდგომარეობის, საკანონმდებლო ბაზის, მოვლენებისა და შემთხვევების შეფასებაში; თავშესაფრის მომთხოვნი პირთან გასაუბრებისთვის მომზადების პროცესში; თავშესაფრის მომთხოვნი პირის დევნის ან დევნის შიშის საფუძვლიანობის და მისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, მომავალში შემდგომი დევნის რისკისა და ალბათობის შეფასებისას. ასევე, წარმოშობის ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ზოგადი ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა წყაროდან იქნას მიღებული, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებიდან, შიდასახელმწიფოებრივი ორგანოებიდან, საცნობარო მასალებიდან (მაგალითად, რუკები, ენციკლოპედიები), იურიდიული ლიტერატურიდან (კანონები, სასამართლო პრაქტიკა და ა. შ.), მედიიდან, საგაზეთო სტატიებიდან, ბლოგებიდან და ა. შ. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა მონაცემთა ბაზები, რომლებიც უშუალოდ საერთაშორისო დაცვის საქმეების განხილვისთვის გამოიყენება (მაგალითად, ecoi.net).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,³¹ რომელშიც დადგენილი იქნა, რომ თავშესაფრის მაძიებელი იყო კოტ დ'ივუარის მოქალაქე, აღმსარებლობით ქრისტიანი (ევანგელისტი). განმცხადებლის განმარტებით, მას საფრთხე ემუქრებოდა ახალი ხელისუფლების მხრიდან აქტიური პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე.

განსახილველ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პოზიცია, რომ მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის მიერ თავის ცნობადობასთან

³⁰ ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებით გაიზარდა თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე ორგანოს ეფექტურობა და ეფექტიანობა და ასევე, სამინისტრომ შეასრულა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე პასუხისმგებელი ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით.

³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/4597-17.

დაკავშირებით გაკეთებული განაცხადისა, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის სპეციალიზებულ ბაზებში, საერთაშორისოდ აღიარებულ წყაროებსა და გლობალურ საძიებო სისტემებში ვერ მოიძებნა ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლისა და მისი მამის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ. სასამართლომ ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თავშესაფრის მაძიებელმა გასაუბრების დროს არასწორად დაასახელა იმ პარტიის მოქმედი ლიდერი, რომელთან კავშირის გამო თვლიდა, რომ იღვენებოდა. დამატებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ განმცხადებლის მტკიცებით, ამ პარტიასთან 6-წლიანი აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, სამინისტროში გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი არ ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას პარტიის იდეოლოგიასთან დაკავშირებით.

ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მხედველობაში მიიღო წარმოშობის ქვეყნის შესახებ შემდეგი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, კოტ დ'ივუარი არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც მართავს თავისუფლად არჩეული მთავრობა. უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც პრეზიდენტი ალასან ოუატარა ხელმეორედ აირჩიეს, საერთაშორისო თუ ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ ჩაითვადა, როგორც თავისუფალი და სამართლიანი. Human Rights Watch-ის 2017 წლის ანგარიშის თანახმად, კოტ დ'ივუარში მიმდინარე პოლიტიკურმა სტაბილურობამ და ეკონომიკურმა წინსვლამ გააუმჯობესა კანონის უზენაესობისა და ეკონომიკურ-სოციალური უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა ადგილობრივი დამცველები და ორგანიზაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებენ მთავრობის მხრიდან ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. 2016 წლის ანგარიშში Freedom House წერს, რომ 2015 წლის არჩევნების შემდეგ, ქვეყნის რეიტინგმა ერთი პუნქტით მოიმატა, რომელიც ქვეყნის არსებობის განმავლობაში ჩატარებულ ყველაზე გამჭირვალე და სამართლიან არჩევნებად ჩაითვადა. ანგარიშის თანახმად, კონსტიტუციით გარანტირებულია მთელი რიგი ისეთი უფლებები, როგორცაა: პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებები, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და ა. შ. თუმცა, ამ უკანასკნელის მიმართ, ზოგჯერ სახეზეა შეზღუდვები. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო ურთიერთობათა ბიურო საკუთარ მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას, სადაც მიუთითებს, რომ 2011 წლის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ოუატარამ დაიკავა თანამდებობა, ძალადობის დონემ ქვეყანაში მკვეთრად იკლო. თუმცა, მცირე პოლიტიკური დაძაბულობა კვლავ არსებობს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ თავშესაფრის მაძიებლის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასურველია, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია ეყრდნობოდეს საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებს. ცხადია, ზოგჯერ საჭირო შეიძლება გახდეს კონფიდენციალური ინფორმაციის განხილვაც, მაგალითად, წარმოშობის ქვეყანაში მომუშავე ადამიანის უფლებათა მკვლევარების ჩვენებები, რომლებიც ვერ გაამხელენ თავიანთ ვინაობას ისე, რომ საკუთარ თავს არ შეუქმნან საფრთხე ან სტატიები, რომელთა ავტორები შებოჭილნი არიან პროფესიული ეთიკის მოვალეობით, რომ არ გაამჟღავნონ წყაროს ვინაობა. მართალია, აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რამდენად სწორად ასახავს ინფორმატორის მასალა სინამდვილეს, მაგრამ ასეთ მასალას წონა მაინც შეიძლება ჰქონდეს, თუ განმარტებული იქნება ანონიმურობის მიზეზი ანდა თუ სტატიის გამომცემელი ორგანიზაცია საკმარისად კეთილსინდისიერია და შეიძლება ვენდოთ, რომ ის შეამოწმებდა წყაროს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა. ამგვარ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია სანდოდ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არსებობს საჯარო სივრცეში და ცნობილია მისი ავტორი. ლოგიკა, რომ მასალა იყოს მხოლოდ საჯარო, ემყარება მოთხოვნას, რომ თავშესაფრის მაძიებელმა იცოდეს, რა მტკიცებულებები არსებობს, სად შეიძლება მათი ნახვა და შეძლოს ამ მტკიცებულებების საფუძველზე თავშესაფრის განაცხადის ან გადაწყვეტილების გასაჩივრების დასაბუთება.

საერთაშორისო დაცვის საქმეებზე წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია გამოიყენება როგორც მტკიცებულება, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა მიიღოს მხედველობაში, მაგრამ რამდენად გამოდგება იგი კონკრეტული პირის საქმის გადასაწყვეტად – დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, რამდენად აქვს განმცხადებელს პირადი მახასიათებლები ან გარემოებები, რომლებიც მის მდგომარეობაში მყოფი პირების ანალოგიურია. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია შეიძლება ერთნაირად აქტუალური არ იყოს ყოველ ცალკეულ საქმეში.³²

³² QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-4 (3) მუხლის თანახმად: „საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად და შემდეგი საკითხების გათვალისწინებით...“. შემდეგ დასახელებულია ხუთი საკითხი. პირველი საკითხია: „ყველა შესაბამისი ფაქტი, რაც ეხება წარმოშობის ქვეყანას, განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების დროს, მათ შორის წარმოშობის ქვეყნის კანონებსა და რეგულაციებს და მათი გამოყენების პრაქტიკას.“

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილა საქმე,³³ სადაც დადგენილი იყო, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირი იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, ბლოგერი. მოსარჩელის განცხადებით, 2009 წელს, სახელმწიფომ იგი შეზღუდა თავის საქმიანობაში, რაც ბლოგერობის სწავლებას გულისხმობდა. ასევე, მის მიმართ ხორციელდებოდა დევნა.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა წარმოშობის ქვეყნის შესახებ უახლოეს ინფორმაციაზე, კერძოდ: Freedom House 2015 წლის ანგარიშში – „freedom of the press“ ირანის ისლამური რესპუბლიკის შესახებ წერს, რომ ირანული მედია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეპრესირებულია. კონკრეტული თემები მათ შორის, უზენაესი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის კრიტიკა ტაბუს წარმოადგენს. ფართოდაა გავრცელებული ცენზურა. ადგილი აქვს ყოველდღიური და ჟურნალის სტილის გამოცემების დახურვას და რეპორტიორების დაკავებას და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ზოგიერთი ჟურნალი აღნიშნავს, რომ ვითარება მცირედით გაუმჯობესდა 2013 წელს, ჰასან რუჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. რეპორტიორებს საშუალება მიეცათ შედარებით მეტ სენსიტიურ თემას შეხებოდნენ. ასევე, რამდენიმე ახალი პუბლიკაციის გამოცემაზე გაიცა ნებართვა. ანგარიშში ირანის პრესის სტატუსი განსაზღვრულია როგორც „არათავისუფალი.“ ასევე, Human Rights Watch 2016 წლის ანგარიშში – World Report ირანის შესახებ წერს, რომ უსაფრთხოების თანამშრომლები განაგრძობენ თავისუფალი სიტყვისა და განსხვავებული აზრის შევიწროებას. 2015 წლის დეკემბრისთვის, ირანში საპატიმრო დაწესებულებაში იყო 50-მდე ჟურნალისტი, ბლოგერი და სოციალური მედიის აქტივისტი, ხოლო მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე 2015-2016 წლების ანგარიშში Amnesty International ირანის შესახებ წერს, რომ ხელისუფლება განაგრძობს სიტყვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების სასტიკ შეზღუდვას. დაბლოკილია სოციალური ქსელები facebook, twitter და სხვა სოციალური მედია რესურსები. პერიოდულად, ადგილი აქვს მედია საშუალებების დახურვას. ქვეყანაში იბლოკება უცხოური სატელევიზიო ტელევიზია. ადგილი აქვს კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების დაკავებასა და დაპატიმრებას.

განსახილველ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ გამოთქმული სუბიექტური შიში არ არის გამყარებული ობიექტური გარემოებებით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული, კერძოდ, ბლოგერების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის და თავშესაფრის მინიჭების თაობაზე თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს დასკვნის მიხედვით, ირანში

³³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/3192-16.

პრესისა და ინტერნეტის თავისუფლების ხარისხი საკმაოდ დაბალია. გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტებისა და ბლოგერების დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტებს, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ შესწავლილ იქნა განმცხადებლის ბლოგები და დადგინდა, რომ იგი თავის ბლოგებზე ძირითადად, წერს ყოველდღიურ ამბებს, ირანსა და კავკასიის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, ირანი-საქართველოს ურთიერთობებისა და წარსულის შესახებ, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ირანის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურ განწყობად.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის წყაროს ღირებულების შეფასებისთვის საჭიროა დადგინდეს, რამდენად სრულყოფილად და ადეკვატურად ასახავს იგი შესაბამისი ქვეყნის პირობებს/საკითხებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,³⁴ სადაც დადგინდა იქნა, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირი იყო ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე, ეთნიკურად რუსი, რომელიც დააკავეს ქართველმა სამართალდამცავებმა და განუცხადეს, რომ ყაზახეთის რესპუბლიკაში მას ბრალად ედებოდა ცრუ მეწარმეობა, ყალბი საწარმოს შექმნა და მისი ხელმძღვანელობა, ასევე მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში. განმცხადებლის განმარტებით, მას წარმოშობის ქვეყანაში ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით (ყაზახეთის რესპუბლიკაში გაცემულია მისი დაპატიმრების ორდერი) და მისი შიში უკავშირდება სწორედ წარმოშობის ქვეყნის საპატიმრო დაწესებულებებში არსებულ წამების ფაქტებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა Amnesty International-ის 2015-2016 წლების ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ წამება და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტები კვლავ უცვლელი დარჩა ყაზახეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში. მართალია, წამებისა და სასტიკი მოპყრობის განაცხადები დანაშაულად რეგისტრირდება, თუმცა არ ხდება მათი სათანადო გამოძიება (...მაისში, ი. ტ. სცემეს ციხეში და სამი დღის მანძილზე იმყოფებოდა კომაში, რის შემდეგაც მას არ შეეძლო საუბარი და დახმარების გარეშე გადაადგილება. წლის დასასრულისათვის კი, იგი კვლავ ელოდებოდა აღიძვრებოდა თუ არა საქმე. პირველი იანვრიდან ოცდაათ ნოემბრამდე რეგისტრირებულია 119 განაცხადი, ხოლო წამების 465 საქმე შეწყდა. თერთმეტმა საქმემ მიაღწია სასამართლომდე, ხუთი ადამიანი სცნეს დამნაშავედ, რომელთაგან მხოლოდ ერთი დააპატიმრეს, თუმცა აღნიშნული ციფრები არ

³⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №3/7706-16.

გამოხატავენ პრობლემის რეალურ მასშტაბებს, რამდენადაც ბევრ მსხვერპლს ეშინია წამების შესახებ განაცხადის გაკეთება). ამასთან, ყაზახეთის შესახებ Human Rights Watch-ის 2016 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ წამება რჩება აქტუალურ საკითხად და დაუსჯელობა წარმოადგენს ნორმას.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ვალდებულია ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება, რომლის დროსაც მან უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოკვლეული უნდა იქნას რამდენად შესაძლებელია, რომ მოსარჩელე წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას, მაშინ როდესაც წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის თანახმად, თითქმის დადასტურებულია აღნიშნულის შესაძლებლობა.

ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებმა განაცხადი უნდა განიხილოს წარმოშობის ქვეყანაში არსებული პირობების შესახებ არსებული მტკიცებულებების ფონზე, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს იმ ანგარიშებს, რომლებიც იძლევა როგორც იქ არსებული პირობების დეტალურ მიმოხილვას, ისე შესაბამისი ჯგუფების ან პირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას (მაგალითად, სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ან მოწყვლადი კატეგორიების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციას).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,³⁵ რომელშიც დადგენილ იქნა, რომ თავშესაფრის მაძიებელი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ეთნიკურად ჩეჩენი, მუსლიმანი. განმცხადებლის მტკიცებით, იგი იღვენებოდა სექსუალური ორიენტაციის გამო.

თავშესაფრის მაძიებელმა განაცხადა, რომ რუსეთში დაბრუნება საფრთხის შემცველი იყო, ვინაიდან წარმოშობის ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა საწინააღმდეგოდ. სექსუალური ორიენტაციის გამო ხდებოდა პირთა სამსახურებიდან გათავისუფლება, ხშირი იყო სექსუალური უმცირესობების წევრებზე თავდასხმის ფაქტები.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2017 წლის 1 აპრილიდან მოყოლებული, მედიაში ქვეყნდება მთელი რიგი ცნობები ჩეჩნეთში ჰომოსექსუალურ ურთიერთობებში ეჭვმიტანილი მამაკაცების

³⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3/7077-16.

წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ. გაშუქდა, რომ 2017 წლის მარტიდან დაწყებული სულ მცირე, 160 მამაკაცი გაიტაცეს, უკანონოდ დააკავეს და აწამეს, რასაც სულ მცირე, 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია და ანტიდისკრიმინაციული ცენტრის მემორიალი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ უზრუნველყოს თითოეული პირის უსაფრთხოება, ხელშეუხებლობა და მიუკერძოებელი გამოძიება იმ დანაშაულებისა, რომლებიც დადასტურდა ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მიერ (Amnesty International-ის ინფორმაცია). ასევე, ექსპერტები მოუწოდებენ რუსეთის ხელისუფლებას ოფიციალურად დაემოს პომოვობიური განცხადებები, რაც უბიძგებს სიძულვილისა და ძალადობისკენ. თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილების მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, 2015 წლის ანგარიშში Freedom House რუსეთის ფედერაციის შესახებ წერს, რომ 2013 წელს მიღებული იქნა კანონი, რომელიც კრძალავს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონეთა ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული კანონი სამართლებრივ შეზღუდვას ადგენს ლგბტ აქტივისტების საქმიანობაზე და ახალისებს ძალადობას ლგბტ საზოგადოებაზე. რამდენიმე მასწავლებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს მათი სექსუალური ორიენტაციის გამო. Human Rights Watch 2016 წლის ანგარიშში – World Report რუსეთის ფედერაციის შესახებ წერს, რომ ხელისუფლება განაგრძობს ქვეყნის ანტილგბტ „პროპაგანდისტული“ კანონის გამოყენებას იმისთვის, რომ ჩაშალოს ლგბტ საზოგადოების მომხრეთა აქტივობები და შეავიწროოს ლგბტ პირები და მათი მომხრეები. პოლიცია სისტემატურად აკავეს ლგბტ პირების მომხრე აქტივისტებს. სექსუალური ორიენტაციის გამო ხდება პირთა სამსახურიდან გაათავისუფლება. ხშირია სექსუალური უმცირესობების წევრებზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტები. 2015-2016 წლების ანგარიშში Amnesty International რუსეთის ფედერაციის შესახებ აღნიშნავს, რომ ლგბტ პირების დისკრიმინაცია ფართოდაა გავრცელებული და ლგბტ საზოგადოების აქტივისტები ძალიან მტრულ გარემოში განაგრძობენ მოქმედებას. ხელისუფლება განაგრძობს ლგბტ პირების შეკრების თავისუფლების უფლების შეზღუდვას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნა უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ისეთ დარღვევას, როგორც არის წამება, შეურაცხყოფა, ძალადობა და სხვა ზიანის მიყენება და წარმოადგენდეს ქვეყნის დატოვების – უკიდურესი ქმედების შედეგს. განსახილველ შემთხვევაში, დევნის სუბიექტური შიში არსებულ ობიექტურ საფუძვლებთან შესაბამისობაშია და ქმნის სარწმუნო ვარაუდს იმის თაობაზე, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლებელია მოსარჩელის მიმართ განხორციელდეს დევნისა და წამების ფაქტები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის კეთილსინდისიერების შესანარჩუნებლად მოსამართლეებმა ამჟამად არსებული საფრთხე უნდა შეაფასონ ყველაზე ახალი არსებული მტკიცებულებების საფუძველზე და არ გამოიყენონ მოძველებული ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ. იმისთვის, რომ გადაწყვეტილება უახლეს ინფორმაციას ეფუძნებოდეს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს რეგულარულად ან პერიოდულად გამოცემულ ანგარიშებს. მაგალითად, ყოველწლიურად გამოიცემა UNHCR-ის პოზიციის გამომხატველი დოკუმენტები, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის (USDOS) ანგარიშები, Amnesty International-ისა და Human Rights Watch-ის ანგარიშები. Amnesty International და Human Rights Watch დამატებით გამოსცემენ შუალედურ ან პერიოდულ ანგარიშებს. დიდ ბრიტანეთში შინაგან საქმეთა დეპარტამენტის წარმოშობის ქვეყნების სამსახური გამოსცემს სხვადასხვა ქვეყნების შესახებ ინფორმაციას (COIR) ორ წელიწადში ერთხელ, ასევე მუდმივად განახლებადია ევროპული თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის (EASO) ანგარიშები.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე³⁶, რომელშიც მიუთითა შემდეგი: იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ თავშესაფრის მაძიებელს, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შესაძლოა დამუქრებოდა პატიმრობა, საჭიროდ იქნა მიჩნეული კვლევა განხორციელებულიყო „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმებით. კერძოდ, შეფასებულიყო მის მიმართ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის რეალური რისკი. სწორედ ამ მიზნით, საქათველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში არსებული საპატიმრო პირობები. კერძოდ:

EASO-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ რამდენიმე წყარო მიუთითებს თურქეთის ციხეებში განხორციელებული არაერთი პოზიტიური ცვლილებების შესახებ, მაგალითად, როგორცაა ციხის პირობებისა და ციხეში ზედამხედველობის გაუმჯობესება.

ამასთან, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ციხეების მდგომარეობა თურქეთში იყო არაადეკვატური და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტი 2017 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში თურქეთის შესახებ უკვე წერდა, რომ ციხის პირობები ზოგადად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, ცალკეული გამონაკლისების გარდა. აღსანიშნავია, რომ ასევე მიღებულ იქნა ზომები, რათა მომხდარიყო ციხის გადატვირთულობის თავიდან აცილება, ციხის შესაძლებლობების გათვალისწინებით და ასევე, პრობაციის სისტემის

³⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №33/2927-19.

შემოღებით, დამონტაჟებულ იქნა ზედამხედველობის კამერები დაკავების ადგილების 97 პროცენტში და საერთო ადგილებში, მათ შორის, გასაუბრების ოთახებში. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თურქეთში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ვითარების შესახებ 2019 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში (საანგარიშო პერიოდი – 2018 წელი) წერს, რომ საპატიმრო დაწესებულებები, ზოგადად, ბევრ ასპექტში თავსებადი იყო საერთაშორისო სტანდარტებთან. ადავსებულობა (განსაკუთრებით, 2016 წლის ჩაშლილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ) და ადეკვატურ ჯანდაცვაზე წვდომა კვლავ რჩებოდა მნიშვნელოვან პრობლემად.

ქვემოთ შემოთავაზებულია „საკონტროლო სია მოსამართლეებისთვის“ წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სადაც კითხვების სახით ჩამოყალიბებულია ის კრიტერიუმები (არასრული ჩამონათვალი), რომლებიც ასახავს დღესდღეობით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროს.³⁷

ინფორმაციის რელევანტურობა და ადეკვატურობა

- ✓ რამდენად რელევანტურია წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ინფორმაცია ამ კონკრეტული საქმისთვის?
- ✓ ადეკვატურად ეხმიანება/ფარავს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის წყარო საქმეში არსებულ საკითხებს?
- ✓ რამდენად ახალი და დროში რელევანტურია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია?

ინფორმაციის წყაროები

- ✓ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის წყარო დამაკმაყოფილებლად არის წარმოდგენილი?
- ✓ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომ და არსებულ წყაროებს ეფუძნება?
- ✓ მომზადებულია თუ არა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია ემპირიულად, სანდო მეთოდოლოგიის გამოყენებით?

ინფორმაციის ხასიათი/ტიპი

- ✓ არის თუ არა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი?

³⁷ ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეების საერთაშორისო ასოციაცია (IARLJ), ლტოლვილის და სხვა საერთაშორისო დაცვის განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებული პროცესი, 2017, გვ. 40.

- ✓ არის თუ არა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია დაბალანსებული და ხომ არ არის ზედმეტად შერჩევითი?

შეფასება სხვა სასამართლოების მიერ

- ✓ ხომ არ შეუფასებიათ წარმოშობის ქვეყნის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია სხვა ეროვნულ სასამართლოებს?

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა საქმეებმა ცხადყო, რომ საქართველოში საერთაშორისო დაცვის საქმეებზე საჩივრების განხილვისას, მოსამართლეები თავშესაფრის მაძიებლის (მაძიებლების) მონაყოლის მტკიცებულებითი ღირებულების შეფასებისას, დიდწილად, სწორედ წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ზოგად თუ კონკრეტულ ინფორმაციას ეყრდნობიან. ხშირ შემთხვევაში, ისინი აღნიშნულ ინფორმაციას დებულობენ ადმინისტრაციული ორგანოდან. თავის მხრივ კი, სამინისტრო მეტწილად ეყრდნობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა (მაგალითად, Amnesty International-ის და Human Rights Watch-ის) და შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების (მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროპული თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO)) ანგარიშებს. მაგალითად, სასამართლომ მის მიერ განსახილველ ერთ-ერთ საქმეში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებული მედია გარემოს შეფასებისას იხელმძღვანელა Freedom House-ის, Amnesty International-ისა და Human Rights Watch-ის ანგარიშებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ირანული მედია გარემო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეპრესირებულია“, „ირანის უსაფრთხოების თანამშრომლები განაგრძობენ სიტყვისა და განსხვავებული აზრის შევიწროვებას“ და ა.შ. ამასთან, 2017 წლებში განხილულ რამდენიმე საქმეში, სასამართლოსათვის, Amnesty International-ის 2015-2016 წლების ანგარიშის შესწავლის შემდეგ, თვალსაჩინო გახდა ყაზახეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, ანგარიშში საუბარი იყო წამებასა და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე, რომლებიც კვლავ უცვლელი რჩებოდა ყაზახეთის ციხეებში.

გარდა ამისა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში რელიგიური უმცირესობების (კოპტების) მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სასამართლო ერთ-ერთ საქმეში გაეცნო კანადის საიმიგრაციო სამსახურის მოკლე ანგარიშს, რომლის თანახმადაც, ეგვიპტის ხელისუფლებამ ვერ დაძლია დისკრიმინაცია რელიგიური უმცირესობების მიმართ, კოპტი ქრისტიანები კვლავ სისტემატიურად განიცდიდნენ თავდასხმებს, ხოლო სახელმწიფო ხელს ვერ უშლიდა რელიგიური უმცირესობების მიმართ ძალადობას.

ამასთან, კვლევამ ცხადყო, რომ გარკვეულ შემთხვევებში მოსამართლეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმის გამოკვლევას, თუ რამდენად ახალი და დროში რელევანტურია, სასამართლოსთვის წარდგენილი, წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ინფორმაცია. უახლესი ინფორმაციის გამოკვლევის მიზნით, სასამართლოს ინტერესის სფერო გამხდარა ბლოგებიც. მაგალითად, ჯოელ უინგის ბლოგი – *Musings on Iraq*, სადაც ანალიტიკოსი ერაყის რესპუბლიკაში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ წერს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოში წარდგენილი წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია საქმის განმხილველ მოსამართლეს აძლევს საშუალებას მოკლე დროში მიიღოს იმ საკითხების შესახებ შეძლებისდაგვარად ამომწურავი მიმოხილვა, რომელიც მას გადაწყვეტილების მიღებისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის საქმეები, სადაც ფიგურირებენ მოწვევადი კატეგორიის პირები. შესაბამისად, მოსამართლეების ვალდებულებაა სიღრმისეულად გამოიკვლიონ და შეაფასონ აღნიშნული კატეგორიის მიმართ არსებული საფრთხეები. მაგალითად, რა სოციალური სტატუსი აქვთ ქალებს და რა კულტურული და სოციალური ტრადიციები და წეს-ჩვეულებებია დამკვიდრებული წარმოშობის ქვეყანაში? უმცირესობების მიმართ ხომ არ არსებობს დიკრიმინაციული კანონი და (არსებობის შემთხვევაში) მათი აღსრულების რა პრაქტიკა არსებობს? არსებობს თუ არა სახელმწიფო დაცვის საშუალებები ძალადობის აღმოსაფხვრელად და ა.შ.

დაბოლოს, რადგან წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა საქმეებში განმსაზღვრელ მტკიცებულებად ითვლება, ამიტომ სასურველია, სასამართლო თავის მხრივ, ჩართული იყოს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში და დიდწილად არ იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც მხარეს წარმოადგენს სასამართლოში; აღნიშნული შეამცირებს კითხვებს იმის თაობაზე, არის თუ არა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია ობიექტურად დაბალანსებული და ხომ არ არის იგი ზედმეტად შერჩევითი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული სტანდარტების თანახმად, ხელისუფლებამ ეროვნულ დონეზე, მათ შორის სასამართლოებმა, უნდა განახორციელონ მათ ხელთ არსებული წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის სხვა სანდო წყაროებთან შედარება/გადამოწმება.³⁸ მნიშვნელოვანია მოსამართლეებს ხელი მიუწვდებოდეთ ზუსტ, მიუკერძოებელ და განახლებულ ინფორმაციაზე. ამისათვის, 2018 წელს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეგიონულმა წარმომადგენლობამ სამხრეთ კავკასიაში, განახორციელა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ქართველი მოსამართლეების წვდომას მაღალი ხარისხის

³⁸ Salah Sheekh v. the Netherlands, #1948/04, §136, 11 იანვარი, 2017.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციაზე. კერძოდ, COI მკვლევარები, რომლებიც UNHCR-ის მიერ მოწვეული კონსულტანტები არიან, მივლინებული არიან ორივე ინსტანციაში (თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში), რათა გონივრულ ვადებში, ობიექტურად და მიუკერძოებლად მოახდინონ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ამით გაუწიონ დახმარება მოსამართლეებს თავშესაფრის საკითხებზე გადაწყვეტილების პროცესში.

დევნა და დევნის განმახორციელებელი სუბიექტები

დევნა

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენცია არ იძლევა ტერმინის – „დევნის“ განსაზღვრებას, თუმცა იგი მოცემულია ევროკავშირის კანონმდებლობაში, კერძოდ, QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-9 (1) მუხლში, სადაც ვკითხულობთ: იმისთვის, რომ დევნის აქტი ჟენევის კონვენციის 1(A) მუხლის³⁹ მნიშვნელობის ფარგლებში იქნას განხილული, აქტი უნდა იყოს: ა) საკმარისად სერიოზული თავისი ხასიათით ან სისტემატურობით, რათა წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებების მძიმე დარღვევას, განსაკუთრებით, ისეთი უფლებების შემთხვევაში, რომელთაგან გადახვევა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-15(2) მუხლის⁴⁰ შესაბამისად დაუშვებელია; ბ) წარმოადგენდეს სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ისეთი ფაქტების, რომელიც საკმარისად მძიმეა, რათა ადამიანზე იმოქმედოს ისევე, როგორც ეს აღნიშნულია ა) პუნქტში.

ამდენად, აღნიშნული ნორმა ადგენს ორ ალტერნატიულ პირობას, რომ ქმედება ჩაითვალოს დევნად. ორივე ალტერნატივას აქვს ერთი საერთო მოთხოვნა, რომ ქმედება უნდა იყოს საკმარისად მძიმე. ხოლო განსხვავება არის ის, რომ მე-9 (1)(b) მუხლის მოქმედების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე მე-9 (1)(a) მუხლის და მასში მითითებული „სხვადასხვა ღონისძიებები“ არ არის აუცილებელი ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა იყოს, თუ ისინი ადამიანის

³⁹ იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi11.pdf>.

⁴⁰ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-15(2) მუხლის თანახმად: დაუშვებელია ამ დებულების საფუძველზე გადახვევა მე-2 მუხლიდან, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, გადახვევა მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან (კერძოდ, აღნიშნულ მუხლებში განსაზღვრულია: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, მონობისგან და ყმობისგან თავისუფლება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რეტროაქტიულად დაკისრებისგან თავისუფლება) იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>.

უფლებების საკმარისად მძიმე დარღვევებია იმისათვის, რომ იგივე გავლენა მოახდინოს პიროვნებაზე.⁴¹ თუმცა, პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით, დიდი განსხვავება არ არის QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის პუნქტებს შორის. დევნის მაკვალიფიცირებელი მთავარი მახასიათებელია ქმედების მძიმე შედეგი პირის უფლებებისთვის და არა ის, ფორმალურად თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის დარღვეული უფლება.

როგორც ზევით აღინიშნა, მე-9 (1)(a) მუხლის თანახმად, ქმედება უნდა იყოს საკმარისად სერიოზული თავისი ხასიათიდან და სისტემატურობიდან გამომდინარე, რომ ჩაითვალოს ადამიანის ძირითადი უფლებების მძიმე დარღვევად („ხასიათი“ ხარისხობრივი მახასიათებელია, ხოლო „სისტემატურობა“ რაოდენობრივი მაჩვენებელია). იმის დასადგენად, მიღწეულ იქნა თუ არა ეს დონე, განაცხადი უნდა შეფასდეს QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით⁴² და გათვალისწინებული უნდა იქნას განმცხადებლის ინდივიდუალური პოზიცია და პირადი გარემოებები. შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია პიროვნების კეთილსინდისიერება და ადამიანის ღირსება, აგრეთვე ზიანის ან ზიანის საფრთხის სახეობა და ხარისხი, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ განმცხადებლის ინდივიდუალურ მდგომარეობაზე, მათ შორის, დაუცველობის მიმანიშნებელი ფაქტორები, როგორცაა ადამიანის წარსული, გენდერი და ასაკი. ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევა შეიძლება მძიმე დარღვევად დაკვალიფიცირდეს კონკრეტული განმცხადებლისთვის მისი შედეგიდან გამომდინარე.

⁴¹ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ის დაკვეთით, 2016, გვ. 35.

⁴² QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეფასება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად და ითვალისწინებდეს შემდეგს: a) ყველა შესაბამის ფაქტს, რამდენადაც ისინი განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოშობის ქვეყანას უკავშირდება, მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის კანონებსა და რეგულაციებს და მათი გამოყენების წესს; b) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ შესაბამის განცხადებებსა და დოკუმენტაციას, მათ შორის, ინფორმაციას, იყო ან იქნება თუ არა განმცხადებელი დევნის ან სერიოზული ზიანის საგანი; c) განმცხადებლის ინდივიდუალურ პოზიციასა და პირად გარემოებებს, მათ შორის, ისეთ ფაქტორებს, როგორცაა წარმომავლობა, სქესი და ასაკი, რათა მოხდეს შეფასება, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ის აქტები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ან შეიძლება აღმოჩნდეს განმცხადებელი, განმცხადებლის პირადი გარემოებების საფუძველზე, დევნის ან სერიოზული ზიანის ტოლფასი; d) იყო თუ არა განმცხადებლის აქტივობები წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ მიმართული ერთადერთი და მთავარი მიზნისკენ, შეექმნა აუცილებელი პირობები საერთაშორისო დაცვის მისაღებად, რათა შეფასდეს, აღმოჩნდება თუ არა განმცხადებელი ამ საქმიანობის გამო დევნის ან სერიოზული ზიანის მსხვერპლი იმ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში; e) რამდენად მიზანშეწონილია იმის მოლოდინი, რომ განმცხადებელი ისარგებლებს სხვა ქვეყნის დაცვით, სადაც მას შეუძლია მოითხოვოს მოქალაქეობა.

იხ.: http://migration.commission.ge/files/16_95_2011_13.12.2011eu.pdf.

წითელი ხაზი, რომელიც ქმედებას დევნად გადააქცევს, შეიძლება გადაიკვეთოს ერთჯერადი აქტითაც, რომლითაც მძიმედ დაირღვა ადამიანის ძირითადი უფლებები და ასეთი ქმედებების განმეორებით ჩადენითაც, თუნდაც ამ ქმედებებიდან თითოეული მათგანი ცალკე აღებული არ უთანაბრდებოდეს მძიმე დარღვევას. მაგალითად, თავისუფლების უმნიშვნელო აღკვეთა, როგორცაა ხანმოკლე უკანონო დაკავება, არ არის საკმარისი, რომ მძიმე დარღვევად ჩაითვალოს მაშინ, როცა თუ ასეთ ღონისძიებას განმეორებითი ხასიათი ექნება – ის შეიძლება გაუთანაბრდეს დევნას. ამასთან, CJEU-მა, დევნის შეფასებისას, მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნია პატიმრობის ისეთი ვადის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება, რომელიც არაპროპორციული ან დისკრიმინაციულია.⁴³

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში სქემატურად არის წარმოდგენილი ის კითხვები, რომელთა დასმასაც მოითხოვს „საკმარისი სიმძიმის ტესტი“ ქმედების დევნად დაკვალიფიცირებისთვის:

<p>1. ქმედების ხასიათის ან სისტემატურობის გათვალისწინებით, არის თუ არა ის იმდენად მძიმე, რომ ჩაითვალოს ადამიანის მინიმალური უფლებების მძიმე დარღვევად?</p>	<p>ა) არის საფრთხე, რომ ადამიანის მინიმალური უფლება დაირღვევა ან უკვე დაირღვა?</p>	<p>ა) შესაბამისი უფლება არის ისეთი უფლება, რომლიდან გადახვევაც არ შეიძლება? თუ მოცემული უფლება არის ერთ-ერთი ისეთი უფლება, რომელთაგან გადახვევა არის დაუშვებელი ECHR-ის მე-15(2) მუხლის მიხედვით, იგი ავტომატურად უნდა ჩაითვალოს „ადამიანის ძირითად უფლებად.“ სავარაუდოდ, ადამიანის მინიმალურ უფლებებად შეიძლება ჩაითვალოს სხვა უფლებებიც, რომლებიც არ არის მითითებული ECHR-ში, მაგრამ ასეთივე ხასიათისაა.</p>
	<p>ბ) არის საფრთხე, რომ ეს დარღვევა იქნება მძიმე ან უკვე არის ის მძიმე? ეს უნდა შეფასდეს განმცხადებლის პირადი გარემოებებიდან გამომდინარე, QD დირექტივის (ცვლილებებით) მუხლი 4(3)</p>	<p>ბ) თუ მოცემული უფლება არ არის ისეთი უფლება, რომლიდან გადახვევაც დაუშვებელია, მაშინ ხომ არ არის ის ფუნდამენტური ხასიათის და ამდენად აბსოლუტურ უფლებებთან გათანაბრებული? განსხვავებით აბსოლუტური უფლებებისგან, რომელთაა შეზღუდვა არასოდეს არ არის ლეგიტიმური (ECHR-ის მუხლი 15(2)), არააბსოლუტური უფლების შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ხომ არ შეიძლება მისი შელახვა სამართლებრივად გამართლდეს, როგორც გადახვევა ან შეზღუდვა.</p>
	<p>ა) ქმედება საკმარისად მძიმეა იმისთვის, რომ ჩაითვალოს მძიმე დარღვევად? აბსოლუტური უფლების დარღვევა კი, შეიძლება ჩაითვალოს მძიმედ, მაგრამ არააბსოლუტური უფლებების დარღვევა უნდა იყოს ისეთი სიმძიმის, რომ უთანაბრდებოდეს აბსოლუტური უფლების დარღვევას.</p>	<p>ბ) თუ ქმედება არ არის საკმარისად მძიმე, რომ ჩაითვალოს მძიმე დარღვევად, გადაიქცა თუ არა ის საკმარისად მძიმე მისი განმეორებითი ხასიათიდან გამომდინარე?</p>
	<p>ბ) თუ ქმედება არ არის საკმარისად მძიმე, რომ ჩაითვალოს მძიმე დარღვევად, გადაიქცა თუ არა ის საკმარისად მძიმე მისი განმეორებითი ხასიათიდან გამომდინარე?</p>	<p>ბ) თუ ქმედება არ არის საკმარისად მძიმე, რომ ჩაითვალოს მძიმე დარღვევად, გადაიქცა თუ არა ის საკმარისად მძიმე მისი განმეორებითი ხასიათიდან გამომდინარე?</p>

⁴³ CJEU-ის გადაწყვეტილება საქმეზე Bundesrepublik Deutschland v. Y and Z, §63, 2012 წლის 5 სექტემბერი.

	<p>თუ ქმედება აკმაყოფილებს ამ ორ კუმულაციურ პირობას, მაშინ ის უნდა ჩაითვალოს დევნის ქმედებად მე-9(1)(a) მუხლის მიხედვით და ლტოლვილთა კონვენციის 1A მუხლის გაგებით. თუ ქმედება არ აკმაყოფილებს ამ ორ კუმულაციურ პირობას, ის მაინც შეიძლება უთანაბრდებოდეს დევნის ქმედებას, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ, მეორე ნაბიჯში მოცემულ პირობებს (მუხლი 9(1)(b)).</p>
<p>2. ხომ არ წარმოადგენს ეს ქმედება სხვადასხვა ღონისძიების – მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ერთობლიობას და ისეთი სიმძიმის არის, რომ მისი შედეგი პირისთვის ისეთივეა, როგორც გათვალისწინებულია მე-9(1)(a) მუხლით?</p>	<p>ღონისძიებების კომბინირებული შედეგი (გავლენა) უნდა შეფასდეს განმცხადებლის პირადი გარემოებებიდან გამომდინარე, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა ის ქმედება, რომელიც განხორციელდა ან არსებობს საფრთხე, რომ განხორციელდეს განმცხადებლის მიმართ (მუხლი 4(3)). ტერმინი „ღონისძიებები“ მოიცავს ყველა ღონისძიებას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომელთა შედეგი პიროვნებისთვის შეიძლება იყოს ისეთივე, როგორც აქვს ადამიანის ძირითადი უფლებების მძიმე დარღვევას. სხვადასხვა ღონისძიების ერთობლიობა დევნას წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გავლენა განმცხადებელზე არის ისეთივე, როგორც მე-9(1)(a) მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გავლენა. აქ გადამწყვეტი ელემენტია პიროვნების უფლებების დარღვევის სიმძიმე.</p>

რაც შეეხება QD ღირექტივის (ცვლილებებით) მე-9(1)(b) მუხლში ნახსენებ სიტყვას „ღონისძიებებს,“ როგორც ცხრილში აღინიშნა, ის ფართო მნიშვნელობით მოიცავს ყველანაირ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია პირზე მოახდინოს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევის ანალოგიური ეფექტი. სიტყვა „ანალოგიური“ უნდა გავიგოთ ლტოლვილთა კონვენციის 1A მუხლით⁴⁴ განსაზღვრული დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო (Bundesverwaltungsgericht) იყენებს UNHCR-ის სახელმძღვანელოში რეკომენდირებულ კუმულაციურ მიდგომას და აცხადებს, რომ რელიგიის თავისუფლების დარღვევის სიმძიმესთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები დისკრიმინაციული ეფექტის მქონე სხვადასხვა ქმედებები და ღონისძიებები, მაგალითად, საგანმანათლებლო ან ჯანდაცვის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან მნიშვნელოვანი შეზღუდვები პროფესიულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, რის შედეგადაც ადამიანს უჭირს თავის შენახვა. მსგავსად ამისა, ავსტრიის უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ (Verwaltungsgerichtshof) მიიჩნია, რომ ავღანეთში ქალების წინააღმდეგ არსებულმა სხვადასხვა დისკრიმინაციულმა ღონისძიებებმა, რომლებიც ხელს უშლის მათ სამედიცინო მკურნალობის მიღებაში, მოახდინა

⁴⁴ იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi11.pdf>.

ანალოგიური გავლენა ქალებზე, რასაც მოახდენდა მე-9(1)(a) მუხლით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებების მიმე დარღვევა.⁴⁵

ბევრ საზოგადოებაში მართლაც არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოპყრობა სხვადასხვა ჯგუფისადმი. თუ პირს ნაკლებად კარგად ექცევიან აღნიშნული განსხვავებების გამო, ეს აუცილებლად დევნას არ გულისხმობს. დისკრიმინაცია შეიძლება გაუთანაბრდეს დევნას, თუ დისკრიმინაციის ზომების შედეგად შესაბამისი პირის მიმართ არსებითად შემავიწროებელ მოპყრობას აქვს ადგილი. მაგალითად, ხდება მისი საარსებო სახსრების გამომუშავების უფლების სერიოზული შეზღუდვა, რწმენის და აღმსარებლობის უფლების შეზღუდვა ან ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების შეზღუდვა, რომელიც ზოგადად, ხელმისაწვდომია სხვა მოქალაქეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციის ზომები შესაძლოა არ იყოს სერიოზული ხასიათის, ამან შეიძლება მაინც გამოიწვიოს დევნის დასაბუთებული შიში, თუ შესაბამისი პირის აზრით, აღნიშნული ზომების შედეგად მას ეუფლება მომავალთან დაკავშირებით შიშის და დაუცველობის შეგრძნება.⁴⁶

აღსანიშნავია, რომ QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-9(2) მუხლი გვთავაზობს ისეთი ქმედებების ან ღონისძიებების არაამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც სხვა ქმედებებთან ერთად, შეიძლება ჩაითვალოს დევნად. ეს ჩამონათვალი მოიცავს როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ ქმედებებს და ისინი სტრუქტურულად ნაჩვენებია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

1.	ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის ქმედებები მათ შორის, სექსუალური ძალადობის ქმედებები
2.	სამართლებრივი, ადმინისტრაციული, პოლიციური ან/და სასამართლო ღონისძიებები, რომლებიც თავად არის დისკრიმინაციული ან რომელთა განხორციელების ფორმა არის დისკრიმინაციული
3.	სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციული ან დისკრიმინაციულია
4.	სასამართლოში დაცვის საშუალებაზე უარი, რომელიც შედეგად იწვევს არაპროპორციულ ან დისკრიმინაციულ სასჯელს
5.	სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი იმის გამო, რომ პირმა უარი თქვა სამხედრო სამსახურის გავლაზე კონფლიქტის დროს, როდესაც სამხედრო სამსახურის შესრულება მოიცავს დანაშაულების ან ისეთი ქმედებების ჩადენას, რომლებიც წარმოადგენს მე-12 (2) მუხლით გათვალისწინებულ გამორიცხვის საფუძვლებს

⁴⁵ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია EASO-ს დაკვეთით, ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ, 2016, გვ. 48.

⁴⁶ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §54-55, გვ. 16.

6. გენდერის ან ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.

დევნა უნდა განვასხვავოთ სამართლებრივი დევნისგან და დასჯისგან, როდესაც სამართლებრივი დევნა და დასჯა ხორციელდება რაიმე სამართალდარღვევის გამო. ადამიანები, რომლებიც სამართლებრივ დევნას ან სასჯელს გაუბრძნებენ, როგორც წესი, არ ითვლებიან ლტოლვილებად. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლტოლვილი არის უსამართლობის მსხვერპლი – ან პოტენციური მსხვერპლი, და არა პირი, რომელიც მართლმსაჯულებას გაუბრძნობს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმე შეიძლება სხვაგვარად იყოს თუ ის ეხება გადაჭარბებულ სასჯელს ან როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა თვითონ უთანაბრდება დევნას, ამ ტერმინის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ქენევის კონვენციის 1951 წლის 1A(2) მუხლის გაგებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში⁴⁷ მიუთითა შემდეგი: იმისთვის, რომ პირს მიენიჭოს თავშესაფარი, აუცილებელია იმ ფაქტების დამტკიცება, რომ მან ქვეყანა დატოვა არა უბრალოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, არამედ სახელმწიფოს მიერ ისეთი ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შედეგად, რაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის დევნისა და საფუძვლიანი შიშის შემადგენლობას ქმნის ან მიუთითებს ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების წინაპირობების არსებობაზე.

წინამდებარე საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავშესაფრის მაძიებლის მიერ მსგავსი გარემოებები და მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იყო. კერძოდ, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქისათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს სტატუსის დადგენის განყოფილების დასკვნაზე, სადაც თავშესაფრის მაძიებელი მიუთითებდა მასთან სისტემატურად კონტაქტში მყოფ ბანდა „ფოლადის“ წევრებზე, რომლებსაც სურდათ ბანდაში მისი გაწევრიანება, რადგან მისი რეპუტაცია მათზე დადებითად იმოქმედებდა. თუმცა თავშესაფრის მაძიებლის განმარტებით, მისი მხრიდან აღნიშნულ შეთავაზებაზე რამდენიმე უარის თქმის შემდეგ მას უკვე დაჯგუფების წევრები ფიზიკურად უსწორდებოდნენ, აგინებდნენ და ემუქრებოდნენ. ამასთან, განმცხადებლის თქმით, შესაძლებელია, რომ „ფოლადის“ ბანდის წევრებმა მასზე შური იძიონ ბანდის წევრის სიკვლის გამო, თუმცა თავშესაფრის მაძიებელი იქვე დასძენს, რომ თითქმის 2 წელი და 6 თვეა გასული აღნიშნული ფაქტის შემდეგ და არც კი იცის, ბანდა „ფოლადი“ კვლავ ფუნქციონირებს თუ არა. უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნაში ხაზგასმულია

⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განჩინება საქმეზე №33/2927-19.

ის გარემოებაც, რომ ხსენებული დაჯგუფების მიმართ თურქეთის სამართალდამცავმა უწყებებმა აღძრეს სისხლისსამართლებრივი დევნა, რის შედეგადაც ლიდერი იმალება და შესაძლოა, ბანდამ ამ ეტაპზე შეწყვიტა კიდევ ფუნქციონირება, რაც მეტყველებს სამართალდამცავების აღექვატურ მოქმედებაზე.

განსახილველ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ პირის ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავს საფუძვლიანი შიში, რაც მდგომარეობს არა მხოლოდ შესაბამისი პირის განწყობაში, არამედ პირის განწყობა გამყარებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით. ამდენად, „საფუძვლიანი შიში“ შედგება სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისაგან. თავშესაფრის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს, რატომ აქვს დევნის შიში. პალატამ განმარტა, რომ კონვენციური დევნა უნდა განვასხვავოთ საერთო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად დანიშნული სასჯელის აღსრულების მიზნით პირის დევნიდან. ამასთან სასამართლოს თქმით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლტოლვილი არის უსამართლობის მსხვერპლი - ან პოტენციური მსხვერპლი, და არა პირი, რომელიც მართლმსაჯულებას გაურბის ან მისი მსოფლმხედველობის გამო არ სურს მიმართოს დახმარებისთვის წარმოშობის ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, როგორც მოცემულ შემთხვევაშია. კერძოდ, განმცხადებელი თავადაც არ უარყოს და დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, თუკი მას ზემოხსენებული ბანდა მიაკითხავს არ უნდა თავდაცვისას კვლავ „ვინმე შემოაკვდეს“. ამასთან, არ მიაჩნა მიზანშეწონილად საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს, რადგან მისი მსოფლმხედველობით „ეს არ არის სწორი საქციელი“, რაც ცალსახად მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობაზე და კონვენციის მიზნებისათვის შიშის არარსებობაზე. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა თავად თავშესაფრის მაძიებლის კრიმინალურ წარსულზე, რომლის მიხედვითად მოსარჩელეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი აქვს გატარებული თურქეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში, რაც ასევე მიუთითებს მოსარჩელის მიზანზე აარიდოს თავი მართლმსაჯულებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მართებულად მიიჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის უარი თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. რაც შეეხება ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხს, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ თავშესაფრის მაძიებელს, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შესაძლოა დამუქრებოდა პატიმრობა, საჭიროდ იქნა მიჩნეული კვლევა შეფასებულიყო მის მიმართ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის რეალური რისკი. ამ მიზნით

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესწავლილ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში არსებული საპატიმრო პირობები, რომლის საფუძველზეც სასამართლომ გაიზიარა დასკვნა იმის თაობაზე, რომ თავშესაფრის მაძიებელს არ გააჩნია ისეთი სახის ინდივიდუალური გარემოება, რომ ექსტრადირებისა და საპატიმრო პირობებში მოთავსების შემთხვევაში დადგეს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის რეალური რისკის ქვეშ. ამასთან ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, თურქეთის რესპუბლიკაში არ ფიქსირდება განურჩეველი ძალადობის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევები.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განისაზღვრა დევნის და სერიოზული ზიანის საფრთხის არსი. კერძოდ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, არსებითია დევნის საფუძვლიანი შიშის ან სერიოზული ზიანის მიყენების შესაძლებლობის შეფასება. კანონის 32-ე მუხლის თანახმად, დევნა არის ქმედება, რომელიც თავისი ბუნებით ან განმეორებითი ხასიათის გამო იმდენად სერიოზულია, რომ წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზულ დარღვევას. სერიოზული ზიანი შეიძლება მიადგეს პირს, როდესაც მის მიმართ სასჯელის ზომად შესაძლებელია გამოყენებული იყოს სასიკვდილო განაჩენი ან მის მიმართ დადგეს სიკვდილით დასჯის საფრთხე, წარმოშობის ქვეყანაში პირის წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა, ასევე, პირის სიცოცხლისთვის სერიოზული ინდივიდუალური საფრთხე განურჩეველი ძალადობის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. კვლევის ფარგლებში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში⁴⁸ საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე, თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს დასკვნაში მითითებული იყო, რომ „ერიტრეას სახელმწიფოში არსებობს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, შესაძლოა, რომ სამხედრო სამსახურში განუსაზღვრელი ვადით გაწვევას დაექვემდებარონ, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ღირსების შემლახავი მოპყრობა, რაც „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კვალიფიცირდება როგორც სერიოზული ზიანი.⁴⁹

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის მსგავსად, QD დირექტივაც (ცვლილებებით) ლტოლვილის დაცვას სთავაზობს მას, ვისაც გააჩნია საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის,

⁴⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/3292-18.

⁴⁹ იქვე.

რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო (აღნიშნულ ჩამონათვალს რაიმე იერარქიული მნიშვნელობა არ გააჩნია. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, დევნა გამოწვეულია ამ მიზეზებიდან ერთი თუ რამდენიმე მათგანის ერთობლიობით). ასევე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელია დადგინდეს, რომ თავშესაფრის მაძიებელს აქვს საფუძვლიანი შიში, რომ ის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში გახდება დევნის მსხვერპლი გარკვეული გარემოებების გამო, ხოლო ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის კი, უნდა გამოვლინდეს, რომ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას, ამ კანონით გათვალისწინებული სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,⁵⁰ სადაც სახდოდ იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა სირიის არაბთა რესპუბლიკა იქ არსებული საომარი ვითარების გამო დატოვა, მაგრამ აღნიშნული ფაქტი თავისი არსით არ მიეკუთვნებოდა „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ევნევის 1951 წლის კონვენციითა და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილ ნიშნებს, რაც იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ გაეგრძელებინა კვლევა ლტოლვილის სტატუსის დადგენის მიმართულებით. ამასთან, სამინისტროს მხრიდან მოსარჩელისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა შესაბამისი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, არსებობდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ თავშესაფრი მაძიებლის საქართველოში ყოფნა საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი და შესაბამისად, „თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, ვინაიდან „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენს, რომ არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილება „უნდა შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს უნდა ითვალისწინებდეს.“

ამასთან, სასამართლომ მითითება გააკეთა „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ 22-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც მონაწილე

⁵⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/6365-17.

სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვი, რომელსაც ლტოლვილის სტატუსის მიღება უნდა ან მიხნეულია ლტოლვილად საერთაშორისო ან შიდა სამართლის და პროცედურების შესაბამისად, ახლავს ან არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, სათანადო დაცვით და ჰუმანიტარული დახმარებით იმ უფლებათა გამოყენებაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე კონვენციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში ან ჰუმანიტარულ დოკუმენტებში, რომელთა მონაწილეც არიან აღნიშნული სახელმწიფოები.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული „არ ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოსარჩელე საფრთხეს უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას“ და შესაბამისად მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო. კერძოდ, სასამართლომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა თავმესაფრის მაძიებლისთვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე.

QD დირექტივა (ცვლილებებით) ეცადა გარკვეული სიცხადის შეტანას დევნის საფუძვლებს შორის და მე-10 მუხელში განმარტა, რომ რასის კონცეფცია უნდა მოიცავდეს კანის ფერს, წარმომავლობას ან გარკვეული ეთნიკური ჯგუფის წევრობას. ზოგადად, რასის ნიშნით დისკრიმინაცია მსოფლიო მასშტაბით დაგმობილია, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მიუღებელი ფორმა. ამდენად, დევნის არსებობის დადგენისას, რასობრივი დისკრიმინაცია მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

რაც შეეხება რელიგიის ცნებას, იგი უნდა მოიცავდეს თეისტური, არათეისტური და ათეისტური შეხედულებების არსებობას, ფორმალურ მსახურებაში მონაწილეობას ან მონაწილეობისგან თავის შეკავებას, კერძოდ თუ საჯაროდ, მარტო ან სხვებთან ერთად, სხვა რელიგიურ ქმედებებს ან აზრის გამოხატვას, აგრეთვე, პირად ან თემურ ქცევას, რომელიც ეფუძნება ან განპირობებულია რელიგიური რწმენით.⁵¹ აღნიშნული აისახა CJEU-ის გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლომ თქვა, რომ დირექტივის მიხედვით, რელიგია „მოიცავს ყველა მის

⁵¹ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ვეროპის განყოფილების (IARLJ-ვეროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 63.

შემადგენელ კომპონენტს, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, კოლექტიური თუ ინდივიდუალური.⁵²

„რელიგიური მიზეზების გამო“ დევნამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, მაგალითად, რელიგიური გაერთიანების წევრობის აკრძალვა, ცალკე ან საზოგადოებაში რელიგიური რიტუალების შესრულების, რელიგიური წესების აკრძალვა ან პირების მიმართ დისკრიმინაციის სერიოზული ფორმების გამოყენება იმის გამო, რომ ისინი ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს ან მიეკუთვნებიან რომელიმე რელიგიურ ჯგუფს.⁵³

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,⁵⁴ რომელშიც დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელე იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქე (ქალი), ეთნიკურად არაბი, ქრისტიანი – კოპტი, რომელმაც შვილებთან ერთად დატოვა წარმოშობის ქვეყანა და გამოემგზავრა საქართველოში. თავშესაფრის მაძიებელს მეუღლის აღმსარებლობის ცვლილებებიდან გამომდინარე შეექმნა პრობლემები, კერძოდ, მასზე ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა.

აღნიშნული საქმის განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, რომელიც არ ყოფილა მითითებული სამინისტროში პირადი გასაუბრების დროს. კერძოდ, წარდგენილი ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ წარმოშობის ქვეყანაში განმცხადებელმა მიმართა სამართალდამცავ ორგანოს დახმარების მიზნით და მიუთითა, რომ სალაფიტების ჯგუფის წარმომადგენლებმა სახლში მიაკითხეს და ემუქრებოდნენ შვილების წაყვანით, რათა მათ მიეღოთ „ჭეშმარიტი რელიგია,“ რაზეც მხარის განმარტებით, სამართალდამცავების მხრიდან არ მომხდარა რეაგირება.

ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ეგვიპტის რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგია არის ისლამი და ეგვიპტელთა უმრავლესობა სუნიტი მუსლიმანია, ხოლო კოპტი ქრისტიანები წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობას. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის კონსტიტუციამ რელიგიის თავისუფლება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას მიაკუთვნა, კოპტების მიმართ ძალადობა მაინც გრძელდება. იყო იძულებითი გადასახლების

⁵² CJEU-ს გადაწყვეტილება საქმეზე Bundesrepublik Deutschland v. Y and Z, §63, 2012 წლის 5 სექტემბერი.

⁵³ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §72, გვ. 19.

⁵⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/2268-17.

შემთხვევები, ფიზიკური თავდასხმები, ეკლესიის მშენებლობის დარბევა (Amnesty International-ის ინფორმაცია) და ა. შ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნა უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ისეთ დარღვევას, როგორც არის წამება, შეურაცხყოფა, ძალადობა და სხვა ზიანის მიყენება და უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის დატოვების – უკიდურესი ქმედების შედეგს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში, დევნის სუბიექტური შიში არსებულ ობიექტურ საფუძვლებთან შესაბამისობაშია და ქმნის სარწმუნო ვარაუდს იმის თაობაზე, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოსარჩელისა და მისი არასრულწლოვანი შვილების მიმართ განხორციელდეს დევნისა და წამების ფაქტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები აკმაყოფილებდა 1951 წლის კონვენციით დადგენილ ლტოლვილის ცნების განმსაზღვრელ ძირითად მოთხოვნას, კერძოდ, სახეზე იყო თავშესაფრის მაძიებლის მიმართ დევნა, რომელიც გამოიხატებოდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვაში (საბოლოოდ სარჩელი დაკმაყოფილდა).

ეროვნების კონცეფცია არ არის შეზღუდული მოქალაქეობის ქონით ან არქონით, არამედ იგი უნდა მოიცავდეს ისეთი ჯგუფის წევრობას, რომლის საერთო მახასიათებლებია კულტურული, ეთნიკური ან ენობრივი იდენტობა, საერთო გეოგრაფიული ან პოლიტიკური წარმომავლობა ან სხვა სახელმწიფოს მოსახლეობასთან მისი კავშირი.⁵⁵

ამასთან, UNHCR-ის სახელმძღვანელო გეუბნება შემდეგს: ტერმინი „ეროვნება“ ამ კონტექსტში არ გულისხმობს მხოლოდ „მოქალაქეობას.“ ეროვნებაში იგულისხმება ეთნიკური ან ლიგვისტური ჯგუფის წევრობა და შეიძლება ზოგჯერ ემთხვეოდეს ტერმინის – „რასა“ მნიშვნელობას. დევნა ეროვნების ნიშნით შეიძლება მოიცავდეს ნეგატიურ განწყობას და ზომებს, რომლებიც მიმართულია ეროვნული (ეთნიკური, ლინგვისტური) უმცირესობების წინააღმდეგ და გარკვეულ გარემოებებში ამ უმცირესობების წევრობამ შეიძლება თავისთავად გამოიწვიოს დევნის საფუძვლიანი შიში.⁵⁶

⁵⁵ QD დირექტივის (ცვლილებებით) მუხლი მე-10(c)

იხ.: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:337:0009:0026:en:PDF>.

⁵⁶ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §74, გვ. 20.

სახელმწიფოს საზღვრებში ორი ან მეტი ეროვნების (ეთნიკური, ლინგვისტური) ჯგუფების თანაარსებობამ შეიძლება კონფლიქტური სიტუაციები, აგრეთვე დევნის ან დევნის საფრთხის შემცველი სიტუაციები გამოიწვიოს.

ეროვნების ნიშნით დევნასა და პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნას შორის ზღვარის გავლება შეიძლება ყოველთვის იოლი არ იყოს, როდესაც ეროვნულ ჯგუფებს შორის კონფლიქტს თან ახლავს პოლიტიკური მოვლენები, განსაკუთრებით, როდესაც პოლიტიკური მოვლენები ასოცირდება კონკრეტულ „ეროვნებასთან.“⁵⁷

QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-10 (d) მუხლიდან ჩანს, რომ „გარკვეული სოციალური ჯგუფის“ ცნება ორი კომპონენტისგან შედგება, რომელიც ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:⁵⁸

1.	თანდაყოლილი საერთო მახასიათებელი ან საერთო წარსული, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ან საერთო მახასიათებელი ან მრწამსი, რომელიც იმდენად ფუნდამენტურია მისი ვინაობისთვის ან ცნობიერებისთვის, რომ დაუშვებელია პირის იძულება, უარი თქვას მასზე;
2.	განსხვავებული ვინაობა იმის გამო, რომ აღიქმება განსხვავებულად ირგვლივ მყოფი საზოგადოების მიერ.

აღნიშნული ორი კომპონენტის განმარტება მოახდინა ჩეხეთის უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, რომელიც ეხებოდა ერაყის შეიარაღებული ძალების ყოფილ მოსამსახურებს:⁵⁹

ჩეხეთის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს განმარტებით:

(საქმე HR v Ministry of the Interior, 5 Azs 2/2012-49)

[ეს ჯგუფი] ადვილად ამოცნობადი იყო, რადგან ეს ის ადამიანები არიან, ვინც სადამ კუსეინის რეჟიმის დაცემამდე მსახურობდნენ ერაყის შეიარაღებულ ძალებში და სხვა შეიარაღებულ სტრუქტურებში ან მონაწილეობდნენ ხელისუფლების განხორციელებაში. ამიტომ დანარჩენი მოსახლეობა მათ აღიქვამს ყოფილი რეჟიმის მხარდამჭერებად ან წარმომადგენლებად, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისინი სუნიზმის მიმდევრები არიან. პირთა ეს

⁵⁷ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §75, გვ. 20.

⁵⁸ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 65.

⁵⁹ იქვე.

ჯგუფი ისეთია, რომლის ამოცნობა საკმაოდ ზუსტად შეიძლება, რადგან მათი მდგომარეობა არის იდენტური ან მსგავსი და UNHCR-ის რეკომენდაციის თანახმად, მათ შეიძლება ემუქრებოდეთ დევნის და თავდასხმების საფრთხე შეიარაღებული ჯგუფისგან, რისი თავიდან აცილებაც ერაყის მთავრობას ამ ეტაპზე არ შეუძლია.

QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-10(d) მუხლის ბოლო პარაგრაფი კი, პირდაპირ უთითებს სექსუალურ ორიენტაციაზე და გენდერზე, როგორც გარკვეული სოციალური ჯგუფის შესაძლო საერთო მახასიათებლებზე.⁶⁰ ამასთან, QD დირექტივის (ცვლილებებით) პრეამბულის 30-ე პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფის განსაზღვრის მიზნებისთვის, სათანადოდ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული განმცხადებლის გენდერთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია, როგორც კავშირში მყოფი განმცხადებლის დასაბუთებულ შიშთან, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს ისეთი სამართლებრივი ტრადიციები და ჩვეულებები, რომლებიც შედეგად იწვევს მაგალითად, სასქესო ორგანოების დამახინჯებას, იძულებით სტერილიზაციას და იძულებით აბორტს.⁶¹

საფრანგეთის სახელწიფო საბჭომ განაცხადა:⁶²

(Conseil d'Etat) (საქმეზე Ms DF, (განაცხადი 332491))

[...] საზოგადოებაში, სადაც ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება იმდენად ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, რომ სოციალურ ნორმას წარმოადგენს, ხოლო ბავშვები და მოზარდები, რომლებიც არ არიან ამგვარად დამახინჯებულნი, წარმოადგენენ სოციალურ ჯგუფს. ამასთან, დაცვის მინიჭების თაობაზე განაცხადის დასასაბუთებლად სახელმწიფო საბჭო შესაბამისი მხარისგან მოითხოვს დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას კერძოდ, ოჯახური, გეოგრაფიული და სოციოლოგიური ინფორმაციის წარდგენას, რაც ეხება პირადად ამ ქალის წინაშე არსებულ საფრთხეებს.

გარდა ამისა, ქალები ჩაითვლებიან გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრებად ისეთ საზოგადოებაში, რომელიც ახდენს მათ დისკრიმინაციას. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, სასამართლომ სომალის ფედერაციული

⁶⁰ იხ.: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:337:0009:0026:en:PDF>.

საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU) შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 67.

⁶² საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 68.

რესპუბლიკის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ „კანონის უზენაესობის არარსებობის გამო, სოციალურ ნიადაგზე ძალადობის ყველაზე მოწვევადი ჯგუფია ქალები, რომლებიც მცირე კლანს წარმოადგენენ,⁶³ ამასთან:

დიდი ბრიტანეთის ლორდათა პალატის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ: (საქმე Islam v. Secretary of State for the Home Department Immigration Appeal Tribunal and Another, ex parte Shah)

მოცემულ საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებები ადასტურებს ქალთა მიმართ არსებულ დისკრიმინაციას პაკისტანში. მე (ლორდი კრეიგჰედი) ვფიქრობ, ამ დისკრიმინაციის ხასიათიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, პაკისტანში ქალები დისკრიმინირებულნი არიან იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. განმცხადებლებს დევნის შიში აქვთ არამარტო იმიტომ, რომ ქალები არიან, არამედ ისინი ქალები არიან საზოგადოებაში, რომელიც ახორციელებს ქალების მიმართ დისკრიმინაციას.

შიდასახელმწიფოებრი სასამართლოები და ტრიბუნალები ასახელებენ სხვა სოციალურ ჯგუფებსაც, როგორცაა ოჯახი, ბავშვები და ადამიანთ ვაჭრობის მსხვერპლები. მაგალითად, განმცხადებლებს თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნის საფუძველად შეუძლიათ მიუთითონ, რომ ისინი სამიზნეს წარმოადგენენ განსაზღვრული ოჯახის წევრობის გამო. ოჯახის წევრობის ნიშნით დევნის მაგალითი შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული „კლანური სისხლის აღება.“ აღნიშნული საფუძველი შეიძლება არსებობდეს იმის მიუხედავად, დაპირისპირების თავდაპირველი მიზეზი არის თუ არა დაკავშირებული დევნის საფუძველთან.

დიდი ბრიტანეთის ლორდათა პალატამ განმარტა:⁶⁴

(საქმე Secretary of State for the Home Department v.K; Fornah v. Secretary of State for the Home Department)

ჯგუფს ქმნის ის კავშირები, რომლებიც აერთიანებს ოჯახის წევრებს – იქნება ეს სისხლით ნათესაობა თუ ქორწინება. სწორედ ეს კავშირები აცალკევებს მათ საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან. პირის დევნა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის იმავე ოჯახის წევრი, არის ზუსტად ისეთივე თვითნებობა და ახირება, ზუსტად ისეთივე ზიანის მომტანი, როგორც დევნა რასის ან რელიგიის გამო.

⁶³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/4805-17.

⁶⁴ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 69.

ამ შემთხვევაში ოჯახი, როგორც სოციალური ჯგუფი, ბუნებრივად ჯდება იმ შემთხვევების წრეში, რომლებზეც ლტოლვილთა კონვენცია ავრცელებს თავის დაცვას.

პოლიტიკური შეხედულების კონცეფციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მთავრობისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება თავისთავად არ წარმოადგენს სტატუსის მოთხოვნის საფუძველს. თავშესაფრის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს მისი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი ამგვარი მსოფლმხედველობის გამო. აღნიშნული კი, თავისთავად მოიაზრებს, რომ სტატუსის მაძიებელს გააჩნია შეხედულებები, რომელთა მიმართ ხელისუფლება შეუწყნარებლობას ავლენს და რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკის ან მეთოდების კრიტიკის შემცველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განიხილა საქმე,⁶⁵ სადაც თავშესაფარს ითხოვნდნენ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები (ცოლ-ქმარი). მათი მტკიცებით, წარმოშობის ქვეყანაში აქტიური პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე, ისინი განიცდიდნენ შევიწროებას.

სააპელაციო საჩივრის მიხედვით, აპელანტებს მიაჩნდათ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო თავად გამოეკვლია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური პარტიების დევნის ფაქტები და არ მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასკვნაში მითითებული გარემოებების სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახვა. ამასთან, თავშესაფრის მაძიებლების განმარტებით, თურქეთის რესპუბლიკაში სისტემური სახე აქვს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების დევნასა და შევიწროებას. თურქეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური ანგარიშსწორების მახინჯი პრაქტიკის არსებობას ადასტურებს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში. ერთ-ერთი აპელანტის მოსაზრებით, სწორედ აღნიშნული მიზეზით გახდა იგი თურქეთის რესპუბლიკაში სისხლისსამართლებრივი დევნის მსხვერპლი. ამასთან, იმ გარემოებას, რომ ა. ნ. ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას, არ უარყო არც სამინისტრომ და არც პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ მიიჩნიეს, რომ კონკრეტულად სოციალისტური ახალგაზრდობის ასოციაცია (SGDF) და მისი წევრები არ განიცდიან დევნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი

⁶⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №33/1076-15.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ ვერ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ორგანიზაცია SGDF-ისა და პარტია ESP-ის ხელმძღვანელობა (წევრობა) ვერ იქნა მიხნეული შიშის ობიექტურ ფაქტორად, რამდენადაც როგორც მითითებული ორგანიზაცია, ისე აღნიშნული პარტია, თურქეთში რეგისტრირებულია ოფიციალურად და არ ითვლება არალეგალურ ორგანიზაციად (პარტიად).

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებები და მის მიერ გამოკვლეული და დადგენილი გარემოებები ატარებდა მკვეთრად წინააღმდეგობრივ შინაარსს. კერძოდ, დასკვნის საფუძველზე სამინისტრო სანდოდ მიიხნევდა ფაქტს, რომ განმცხადებელი იყო სოციალისტური ახალგაზრდობის ასოციაციის ხელმძღვანელი და 2007-2009 წლებში დაკავებული იყო სწორედ ასოციაციის წევრობის გამო, თუმცა დასკვნის შემაჯამებელ ნაწილში აღნიშნავდა, რომ კონვენციური ნიშნით დევნა არ იკვეთებოდა, რამდენადაც ორგანიზაცია SGDF-ისა და პარტია ESP-ის აკრძალვისა და მათი წევრების დევნის ფაქტები არ დასტურდებოდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საკითხის სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით მიიჩნია, რომ თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მოეხდინა ყველა გარემოების სრულყოფილი გამოკვლევა და აღნიშნულის საფუძველზე მიეღო დასაბუთებული დასკვნა მოსარჩელეთა სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ პირდაპირ მიუთითა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ გამოეთხოვა და შეესწავლა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორია იმ ორგანიზაციის რეალური სტატუსი, რომლის წევრებიც აპელანტები არიან. კერძოდ, ცნობილია თუ არა ის ტერორისტულ ორგანიზაციად და წარმოშობის ქვეყანაში ამ ორგანიზაციისათვის მინიჭებული სტატუსი ხომ არ ატარებდა ფართო და გადაჭარბებულ მნიშვნელობას.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ კონვენციური ნიშნით დევნისა და წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მომდინარე საფრთხის გამორიცხვის მიზნით მიიჩნია, რომ უნდა დადგინდეს, რა მოტივითაა აღძრული სისხლის სამართლის საქმე აპელანტი ა. ნ-ს მიმართ (ექსტრადიციის თაობაზე მოთხოვნის საფუძველი), ხომ არ უკავშირდებოდა დევნა მის პოლიტიკურ საქმიანობას.

დაბოლოს, განსახილველ საქმეში, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ თქვა, რომ იმ პირობებში, თუ მოსარჩელები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციის წევრებს, რომელიც სარგებლობდა ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსით და იყო საფრთხის შემცველი ან/და მათი მხრიდან ჩადენილი იყო არაპოლიტიკური

ხასიათის მიხედვით დანაშაული, აპელანტების სტატუსიდან გამორიცხვა უნდა მომხდარიყო კანონში მითითებული კონკრეტული საფუძვლით (იმ დროს მოქმედი „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი) და არა იმ გარემოებებზე მითითებით, რაც აღნიშნული იყო სადავო აქტში და რაც ცალსახად ეწინააღმდეგებოდა თავად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს.

გარდა ამისა, როდესაც პირს მიაწერენ რაიმე პოლიტიკური შეხედულებებს, აუცილებელი არაა, ის რეალურად ახორციელებდეს პოლიტიკურ საქმიანობას: აქ მთავარია მდევნელის აღქმა დევნის ობიექტთან დაკავშირებით და საქმიანობები, რომლებიც მდევნელს მიაჩნია „პოლიტიკურ საქმიანობად“, რადგან აქ აქცენტები კეთდება მდევნელის აზრზე, საჭირო აღარ არის ზედმეტი ყურადღების გამახვილება, ნამდვილად იყო თუ არა განმცხადებელი პოლიტიკური პარტიის წევრი ან აქტიური პოლიტიკოსი.

დევნის საფუძვლებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამორკვევას, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი კონვენციაში მოხსენიებული ხუთი საფუძვლიდან ერთ ან მეტ საფუძველსა და იმ დევნის აქტს (აქტებს) შორის, რომელზეც განმცხადებელი მიუთითებს. კავშირის არსებობის მოთხოვნა ნიშნავს, რომ დევნის ქმედებები, როგორც ასეთი, არ აძლევს პირს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების უფლებას, თუ ეს ქმედებები არ არის ჩადენილი დევნის ერთ-ერთი საფუძვლით. გარდა ამისა, არსებობს საერთო თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ მიზეზობრივი კავშირის დასადგენად აუცილებელი არ არის, ეს ქმედებები მოტივირებული იყოს მხოლოდ ამ ხუთიდან რომელიმე საფუძვლით. შეიძლება არსებობდეს დევნის ქმედების ჩადენის სხვა საფუძვლებიც, რომლებიც არ არის რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა ან პოლიტიკური შეხედულება.⁶⁶ ასევე, უნდა ითქვას, რომ დევნის ქმედებებსა და დევნის საფუძვლებს შორის კავშირი დასტურდება მაშინაც, როდესაც არის კავშირი დევნის ქმედებებსა და ასეთი ქმედებებისგან დაცვის არარსებობას შორის. ამასთან, ევროკომისიამ აღნიშნა, რომ „ხშირად, როცა დევნის ჩამდენი არის არასახელმწიფო აქტორი, როგორცაა აჯანყებულები, კლანები, კრიმინალური დაჯგუფებები, ადგილობრივი თემები ან ოჯახები, დევნის ქმედება შეიძლება არ იყოს ჩადენილი ლტოლვილთა კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლით, არამედ მაგალითად, დანაშაულებრივი მოტივით ან კერძო შურისძიების მიზნით. მაგრამ ამ შემთხვევაში ხშირად ხდება, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს დაიცვას შესაბამისი პირი ისეთი საფუძვლით, რომელიც ფაქტიურად

⁷⁰ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 59.

დაკავშირებულია ლტოლვილთა კონვენციასთან. მაგალითად, თუ სახელმწიფოს პოლიცია არ დაიცავს ეთნიკურ ან რასობრივ ჯგუფს კერძო დაჯგუფებების ან კერძო პირების კრიმინალური საქმიანობისგან, სახელმწიფოს მხრიდან სურვილის არქონა, რომ დაიცვას ეს ჯგუფი, შეიძლება გაუთანაბრდეს დევნას.⁶⁷

ამ თავის ბოლოს უნდა განვიხილოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც, რომელიც ეხება ეკონომიკურ მიგრანტსა და ლტოლვილს შორის განსხვავებას. კერძოდ, მიგრანტი ნებაყოფლობით ტოვებს თავის ქვეყანას სხვა ადგილზე დასახლების მიზნით. მას შეიძლება ამოძრავებდეს ცვლილებების ან თავგადასავლის სურვილი, ოჯახური ან სხვა პირადი მიზეზები. მაგრამ, თუ ადამიანი მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე გადადის სხვა ადგილას, ის არის ეკონომიკური მიგრანტი და არა ლტოლვილი.⁶⁸

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,⁶⁹ სადაც თავშესაფარს ითხოვდა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე.

განსახილველ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაკეთებულ დასკვნაზე, სადაც ცალსახად იყო განმარტებული, რომ სამინისტრომ განიხილა თავშესაფარის მინიჭების საკითხი განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანასთან მიმართებით და არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, ვინაიდან სამინისტრომ სანდოდ არ მიიჩნია მოსარჩელის განაცხადი ორგანიზაციის „ჰეფაზატ-ე-ისლამის“ წევრობის შესახებ, რადგან განმცხადებელი არ ფლობდა ძირითად და საბაზისო ინფორმაციას ორგანიზაციის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით დაფიქსირდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ანკეტირებასა და გასაუბრებისას მიწოდებულ ინფორმაციას შორის, რომელიც მან დამაჯერებლად ვერ ახსნა. ამასთან, სტატუსის მაძიებელმა ქვეყანა დატოვა ეკონომიკური მიზნებისთვის, რაც საზღვარგარეთ დასაქმებასა და ვალების გადახდას გულისხმობდა. აღნიშნული კი, სამინისტროს მიერ ვერ იქნა განხილული საფუძვლიანი შიშის დადგენის კუთხით, ამ ტერმინის არსიდან გამომდინარე. წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისთვის დატოვება არ წარმოადგენს დევნას.

⁶⁷ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ვეროპის განყოფილების (IARLJ-ვეროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 60.

⁶⁸ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §62, გვ. 17.

⁶⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №3/7006-16.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული მასალების მიხედვით, მოსარჩელის მიმართ დევნის რეალური ფაქტები არ იკვეთებოდა და შესაბამისად, სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თუმცა, ზოგჯერ ეკონომიკურ მიგრანტსა და ლტოლვილს შორის მკაფიო ხაზის გავლება რთულია. ეკონომიკური ზომები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ პირის საარსებო სახსრებზე, შეიძლება მიზნად ისახავდეს კონკრეტული რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური ჯგუფის შევიწროებას.

ასევე უნდა ითქვას, რომ იმის შეფასება, დაზარალდნენ თუ არა პირები ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად (მაგალითად, ეკონომიკური ზომები, რომლებიც ვრცელდება მთლიან მოსახლეობაზე, დისკრიმინაციის გარეშე), დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. UNHCR-ის სახელმძღვანელოს თანახმად: „*მხოლოდ ზოგადი ეკონომიკური ზომების მოხმობა არ წარმოადგენს საკმარის მიზეზს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის.*“⁷⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე⁷¹ სომალის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქისთვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს დასკვნაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ განმცხადებელმა წარმოშობის ქვეყანა დატოვა იქ არსებული ზოგადი მდგომარეობიდან და ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავის დასკვნაში მიუთითა, რომ თავშესაფრის მაძიებელს წარმოშობის ქვეყანაში არანაირი პრობლემა არ ჰქონია და მხოლოდ ის გარემოება, რომ მას არ სურს სომალიში ცხოვრება არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო, ვერ იქნებოდა განხილული საფუძვლიანი შიშის დადგენის კუთხით, რაც გახდა მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. ჰუმანიტარულ დაცვასთან დაკავშირებით კი, სამინისტრომ აღნიშნა, რომ სამხრეთ და ცენტრალური სომალისგან განსხვავებით, სომალილენდში უკეთესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა და სომალის მოქალაქეები უპრობლემოდ შეძლებენ სომალილენდში ჩასვლას, თუკი ისინი სომალილენდიდან არიან და გააჩნიათ ძლიერი კლანობრივი კავშირები რეგიონთან.

⁷⁰ UNHCR, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), §64, გვ. 18.

⁷¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3/11-17.

აღნიშნულთან მიმართებით, სასამართლომ გაითვალისწინა წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის მაისის ინფორმაციით, სომალიში უსაფრთხოების კუთხით, არსებული სიტუაცია კვლავ არასტაბილური და საფრთხის შემცველი იყო. ტერორისტები და შეიარაღებული დაჯგუფებები კვლავ განაგრძობდნენ თავდასხმებს სომალის ხელისუფლების წარმომადგენლებზე, სომალიში აფრიკის გაერთიანებული მისიის მებრძოლებზე და სხვა სამიზნეებზე. ასევე, სომალიში, სომალილენდში და ფუნტლენდში ადამიანთა გატაცება, აფეთქება, მკვლელობები, გზების უკანონო გადაკეტვა, ბანდიტობა და სხვა სახის ძალადობრივი ქმედებები ისევ გრძელდებოდა.

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლის მიმართ ადგილი არ ექნებოდა ადამიანის უფლებების დარღვევისა და წამების ფაქტებს.

სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა ხელახალი გამოკვლევა და შეფასება.

დევნის განმახორციელებელი სუბიექტები

QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-6 მუხლი მიუთითებს დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელი სუბიექტების არსებობის აუცილებლობაზე:

1.	სახელმწიფო
2.	დაჯგუფებები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს
3.	არასახელმწიფო აქტორები, თუ დამტკიცდება, რომ (a) და (b) პუნქტებში მითითებულ აქტორებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ან არ სურთ უზრუნველყონ დაცვა მე-7 მუხლში განსაზღვრული დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან.

აღსანიშნავია, რომ მე-6(a) მუხლი დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელ პოტენციურ აგენტებს შორის პირველს ასახელებს სახელმწიფოს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად არასახელმწიფო აქტორების გამოჩენისა, საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე განაცხადებში, სახელმწიფო რჩება დევნის განმახორციელებელ ტრადიციულ და მთავარ სუბიექტად, რადგან მას ხელთ უპყრია სუვერენული ფუნქციები, მათ

შორის, ძალის გამოყენების უფლებამოსილება. ამასთან, სახელმწიფოში, როგორც დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელ აგენტში იგულისხმება დევნის ან სერიოზული ზიანის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მომდინარეობს სახელმწიფოს *de jure* ან *de facto* ორგანოებიდან.⁷²

<i>De jure</i> ორგანოები	სახელმწიფოს ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ან ნებისმიერ სხვა ფუნქციას და ნებისმიერ დონეზე
<i>De facto</i> ორგანოები	პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილებით
	კერძო პირები ან ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ან მისი მითითებით
	სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი მეორე სახელმწიფოს ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოს ხელისუფლებას.

ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელი აგენტები შეიძლება დაიყოს შემდეგი სახით:

1.	ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებიც უთანაბრდებიან <i>de facto</i> სახელმწიფო აქტორებს, რადგან ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ელემენტებს (ეს შემთხვევა შეიძლება ითქვას ქურთისტანის ავტონომიურ ადმინისტრაციაზე (KAA) ჩრდილოეთ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს და მისი დაცემის შემდეგ, როდესაც ერაყის სახელმწიფო რეალურად უკვე ვეღარ ახორციელებდა ხელისუფლებას KAA-ს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე); ან
2.	ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-6(c) მუხლი ითვალისწინებს არასახელმწიფო აქტორებს, როგორც დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელი აგენტებიდან ერთ-ერთს. როგორც გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ (Bundesverwaltungsgericht) განაცხადა, ეს ცნება მოიცავს ყველა არასახელმწიფო აქტორს შეზღუდვების

⁷²საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 75.

გარეშე, მათ შორის, ცალკეულ პირებს, თუ ისინი ახორციელებენ დევნის ქმედებებს. ამ ფართო დეფინიციას იზიარებენ სხვა წევრი სახელმწიფოების სასამართლოები და ტრიბუნალებიც, რაც ჩანს იქიდან, რომ ისინი აღიარებენ არასახელმწიფო სუბიექტებს დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელ არასახელმწიფო აგენტებად.⁷³

1.	კლანები და ტომები
2.	პარტიზანები და შეიარაღებული ფორმირებები
3.	მილიტარისტი მეთაურები, ექსტრემისტული რელიგიური ჯგუფები ან ტერორისტები
4.	კრიმინალები, ბანდები და მაფია
5.	პოლიტიკური პარტიები
6.	ოჯახი და ნათესაობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე,⁷⁴ სადაც დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელე იყო კამერუნის რესპუბლიკის მოქალაქე, ეთნიკურად ბაქვერი, აღმსარებლობით ქრისტიანი – კათოლიკე. განმცხადებლის განმარტებით, წარმოშობის ქვეყანაში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით, იგი უნდა აერჩიათ ბელადად, რისი წინააღმდეგაც იყო. შესაბამისად, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილსამყოფელი.

განსახილველ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მან მხედველობაში მიიღო სოფელ გვიჩინგის უხუცესთა საბჭოს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პრინცი (იგულისხმება თავშესაფრის მაძიებელი), რომელმაც უნდა შეცვალოს გარდაცვლილი ბელადი, არ იმყოფებოდა სოფელში და ოჯახის წევრებაც თავს იკავებდნენ მისი ადგილსამყოფელის გამჟღავნებისგან. აღნიშნულის გამო, უხუცესთა საბჭოს მიიჩნია, რომ მომავალი ბელადის მოქმედება სოფლის ადათ-წესების და ტრადიციების უპატივცემულობასა და დალატს ნიშნავდა. საბჭო იმედოვნებდა, რომ პრინცი გამოჩნდებოდა და დაიკავებდა ტახტს, სხვა შემთხვევაში, ისინი მკაცრ ზომებს გაატარებდნენ მის მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ვალდებული იყო გამოეკვლია

⁷³ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ვეროპის განყოფილების (IARLJ-ვეროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 79.

⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №3/7383-16.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კერძოდ, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითა გამოეკვლია სოფელ გვიჩინგის უხუცესთა საბჭოს შესაძლებლობები და ის საკითხი, რომ მოსარჩელის მიერ სოფლის ბელადობაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლებოდა თუ არა საფრთხე შექმნოდა მის ფუნდამენტურ უფლებებს. ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გამოეკვლია განმცხადებლისათვის თავშესაფრის მინიჭება ხომ არ შეუქმნიდა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესს საფრთხეს.

თემის (დევნა და დევნის განმახორციელებელი სუბიექტები) ანალიზმა და კვლევის ფარგლებში შესწავლილმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ:

- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ქმედების დევნად დაკვალიფიცირებისთვის გამოიყენონ ე. წ. „საკმარისი სიმძიმის ტესტი“;
- კონვენციური ნიშნით დევნა უნდა განვასხვაოთ სამართლებრივი დევნისა და დასჯისგან, როდესაც სამართლებრივი დევნა და დასჯა ხორციელდება რაიმე სამართალდარღვევის გამო (კონვენციური ნიშნით დევნისა და წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მომდინარე საფრთხის გამორიცხვის მიზნით, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ხშირად გამხდარა აღნიშნული საკითხი);
- „ღტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის მსგავსად, QD ღირეპტივაც (ცვლილებებით) ღტოლვილის დაცვას სთავაზობს მას, ვისაც გააჩნია საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების ნიშნით (საქართველოში ყველაზე ხშირად თავშესაფრის მაძიებლები სტატუსის მინიჭებას ითხოვენ პოლიტიკური და რელიგიური დევნის საფუძველით);
- გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმის გამორკვევას, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი კონვენციაში მოხსენიებული ხუთი საფუძველიდან ერთ ან მეტ საფუძველსა და იმ დევნის აქტს (აქტებს) შორის, რომელზედაც განმცხადებელი მიუთითებს;
- დევნის ქმედებებსა და დევნის საფუძველებს შორის კავშირი დასტურდება მაშინაც, როდესაც არის კავშირი დევნის ქმედებებსა და ასეთი ქმედებებისგან დაცვის არარსებობას შორის;
- საქართველოში, საერთაშორისო დაცვის საქმეებზე განაცხადების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არც თუ ისე იშვიათად

უწევთ მსჯელობა იმის გამოსარკვევად, პირი ეკონომიკური მიგრანტია თუ ლტოლვილი;

- დევნის განმახორციელებელ ტრადიციულ და მთავარ სუბიექტად რჩება სახელმწიფო.

დაცვის განმახორციელებელი სუბიექტები და შიდა გადაადგილების ალტერნატივა

დაცვის განმახორციელებელი სუბიექტები

QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-7(1) მუხლი ადგენს დაცვის განმახორციელებელი აქტორების ამომწურავ სიას კერძოდ, დაცვა დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან შეიძლება განახორციელოს მხოლოდ:

ა)	სახელმწიფომ ან
ბ)	ჯგუფებმა ან ორგანიზაციებმა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

სახელმწიფო, როგორც სამართლისა და წესრიგის აგენტი, ითვლება ძირითად აქტორად, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს დაცვა დევნისგან და სერიოზული ზიანისგან. თავისი არსიდან გამომდინარე, მას აქვს შესაძლებლობაც და მოვალეობაც, რომ დაიცვას მისი იურისდიქციის არეალში მყოფი პირები. მაგრამ QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-7(1) მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს ყოველთვის შეიძლება ასე არ იყოს და ამიტომ აწესებს, რომ სახელმწიფოს უნდა სურდეს და შეეძლოს კიდევ დაცვა დევნისგან და სერიოზული ზიანისგან, იმისათვის, რომ ის ჩაითვალოს დაცვის განმახორციელებელ აგენტად.⁷⁵

განსხვავება სახელმწიფოს მიერ დაცვის უზრუნველყოფის სურვილსა (სურვილის არქონას) და შესაძლებლობას (შეუძლებლობას) შორის ყოველთვის ცალსახად გამოკვეთილი არ არის. როგორც დიდი ბრიტანეთის ზემდგომმა ტრიბუნალმა (UKUT) აღნიშნა: „ჩვენ გვიწევს გადავწყვიტოთ, ეს დაუცველობა გამომდინარეობს დაცვის სურვილის არქონიდან თუ დაცვის შესაძლებლობის არქონიდან; თუმცა, ჩვენი აზრით, ერთია, მეორე თუ ორივე ერთად – ეს

⁷⁵ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 83.

დამოკიდებულია კონკრეტულ დროსა და ადგილზე და მასში მონაწილე კონკრეტულ აქტორებზე.⁷⁶

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ოთხი შესაძლო შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს სურვილი (სურვილის არქონა) და შესაძლებლობა (შესაძლებლობის არქონა) აქვს უზრუნველყოს დაცვა:

	შეუძლია	არ შეუძლია
სურს	<p>შემთხვევა 1 – უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვაზე – იგულისხმება სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს ერთდროულად სურს და შეუძლია კიდევ დაცვის უზრუნველყოფა დევნისგან და სერიოზული ზიანისგან. აღნიშნულ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი დაცვა არის ეფექტური, არადროებითი და ხელმისაწვდომი განმცხადებლისთვის, მაშინ თავშესაფრის მაძიებელს უარი უნდა ეთქვას ლტოლვილის სტატუსზეც და სუბსიდიარულ დაცვაზეც, რადგან ის არ ითვლება საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონედ.</p>	<p>შემთხვევა 3 – მიენიჭა საერთაშორისო დაცვა – მოიაზრება სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს სურს ან შეიძლება სურდეს დაცვის უზრუნველყოფა, მაგრამ არ შეუძლია ამის ეფექტურად გაკეთება, რადგან მაგალითად, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები ან არ ჰყავს საამისო კადრები ანდა ვერ ახორციელებს კონტროლს საკუთარი ტერიტორიის ნაწილში შეიარაღებული კონფლიქტის, საგანგებო მდგომარეობის ან გაუარესებული უსაფრთხოების გამო.</p>
არ სურს	<p>შემთხვევა 2 – მიენიჭება საერთაშორისო დაცვა – აღნიშნული შემთხვევა ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია, მაგრამ არ სურს დაცვის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, როდესაც ის თვითონ არის დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელი სუბიექტი ან არ რეაგირებს დევნის ან სერიოზული ზიანის ქმედებებზე.</p>	<p>შემთხვევა 4 – მიენიჭება საერთაშორისო დაცვა – იგულისხმება სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს არც სურს (შეიძლება არ სურს) და არც შეუძლია (შეიძლება არ შეუძლია) დაცვის უზრუნველყოფა დევნისგან. ასეთი შემთხვევა იყო მაგალითად, გერმანიის ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილული საქმეები, სადაც დადგინდა, რომ ავღანეთის და ირანის ხელისუფლებებს არ სურდათ და არ შეეძლოთ დაცვის</p>

⁷⁶ UKUT-ის 2013 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე MS (Coptic Christians) Egypt, §123, იხ.: საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ვერობის განყოფილების (IARLJ-ვერობა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 84.

უზრუნველყოფა იძულებითი
ქორწინებისგან.

აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოყვანილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე:⁷⁷

განსახილველ შემთხვევაში, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოში ითხოვდა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას და მის მიმართ განხორციელებული დევნის დასადასტურებლად უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მისი დედა და ძმა, რომლებიც საცხოვრებლად დარჩნენ ყარსის ოლქში, სისხლის აღების მოძველებური ტრადიციების გამო, ავტომანქანაში ჩაცხრილეს მათ მიმართ მტრულად განწყობილმა ოჯახის წევრებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ყარსის მთავარი პროკურატურიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ყარსის ოლქში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე თავშესაფრის მაძიებლის ოჯახის წევრების მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა გამოძიება. აღნიშნული კი, ადასტურებდა, რომ თურქეთის სახელმწიფოს სურდა და ცდილობდა აღეკვეთა აპელანტის ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული წარმოებისას მოპოვებულ მასალებში გამოარკვია, რომ თავშესაფრის მაძიებელი წარმოშობის ქვეყნის დატოვებამდე გაემგზავრა ქ. ბურსაში, სადაც მას რაიმე სახის პრობლემა ან დაპირისპირება არ ჰქონია. გარდა ამისა, იგი პერიოდულად ჩადიოდა სტამბულსა და ანკარაში, სადაც ასევე არ შექმნია პრობლემები. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა საქმეთა პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ განმცხადებლის დევნის შიში არ იყო საფუძვლიანი და რეალური საფრთხის შემცველი. წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მოსარჩელეს არ დაემუქრებოდა საფრთხე არც სახელმწიფოს მხრიდან და არც იმგვარი ჯგუფებიდან, რომლებიც სახელმწიფოს არ წარმოადგენენ, მაგრამ თავიანთი გავლენისა თუ გაბატონებული მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად შეუძლიათ რეალური საფრთხის შექმნა, ხოლო სახელმწიფოს არ სურს ან არ ძალუძს მათ მიერ განხორციელებული დევნის აღკვეთა.

⁷⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 დეკემბრის განჩინება საქმეზე №33/601-16.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლითაც თავშესაფრის მაძიებელს უარი ეთქვა ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

QD დირექტივა (ცვლილებებით) არ განსაზღვრავს „ჯგუფების და ორგანიზაციების“ მნიშვნელობას, თუ არ ჩავთვლით მარტივად მითითებას საერთაშორისო ორგანიზაციებზე. ის გარემოება, რომ ტერმინი „ჯგუფები და ორგანიზაციები“ მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, ცალსახად დაადასტურა CJEU-მა თავის გადაწყვეტილებაში,⁷⁸ როდესაც განაცხადა, რომ „დირექტივის 7(1) მუხლი არ გამორიცხავს, რომ დაცვა უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის, მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალეროვნული ძალების ყოფნის მეშვეობით.“⁷⁹ ამასთან, უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ მიიჩნევიან დაცვის განმახორციელებელ აქტორებად QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-7 მუხლის მიზნებისთვის, რადგან მათთვის ფაქტიურად, შეუძლებელია 7(1) მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილება – აკონტროლებდნენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და იმავდროულად, სურდეთ და შეეძლოთ დაცვის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ჯგუფები ან ორგანიზაციები ორ კუმულაციურ პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ, რომ მიჩნეულ იქნან დაცვის განმახორციელებელ სუბიექტებად, კერძოდ:

1.	აკონტროლებდნენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს; და
2.	სურდათ და შეეძლოთ ეფექტიანი, არადროებითი და ხელმისაწვდომი დაცვის უზრუნველყოფა დევნიდან QD დირექტივის (ცვლილებებით) 7(2) მუხლის შესაბამისად.


ზოგადად, „დაცვა“ უზრუნველყოფილია QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-7 მუხლის გაგებით, თუ იგი ერთობლიობაში აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ სამ პირობას:

1.	დაცვა უნდა იყოს ეფექტიანი
2.	დაცვა უნდა იყოს არადროებითი
3.	დაცვა უნდა იყოს ხელმისაწვდომი განმცხადებლისთვის.

⁷⁸ CJEU-ს დიდი პალატის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე *Aydin Salahadin Abdulla and Others v Bundesre – public Deutschland*, §75, 2010 წლის 2 მარტი.

⁷⁹ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 86.

მოკლედ განვიხილოთ თოთოეული მათგანი. კერძოდ, დევნიდან ეფექტური დაცვის არსებობა-არარსებობის დადგენა არის ორეტაპიანი პროცესი, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:⁸⁰



პირველი ეტაპი ეხება წარმოშობის ქვეყანაში არსებულ პირობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით CJEU-მ Abdulla-ს საქმეში აღნიშნა, რომ სხვა საკითხებთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წარმოშობის ქვეყნის კანონები და რეგულაციები, მათი ცხოვრებაში გამოყენების პრაქტიკა და რამდენად არის ადამიანის მინიმალური უფლებები გარანტირებული ამ ქვეყანაში. ამასთან, ირლანდიის უმაღლესი სასამართლოს თქმით, მხოლოდ ის, რომ არსებობს პოლიციისთვის საჩივრით მიმართვის პროცედურა, საკმარისი არ არის, თუ ამ პროცედურას არ მოსდევს შემდეგ დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის და მსჯავრდების ეფექტური სისტემა. მნიშვნელოვანია ასევე სისტემის პრევენციული მხარე, რადგან მხოლოდ სისხლის სამართლის წესით დასჯადობა არასაკმარის დაცვად მიიჩნევა, თუ არ არსებობს პირველ რიგში დანაშაულის თავიდან აცილების მექანიზმი.

თუ სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან დაცვის სისტემური მარცხი და განმცხადებლის მიმართ ხორციელდება დევნის ან სერიოზული ზიანის ქმედებები, მაშინ ეს განმცხადებელი შეძლებს დაამტკიცოს, შესაბამისად – დევნის დასაბუთებული შიში ან სერიოზული ზიანის რეალური საფრთხე.

⁸⁰ მართალია, აღნიშნული ორეტაპიანი პროცესი ამ შემთხვევაში გამოიყენება სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი დაცვის შესაფასებლად, მაგრამ ის იმავე წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი დაცვის შეფასებისთვისაც.

მაგრამ თუ ზოგადად სახელმწიფოს მხრიდან დაცვა არის საკმარისი, მაშინ აუცილებელია გადავიდეთ მეორე ეტაპზე, რომელიც ეხება განმცხადებლის ინდივიდუალურ გარემოებებს. მაგალითად, ის გარემოება, რომ განმცხადებლის მიმართ წარსულში განხორციელდა დევნა ან სერიოზული ზიანი და მან ვერ მიიღო ეფექტიანი დაცვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმის დადგენაში, საქმის განხილვისას, იქნება თუ არა განმცხადებელი უზრუნველყოფილი ასეთი დაცვით. გარდა ამისა, განმცხადებლის ინდივიდუალური გარემოებების განხილვისას უნდა დადგინდეს, რამდენად აქვს მას ეფექტური ხელმისაწვდომობა ზოგადად, არსებულ დაცვაზე. როგორც შვედეთის მიგრაციის საქმეთა სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, ხელმისაწვდომობა შეიძლება არ ჰქონდეთ არასრულწლოვნებს, რადგან ისინი დამოკიდებული არიან თავიანთ მშობლებზე და შეიძლება ვერ შეძლონ დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან დაცვის სარგებლობა.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიამ შემოგვთავაზა იმ ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც წვერი სახელმწიფოების სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დაცვის ეფექტურობის შეფასებისას:⁸¹

1.	წარმოშობის ქვეყანაში არსებული ზოგადი პირობები;
2.	სახელმწიფოს წვლილი ზიანის მიყენებაში;
3.	სახელმწიფოს პოლიტიკა განსახილველ ზიანთან დაკავშირებით, მათ შორის, არსებობს თუ არა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომლის მიხედვით, დევნის განმახორციელებლების მიერ ჩადენილი ძალადობრივი თავდასხმა ისჯება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაფერისი სასჯელით;
4.	რა გავლენა აქვს დევნის განმახორციელებელ შესაძლო აგენტებს სახელმწიფო მოხელეებზე;
5.	ოფიციალური რეაგირება იყო სერიოზული თუ მხოლოდ ზედაპირული, მათ შორის, სამართალდამცავი სტრუქტურების სურვილი, გამოავლინონ დამნაშავეები, განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა მათ მიმართ და დასაჯონ ისინი;
6.	ხშირია თუ არა სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების არმოსდენის შემთხვევები;
7.	სახელმწიფო სერვისების მიწოდებაზე უარი;
8.	მიღებული აქვს თუ არა სახელმწიფოს ზომები ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-7(2) მუხლი პირდაპირ აწესებს, რომ განმცხადებლისთვის უზრუნველყოფილი დაცვა არ უნდა იყოს დროებითი

⁸¹ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 93.

იმისთვის, რომ გამოირიცხოს დევნის ან სერიოზული ზიანის რეალური საფრთხე. თუმცა აღნიშნული ნორმა არ აკონკრეტებს რა ხანგრძლივობის უნდა იყოს ასეთი დაცვა.

ამასთან, QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-7(2) მუხლით პირდაპირ მოითხოვება დაცვის ხელმისაწვდომობა და აღნიშნულთან დაკავშირებითაც ევროკომისია გვთავაზობს სანიმუშო ჩამონათვალს იმ ფაქტორებისა, რომლებიც წვერი სახელმწიფოების სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა უნდა გაითვალისწინონ დაცვის ხელმისაწვდომობის შეფასებისას:⁸²

1.	განმცხადებლის მიერ მტკიცებულების წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ დევნის განმახორციელებელი აგენტები არ ექვემდებარებიან სახელმწიფოს კონტროლს;
2.	რამდენად ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის დაცვა, როგორც არ უნდა იყოს თვითონ ეს დაცვა, მაგრამ იმ პირობით, რომ განმცხადებლები, როგორც კატეგორია, არ უნდა იყვნენ გამოირიცხული კანონისმიერი დაცვის სფეროდან;
3.	რა ნაბიჯები გადადგა განმცხადებელმა, რომ მიეღო დაცვა სახელმწიფო მოხელეებისგან და სახელმწიფოს პასუხი ამ მცდელობებზე.

შიდა გადაადგილების ალტერნატივა

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად შიდა გადაადგილების ალტერნატივას.⁸³ კერძოდ, აღნიშნული ტერმინი გულისხმობს წარმოშობის ქვეყნის შიგნით გარკვეულ ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობას, სადაც თავშესაფრის მაძიებელს არ აქვს დევნის საფუძვლიანი შიში, არ დგას სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე ან ხელი მიუწვდება დევნის ან სერიოზული ზიანისგან სახელმწიფო უწყებების ეფექტიან და გრძელვადიან დაცვაზე და შეუძლია უსაფრთხოდ ჩავიდეს და კანონიერად იქნას დაშვებული ქვეყნის ამ ნაწილში და დასახლდეს, ამასთან ხელი მიუწვდებოდეს ადამიანის უფლებების პატივისცემასა და ეკონომიკური გადარჩენის შესაძლებლობაზე.⁸⁴ კვლევის ფარგლებში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში საქართველოს ორივე ინსტანციის სასამართლომ (თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლო) აღნიშნა, რომ „შიდა გადაადგილების ალტერნატივა“ შესაძლოა

⁸² საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 96.

⁸³ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁸⁴ განმარტებითი ბარათი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120318>.

არსებობდეს იმ შემთხვევაში, როდესაც დევნის საშიშროება მომდინარეობს „არასახელმწიფო“ აგენტებისაგან, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის ნაწილს. ამასთან, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა „შიდა გადაადგილების ალტერნატივა“, უნდა დადასტურდეს – არის თუ არა განსაზღვრული ადგილი განმცხადებლისათვის ფაქტობრივად უსაფრთხო, სამართლებრივად მიღწევადი და გადაადგილების შემთხვევაში, არსებობს თუ არა პირის მიმართ დევნის განხორციელების საშიშროება სახელმწიფო ან არასახელმწიფო აგენტებისაგან. ასეთ შემთხვევაში, გამორიცხული უნდა იყოს ის გარემოება, რომ სახელმწიფო თავად არის დევნის განმხორციელებელი, ვინაიდან ივარუდება, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“⁸⁵

შიდა გადაადგილების ალტერნატივის ანალიზი ყველა ქვეყანაში არ მოითხოვება თუმცა, იმ ქვეყნებში, სადაც ითხოვენ ასეთი ანალიზის განხორციელებას, იგი ხშირად გადაჭარბებით და საკმარისი სიზუსტის გარეშე გამოიყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, მოახდინა თუ არა გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა კონკრეტული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება, სადაც ივარაუდებოდა, რომ არსებობდა უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობა. იდენტიფიცირების გარეშე სხვაგვარად ვერ შეფასდება, იყო თუ არა განმცხადებლისთვის უსაფრთხო და გონივრული სხვა ლოკაციაზე გადაადგილება ხელმისაწვდომი. თუ გადაწყვეტილების მიმღები პირი განიხილავს შიდა გადაადგილების ალტერნატივას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს განმცხადებელს, რომ მან შეძლოს საპასუხო არგუმენტაციის წარდგენა.⁸⁶

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ განიხილება შიდა გადაადგილების ალტერნატივა, მაშინ აუცილებელია ის იყოს რელევანტური და გონივრული. გადაწყვეტილების მიმღები უნდა დარწმუნდეს, რომ პირს აქვს შესაძლებლობა უსაფრთხოდ გადაადგილდეს და დამკვიდრდეს რეგიონის სხვა ადგილას, რომელიც მისთვის პრაქტიკულად და კანონიერად ხელმისაწვდომია. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა შეაფასოს, გადაადგილების შემდეგ განმცხადებელი კვლავ ხომ არ აღმოჩნდება დევნის ან სერიოზული ზიანის წინაშე. თუ არსებობს ეჭვი, რომ რეგიონის სხვა ტერიტორიაზე გადაადგილება ვერ უზრუნველყოფს განმცხადებლის დაცვას დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან, მაშინ შიდა გადაადგილების ალტერნატივა არ უნდა იქნას განხილული.

⁸⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №33/2827-17.

⁸⁶ იხ.: <https://www.refworld.org/docid/4e85b36d2.html>.

QD დირექტივის (ცვლილებებით) მე-8 მუხლი შიდა დაცვას განმარტავს შემდეგნაირად:⁸⁷

1. საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე განაცხადის განხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ განმცხადებელს არ ესაჭიროება საერთაშორისო დაცვა, თუ წარმოშობის ქვეყნის რომელიმე ნაწილში:

(a) მას არ აქვს დევნის დასაბუთებული შიში ან არ ემუქრება სერიოზული ზიანის საფრთხე; ან

(b) მას ხელი მიუწვდება დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან დაცვაზე მე-7 მუხლის მიხედვით;

და შეუძლია უსაფრთხოდ და კანონიერად გაემგზავროს და შევიდეს ქვეყნის აღნიშნულ ნაწილში და მისთვის იქ დასახლება არის გონივრული.

2. შეფასებისას, აქვს თუ არა განმცხადებელს დევნის დასაბუთებული შიში ან რეალურად ემუქრება თუ არა სერიოზული ზიანის საფრთხე, აგრეთვე მიუწვდება თუ არა ხელი დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან დაცვაზე წარმოშობის ქვეყნის რომელიმე ნაწილში პირველი პუნქტის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა მიიღონ ქვეყნის აღნიშნულ ნაწილში არსებული ზოგადი მდგომარეობა და განმცხადებლის პირადი გარემოებები მე-4 მუხლის მიხედვით. ამ მიზნით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოიპოვონ ზუსტი და ახალი ინფორმაცია შესაბამისი წყაროებიდან, როგორცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ევროპული ბიურო.

შიდა გადაადგილების ალტერნატივის ცნება უკავშირდება ქვეყნის კონკრეტულ ნაწილს, სადაც არ არსებობს დევნის ან სერიოზული ზიანის განცდის რისკის წინაშე ყოფნის კარგად დასაბუთებული შიში და საქმის კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, არსებობს მოლოდინი, რომ განმცხადებელი გონივრულობის ფარგლებში შეძლებს იმ ტერიტორიაზე დასახლებას და იქ ნორმალური ცხოვრების წარმართვას. სწორედ აღნიშნული საკითხი ფიგურირებდა კვლევის ფარგლებში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში,⁸⁸ სადაც როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ, აგრეთვე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საკმაოდ სიღრმისეულად იმსჯელეს:

⁸⁷ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მოთხოვნები (დირექტივა 2011/95/EU), შედგენილია ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის განყოფილების (IARLJ-ევროპა) მიერ EASO-ს დაკვეთით, 2016, გვ. 96.

⁸⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის განჩინება საქმეზე №33/350-17.

თავშესაფრის მაძიებელი იყო ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე, ეთნიკურად არაბი, აღმსარებლობით მუსლიმანი (სუნიტი), რომელიც დაიბადა ქ. ბაღდადში. თუმცა, წარმოშობის ქვეყნის დატოვებამდე, ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდა ქ. ერბილში. განმცხადებლის განმარტებით, მას პრობლემები შეექმა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების წევრების მხრიდან პოლიციელების დახმარების გამო. კერძოდ, თავშესაფრის მაძიებელი პერიოდულად აწვდიდა საკვებ პროდუქტებსა და სამხედრო ტანსაცმელს მეგობრებს, ერაყის პოლიციის ოფიცრებს.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, მას უარი ეთქვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, რადგან თავშესაფრის მაძიებლის „შიშის ობიექტური საფუძვლები დაფუძნებული იყო ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობაზე, შიდა არეულობასა და კრიმინოგენულ ვითარებაზე, არ იკვეთებოდა კონკრეტული გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა დევნის კონვენციური ნიშნების დადგენა.“ ამასთან, სამინისტრომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებდა ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან იკვეთებოდა, რომ „ერაყში, ქ. ბაღდადში დაბრუნების შემთხვევაში, მისი ფუნდამენტური უფლებები შეიძლება რისკის ქვეშ დამდგარიყო.“ ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა შიდა გადაადგილების ალტერნატივა ქ. ერბილში. ერაყის რესპუბლიკის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, „ქურთისტანის ავტონომიური რეგიონი წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერ ადგილს ერაყში. თავშესაფრის მაძიებელი ქ. ერბილში დაბრუნების შემთხვევაში, შეძლებდა დასაქმებას და ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სამინისტრომ მიიჩნია, რომ ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონში სახელმწიფოს შეეძლო მისი ეფექტური დაცვის განხორციელება.“

ზემოაღნიშნულთან მიმართებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნა მოსარჩელისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ არსებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სამინისტროს მიერ არ მომხდარა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა. კერძოდ, პირველმა ინსტანციამ შიდა გადაადგილების ალტერნატივასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ „შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივის დადგენისას, უნდა შეფასდეს მოცემულ ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიტუაცია, რა დროსაც გასათვალისწინებელია დევნისა და საცხოვრებელი ადგილიდან

გაქცევის გამომწვევი მიზეზები, ასევე, ამ ტერიტორიის ალტერნატიულობის სამომავლო მიზანშეწონილობა. სიტუაციის სამომავლო შეფასება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა ავტომატურად არ განსაზღვრავს შემდგომ ქმედებებს განმცხადებლის მიმართ, უარის შედეგი შეიძლება იქნას იძულებითი დაბრუნება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესაძლებლობის აქტუალობისა და მიზანშეწონილობის ანალიზი ყოველთვის მოითხოვს განმცხადებლის ინდივიდუალური გარემოებების შეფასებას. ასეთი შესწავლის მნიშვნელოვანი კომპონენტებია აქტუალური და დოკუმენტალურად დადასტურებული კარგი ხარისხის და მიმდინარე ინფორმაცია, ასევე, პირობების კვლევა წარმოშობის ქვეყანაში. სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა გადაადგილების ალტერნატივა აქტუალურად მიიჩნევა და მისი გამოყენება დამოკიდებულია საქმის გარემოებათა შესწავლის შედეგებზე და წარმოშობის ქვეყნის სხვა ნაწილში გადაადგილების გონივრულობაზე.“ გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა 2016 წლის მაისის მდგომარეობით, წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ უახლეს ინფორმაციაზე, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ შიდა გადაადგილების ალტერნატივად დასახელებულ რეგიონში მკვეთრად გაუარესებული იყო საცხოვრებელი პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაავალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი მოსარჩელისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით (განსახილველ საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის მსჯელობა).

არსებობს ორეტაპიანი ანალიზი, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს შიდა გადაადგილების ალტერნატივა: (i) არის თუ არა შიდა გადაადგილების ალტერნატივა რელევანტური; (ii) იმ შემთხვევაში, თუ შიდა გადაადგილების ალტერნატივა რელევანტურია, შემდეგ უნდა განისაზღვროს, არის თუ არა იგი გონივრული. განმცხადებლისთვის შიდა გადაადგილების ალტერნატივის „დადგენის“ ტვირთი ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს, რომელმაც უნდა მოახდინოს კონკრეტული ლოკაციის იდენტიფიცირება და ადეკვატურად

აცნობოს ყოველივე განმცხადებელს ისე, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს მომზადებისა და პასუხის გაცემის გონივრული შესაძლებლობა.⁸⁹

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასამართლოები შიდა გადაადგილების ალტერნატივის შეფასებისას მნიშვნელოვნად ეყრდნობიან კონკრეტულ რეგიონთან მიმართებით გაეროს უმაღლესი კომისარიატის მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს. მაგალითად, პრაქტიკაში შეგხვდა არაერთი საქმე, სადაც სასამართლო ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, უარის თქმის საფუძველად ცალსახად არ განიხილავს შიდა გადაადგილების ალტერნატივას, ითვალისწინებს UNHCR-ის პოზიციას და ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს დამატებით გამოიკვლიოს შესაბამისი გარემოებები.

თვალსაჩინოებისათვის კვლევის წინამდებარე თავში განვიხილავთ ეროვნული სასამართლოს პრაქტიკიდან ერთ-ერთ საქმეს,⁹⁰ სადაც:

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ „არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში არსებობს საფუძვლიანი შიში, რომ მოსარჩელეს გაუსწორდებიან შიიტური დაჯგუფების წევრები მისი რელიგიური მიმდინარეობისა და ამერიკელებთან მუშაობის გამო, მით უფრო, მის მიმართ ვაგზავნილი არა ერთი მუქარის წერილის პირობებში. ამასთან, სამინისტროს მიერ მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ბაბილის პროვინცია, საიდანაც განმცხადებელია, ისევე, როგორც ერაყის რესპუბლიკის სამხრეთ რეგიონები, არის მასშტაბით ყველაზე მშვიდი შიიტური რეგიონი. ერაყის მთავრობა აკონტროლებს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს და სამხრეთით მდებარე შიიტურ პროვინციებს. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე, როგორც სუნიტი, რელიგიური დაპირისპირებების გამო ვერ იცხოვრებს შიიტურ დასახლებაში. თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს დასკვნაში კი, საცხოვრებლად მხოლოდ შიიტური რეგიონებია განხილული და არაფერია იმაზე ნათქვამი, მუსლიმანი სუნიტი რამდენად უსაფრთხოდ შეძლებს შიიტურ დასახლებაში ცხოვრებას.“

შიდა გადაადგილების საკითხის შეფასებისას, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გაითვალისწინა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) 2016 წლის 14 ნოემბრის პოზიცია ერაყში დაბრუნებასთან დაკავშირებით (...შექმნილ გარემოებათა ფონზე, UNHCR მოუწოდებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ერაყელთა იძულებითი დაბრუნებისგან, თუ

⁸⁹ იხ.: <https://www.refworld.org/docid/4e85b36d2.html>.

⁹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის განჩინება საქმეზე №33/992-17.

ისინი არიან ერაყის იმ რაიონებიდან, სადაც სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობს...) და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა შიდა გადაადგილების ალტერნატივასთან დაკავშირებით საკითხის ხელახალი და სრულყოფილი გამოკვლევა.

საკვლევი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ეროვნულ სასამართლოებს „შიდა გადაადგილების ალტერნატივა“ ცალსახად, როგორც ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი არც ერთ საქმეში არ გამოუყენებია. კერძოდ, იმ საქმეებში, სადაც სამინისტრო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველად უთითებდა შიდა გადაადგილების ალტერნატივას, სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებდა დამატებით, სრულყოფილად გამოეკვლია წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და „შიდა გადაადგილების ალტერნატივად“ მიჩნეულ ტერიტორიაზე განმცხადებლის უსაფრთხოდ დასახლების შესაძლებლობა.

შიდა გადაადგილების ალტერნატივის ანალიზი

საკითხები	დეტალები	✓
პირველი ნაბიჯი: შიდა გადაადგილების ალტერნატივის იდენტიფიცირება	იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილების მიმღები პირი მიზნად ისახავს დაეყრდნოს შესაძლო შიდა გადაადგილების ალტერნატივას, მაშინ კონკრეტული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების ტვირთი მას ეკისრება, ხოლო ამ უკანასკნელმა განმცხადებელს უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე და მისთვის უზრუნველყოს პასუხის გაცემის ადეკვატური შესაძლებლობა.	✓
მეორე ნაბიჯი: რელევანტურობის ტესტი	კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, არის თუ არა შიდა გადაადგილების ალტერნატივა რელევანტური? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს თუ არა შესაძლებლობა განმცხადებელს, რომ საცხოვრებლად გადავიდეს შემოთავაზებულ ადგილას უსაფრთხოდ, კანონიერად და პრაქტიკულად?	✓
არის თუ არა შიდა გადაადგილების ალტერნატივა ხელმისაწვდომი?	შეუძლია თუ არა განმცხადებელს, მიაღწიოს დანიშნულების ადგილამდე უსაფრთხოდ, პრაქტიკულად და კანონიერად?	✓

<p>არის თუ არა სახელმწიფო დევნის განმახორციელებელი პირი?</p>	<p>არსებობს პრეზუმფცია, რომ სახელმწიფოები სრულად აკონტროლებენ თავიანთ იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიას, ისე, რომ თუ სახელმწიფო არის დევნის განმახორციელებელი პირი, მაშინ შიდა გადაადგილების ალტერნატივა არ უნდა იქნას განხილული. თუმცა, როგორც ნებისმიერი პრეზუმფცია, ამ უკანასკნელის გაბათილებაც არის შესაძლებელი შესაბამისი მტკიცებულებით, რომ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე, რაც განიხილება შიდა გადაადგილების ალტერნატივად, სახელმწიფო კონტროლს ვერ ახორციელებს.</p>	<p>✓</p>
<p>არის თუ არა დევნის განმახორციელებელი არასახელმწიფო სუბიექტი?</p>	<p>თუ განმცხადებელს დევნის ან პოტენციურად სერიოზული ზიანი შეიძლება მიაყენოს არასახელმწიფო სუბიექტმა, მაშინ შიდა გადაადგილების ალტერნატივის განხილვა რელევანტური იქნება თუ: (a) დევნის განმახორციელებელი სუბიექტი ვეღარ გააგრძელებს დევნას, ხოლო თუ იგი ასე მოიქცევა (b) შეთავაზებული იქნება ეფექტიანი დაცვა სახელმწიფოს მიერ.</p>	<p>✓</p>
<p>დგას თუ არა განმცხადებელი დევნის სხვა რომელიმე სახის ან სხვა სერიოზული რისკის წინაშე?</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სხვა ტერიტორიაზე კვლავ აღმოჩნდება დევნის განხორციელების ან სერიოზული ზიანის განიცდის რეალური რისკის წინაშე ან დაექვემდებარება დევნის ან სერიოზული ზიანის სხვა რომელიმე ახალ ფორმას, მაშინ არ არის რელევანტური განხილულ იქნას შიდა გადაადგილების ალტერნატივა.</p>	<p>✓</p>
<p>მესამე ნაბიჯი: გონივრულობის ტესტი</p>	<p>მას შემდეგ რაც დადგინდება, რომ შიდა გადაადგილების ალტერნატივა არის რელევანტური, აუცილებელია გადავიდეთ შემდეგ საფეხურზე, რა ეტაპზეც უნდა განისაზღვროს, არის თუ არა განმცხადებლის კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შიდა გადაადგილების ალტერნატივა</p>	<p>✓</p>

	გონივრული. აღნიშნული კი, მხოლოდ მაშინ არის გონივრული, როდესაც განმცხადებელს შეუძლია შესაბამის ტერიტორიაზე იცხოვროს ნორმალური ცხოვრებით თავისუფლად, ეკონომიკური სიძნელეების გარეშე.	
რა არის განმცხადებლის ინდივიდუალური გარემოებები?	ბევრი ფაქტორი, აღებული ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, უნდა შეფასდეს იმგვარად, რომლის მიხედვითაც დადგინდება, რომ განმცხადებელს შედარებით ნორმალური ცხოვრებით შეუძლია იცხოვროს შესაბამის ტერიტორიაზე, სადაც იგი თავისუფალი იქნება სიძნელეებისგან. ფაქტორები მოიცავს ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღებას, როგორცაა: ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ოჯახური მდგომარეობა და ურთიერთობები, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები, ენა, განათლება, პროფესია, სამუშაო გამოცდილება და სხვ.	✓
დაექვემდებარა თუ არა განმცხადებელი დევნას წარსულში?	გაზრდის თუ არა სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადასვლა მომავალში, განმცხადებლისთვის ტრავმის განცდის რისკს, წარსულში განხორციელებული დევნის ან განცდილი სერიოზული ზიანის შედეგად?	✓
იქნება თუ არა განმცხადებელი უსაფრთხოდ და დაცულად?	არის თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილი სტაბილური, რომელსაც შეუძლია განმცხადებელი უზრუნველყოს უსაფრთხოებით, ხოლო პოლიტიკური ვითარება გონივრულად მდგრადი? ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმე ეხება შიდა პოლიტიკურ ან შეიარაღებულ კონფლიქტებს.	✓
არის თუ არა დაცული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შიდა გადაადგილების ალტერნატიულ ნაწილში,	არის თუ არა დაცული ადამიანის ძირითადი ფუნდამენტური უფლებები შიდა გადაადგილების ალტერნატიულ ნაწილში?	✓

მოქმედი ადმინისტრაციის მიერ?		
აქვს თუ არა განმცხადებელს გადასახლების შემთხვევაში ადეკვატურ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრების შესაძლებლობა?	აქვს თუ არა განმცხადებელს საცხოვრებლად შესაბამისი ფინანსური პირობები?	✓

რეკომენდაცია:

- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა „შიდა გადაადგილების ალტერნატივის“ შეფასება მოახდინონ რელევანტურობისა და გონივრულობის ტესტის გამოყენებით.

კონტრაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინების სასამართლო პრაქტიკა

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლებს. ერთ-ერთი მათგანი საკმარისი საფუძველია ვარაუდისათვის, რომ თავშესაფრის მაძიებელი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ წესრიგს. სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს კავშირი აქვს: ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ) სხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან; გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; დ) სხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან) ან/და შეიარაღების მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან.⁹¹ აღსანიშნავია, რომ ამგვარი ინფორმაციის დამუშავება ხდება კონტრაზვერვითი

⁹¹ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლი.

საქმიანობის შედეგად, ხოლო „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 პუნქტის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ დავას განიხილავს სასამართლო ადმინისტრაციული წესით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20¹ მუხლის მე-3 ნაწილში განსაზღვრულია, რომ გასაიდუმლოებულ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმების ანალიზიდან ჩანს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს როგორც თავშესაფრის მაძიებლებს, აგრეთვე სამინისტროსაც, რომელიც წყვეტს თავშესაფრის მინიჭების საკითხს. სამინისტრო ხელმძღვანელობს იმ ინფორმაციით, არის თუ არა საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ განმცხადებელი საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას, თუმცა კონკრეტულ ინფორმაციაზე წვდომა მხოლოდ სასამართლოს აქვს. აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად, უკავშირდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

2017 წლის 15 აპრილს, ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტზე, უმაღლესი კომისრის ასისტენტმა მოხსენებისას აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება და ლტოლვილთა დაცვა უნდა აღიქმებოდეს ერთობლივ პრიორიტეტად.⁹² ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებით არ უნდა შეილახოს თავშესაფრის მაძიებლის უფლებები, ხოლო თავშესაფრის მაძიებლის უფლებებისთვის გადაჭარბებული პრიორიტეტის მინიჭებით არ უნდა შეილახოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი. მნიშვნელოვანია ორივე ინტერესის სამართლიანი დაბალანსება, ოქროს შუალედის ძიება. ადამიანის უფლებათა დაცვის სადარაჯოზე მყოფი სტრასბურგის სასამართლოც იზიარებს ამ მოსაზრებას და ზემოაღნიშნულ მისიას კუმულაციურ ერთობლიობად განიხილავს. ამის ნათელი დასტურია პრეცედენტულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ეროვნული უსაფრთხოებისა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა ინდივიდუალურ ინტერესებს.

⁹² იხ.: United Nations Security Council Counter-Terrorism Committee New York, 5 April 2017 Open Briefing by Volker Türk, Assistant High Commissioner for Protection, გვ. 1.

როგორც აღინიშნა, მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მაძიებლებს არ აქვთ წვდომა იმ მტკიცებულებებზე, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო მათ უარს ეუბნება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. ხშირ შემთხვევაში, უარი განპირობებულია ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოები ასეთი ინფორმაციის გათქმისგან თავს იკავებენ ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად და ცდილობენ სამართლიანი ბალანსის მიღწევას ლტოლვილის უფლებებსა და ეროვნულ ინტერესებს შორის. ამ კუთხით, სახელმწიფოთა უმრავლესობის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ლტოლვილის დამცველს, ადვოკატს აქვს ინფორმაციის გარკვეულ ნაწილზე წვდომის უფლებამოსილება, რომელიც სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირად გვევლინება და მეტ-ნაკლებად მას უწევს დაცვის ქვეშ მყოფისთვის იმ ზოგადი სურათის შექმნა, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს ეთქვა უარი. საპირისპიროდ, მოსამართლეებს აქვთ ასეთ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილება. მათ კი, საქმის საფუძველიანი გამოკვლევისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევის შემდეგ, გამოაქვთ გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭების ან დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. თავად ის მოდელიც, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეს აქვს წვდომა ე. წ. საიდუმლო მასალებზე, ლტოლვილისთვის ერთგვარი გარანტია, რომ კომპეტენტური მოსამართლის მიერ მისი საქმე საფუძველიანად და სრულყოფილად იქნება გამოკვლეული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა უმეტესობის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ლტოლვილთა უფლებების ადეკვატური გარანტიები, მაინც იკვეთება ისეთი ფაქტორები და გარემოებები, რომლის საფუძველზეც განმცხადებლები უთითებენ, რომ არსებული საკანონმდებლო რეალობა საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას. ხშირად, ისინი აპელირებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საკითხებზე. პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ ურთიერთობებში ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებად გვევლინებიან მონაცემთა დამმუშავებელი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და მონაცემთა სუბიექტი, რომლის შესახებაც მუშავდება პერსონალური მონაცემები. ლტოლვილთა სამართლის ჭრილში, მონაცემთა სუბიექტია თავად თავმესაფრის მაძიებელი პირი, ხოლო მონაცემთა დამმუშავებლად გვევლინება სახელმწიფო ორგანო. მონაცემთა სუბიექტის უფლებების ცნებაში მოიაზრება მონაცემთა სუბიექტის უფლება მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გადაცემა, დამუშავების შეწყვეტა, მონაცემთა განადგურება ან მისი ჩასწორება. ამის თაობაზე კი, სახელმწიფოს ენიჭება მოქმედების ფართო დისკრეციული უფლებამოსილება და შეუძლია თავად მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებით

დაადგინოს სპეციალური შეზღუდვები იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს ისეთი აღმატებული და ლეგიტიმური ინტერესი, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება. თუმცა, ბუნდოვანია თუ როგორ უნდა შეიღებოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები **prima facie** მტკიცებულებების თავშესაფრის მაძიებლისთვის გაცნობის მეშვეობით, როდესაც ამ უკანასკნელს გააჩნია კანონიერი ინტერესი დაადგინოს თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი. მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებელთათვის და უფრო მეტად ამ სფეროთი დაინტერესებული აკადემიური წრის წარმომადგენლებისთვის ბუნდოვანია ის საკითხი, რომ პირობითად თუ კონტრდაზვერვის მიერ მოძიებულ მტკიცებულებებში იკვეთება პირდაპირი საფრთხე, რომ ესა თუ ის პირი წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მაშინ რატომ არ ხდება ასეთი პირების დაკავება და მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თუ შესაბამის ორგანოებს აქვთ ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის რისკი და მასში სწორედ თავშესაფრის მაძიებელი პირია შემჩნეული, მაშინ რატომ არ უნდა მოხდეს ასეთი პირის მიმართ შესაბამისი **ex officio** ზომების გამოყენება. ამ პოზიციის დამცველები ძირითადად, მიუთითებენ რამდენად არსებობს **prima facie** ეროვნული ინტერესის ხელყოფის საფრთხე? თუ ეროვნული ინტერესების ხელყოფა, უბრალოდ წარმოადგენს ე.წ. **in abstracto** მიზეზს, მტკიცებულებებზე წვდომის შეზღუდვისთვის? საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება საქმეზე *ლეანდერი შევედეთის წინააღმდეგ*.⁹³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლება, რომელიც შენახული აქვთ საჯარო ორგანოებს, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია შეზღუდული იყოს.⁹⁴ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პირების ფარული შემოწმება, რომლებსაც სურთ დაიკავონ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებული პოზიცია, თავისი არსით, არ იყო წინააღმდეგობაში დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის მოთხოვნასთან.⁹⁵ მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დასაცავად, უსაფრთხოების სპეციალური ზომები განსაზღვრული იყო შიდასახელმწიფოებრივი კანონით, მაგალითად, კონტროლს ახორციელებდა პარლამენტი და იუსტიციის კანცლერი, რამაც სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ პერსონალის კონტროლის შვედური სისტემა შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. არსებული დისკრეციიდან გამომდინარე, მოპასუხე სახელმწიფოს თანახმად, განმცხადებლის საქმეში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები წინ იდგა ინდივიდუალურ ინტერესებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ადგილი არ

⁹³ Leander v. Sweden, N9248/81, 1987 წლის 26 მარტი, სერია A N116.

⁹⁴ იხ.: Boillat, Philippe., Kjaerum, M., Handbook on European Data Protection Law, კ. გოშადის თარგმანი, მ. ბეგიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, გვ. 143.

⁹⁵ იქვე. გვ. 89.

ჰქონდა.⁹⁶ ასევე, საინტერესოა საქმე *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ*.⁹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რამდენადაც რუმინული სამართლით დასაშვები იყო საიდუმლო ფაილებში შენახვის მიზნით, იმ ინფორმაციის შეგროვება, ჩაწერა და დაარქივება, რაც გააღწედა ახდენდა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, თანაც, ამ უფლებამოსილებათა შესრულებისას, შეზღუდვების დადგენის გარეშე, რაც ორგანოებს აძლევდა შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას.⁹⁸ მაგალითად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ინფორმაციის იმ სახეს, რომელიც უნდა დამუშავებულიყო, ასევე ადამიანების კატეგორიებს, ვისზეც უნდა ყოფილიყო გამოყენებული თვალთვალის ზომები, პირობები, რადროსაც ამგვარი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული ან თავად გამოყენების პროცედურა დაცული.⁹⁹ მოცემული ნაკლოვანებების გამო, სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ იყო შესაბამისობაში განჭვრეტადობის მოთხოვნასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით და შესაბამისად, ეს მუხლი დაირღვა.¹⁰⁰

2008 წლის 24 აპრილს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ს. ჯ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა. არსებული მასალების მიხედვით, პირველი განმცხადებელი დასახლდა ბულგარეთში 1992 წელს, ხოლო 1996 წლის 9 აპრილს მან იქორწინა მეორე განმცხადებელზე. შეუღლებიდან, ცოტა ხნის შემდეგ მას მიენიჭა ბინადრობის უფლება, ხოლო მესამე განმცხადებელი – მათი ქალიშვილი დაიბადა 1996 წლის 24 მაისს.¹⁰¹ განმცხადებელს ჩამოერთვა ბინადრობის უფლება და დაექვემდებარა 10-წლიან დეპორტაციას იმ საფუძველით, რომ იგი წარმოადგენდა სერიოზულ საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.¹⁰² სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საქმე ეხებოდა ბულგარეთში დიდი ხნის მცხოვრები პირის გაძევებას ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის, საიდუმლო მონიტორინგის ანგარიშის საფუძველით. განმცხადებლები დავობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8, მე-13 და მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. პირველ ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე. სასამართლო მტკიცედ დგას პოზიციაზე, რომ განმცხადებლის გაძევება წარმოადგენდა საშუალებას, რომლის მეშვეობითაც

⁹⁶ იქვე. გვ.89.

⁹⁷ Rotaru v. Romania [დიდი პალატა], N28341/95, ECHR 2000-V.

⁹⁸ იხ.: Boillat. Philippe., Kjaerum. M., Handbook on European Data Protection Law, კ. გოშადის თარგმანი, მ. ბეგიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, გვ. 87.

⁹⁹ იქვე. გვ. 87.

¹⁰⁰ იქვე. გვ. 87.

¹⁰¹ C.G. and Others v. Bulgaria, N1365/07, §5, 2008 წლის 24 აპრილი.

¹⁰² იქვე. §6.

ამკარად ხორციელდებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა. პროპორციულობის ტესტის თანახმად, შეზღუდვას უნდა გააჩნდეს ნორმატიული საფუძველი, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს ასეთი მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება დემოკრატიულ საზოგადოებაში. პირველ ორ წინაპირობასთან მიმართებით, სასამართლო უბრალოდ არ ადგენს, რომ ჩარევას უნდა გააჩნდეს საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ყურადღებას ამახვილებს საკანონმდებლო ნორმის ხარისხსა და ასეთი ნორმის კანონის უზენაესობის პრინციპებთან შესაბამისობაზე.¹⁰³ ამ ფრაზაში სასამართლო გულისხმობს, რომ ეროვნული სამართლის ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ნორმის დარღვევის მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან განმარტებებს გვთავაზობს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უპირატესად ნორმის განჭვრეტადობის ჭრილში. სასამართლო აღნიშნავს, რომ „*ეროვნულ უსაფრთხოებასთან კავშირში მყოფი გამოსაყენებელი საშუალებების კონტექსტში, განჭვრეტადობის მოთხოვნა ვერ იქნება ისეთი, როგორც მაგალითად, სხვა დარგშია, კერძოდ, განჭვრეტადობის მოთხოვნა ვერ გაიჭრება იმდენად შორს, რომ მოთხოვოს თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს დეტალურად ჩამოწეროს ყველა ის ქმედება, რომელიც საფუძვლად დაედება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის გაძევებას.*¹⁰⁴ სასამართლო შემდგომ უთითებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ არსებულ რისკებსა და საფრთხეებს შესაძლებელია გააჩნდეს სხვადასხვა ბუნება, რომლის განჭვრეტაც შესაძლებელია ვერ განხორციელდეს ან ძალიან გართულდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თუნდაც მაშინ, როდესაც რისკის წინაშე დგას ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერებისა და კანონის უზენაესობის კონცეფციებით მოთხოვნილ იქნას ისეთი გაძევების ღონისძიება, რომელიც ძირს უთხრის ინდივიდის ძირითად უფლებებს.¹⁰⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ინდივიდს უნდა გააჩნდეს კონვენციით მინიჭებული გარანტიებით ეროვნულ დონეზე სარგებლობის უფლება, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის წინაშე, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო პროცესზე სამართლის ძიების შესაძლებლობას, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება კლასიფიცირებული ინფორმაციის საფუძველზე პირის გაძევებას. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მაგალითის სახით მოიშველია პრეცედენტულ სამართალში უკვე კარგად დამკვიდრებული სტანდარტი და აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის საფუძვლიანი და

¹⁰³ იქვე. §39

¹⁰⁴ იქვე. §40

¹⁰⁵ იქვე. §40

სრულყოფილი განმარტება რიგი მიზეზების გამო შეუძლებელია, მათ შორის მოიაზრება თითოეული ხელმომწერი სახელმწიფოს უნიკალური სამართლებრივი კულტურის, სამართლებრივი ტრადიციებისა და თვითმყოფადობის საკითხები. მიუხედავად ეროვნული ინტერესების ცნების კომპლექსურობისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ შეიძლება, რომ არაგონივრულად გასცდეს ეროვნული უსაფრთხოების ბუნებრივ და კლასიკურ კონცეფციას. სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლისთვის წაყენებული ბრალდებები – რა სერიოზულიც არ უნდა იყოს იგი და რა დამანგრეველი ეფექტიც არ უნდა ჰქონდეს მას ადამიანების სიცოცხლეზე – ეს ვერ ჩაითვლება იმგვარ გონივრულ საფუძვლად, რომელიც შეძლებდა ბულგარეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის დაზიანებას.¹⁰⁶ მოცემული საქმის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი არ იყო ის მტკიცებულება ან მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ, საიდუმლო მონიტორინგისას მოპოვებული მასალები, რომლის საფუძველზეც ბულგარეთის შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უშიშროებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ ფაქტს შოკისმომგვრელად აფასებს და განმარტავს, რომ პირველი განმცხადებლის გაძევების გადაწყვეტილებაში მოხსენიებული არ იყო გაძევების არც ერთი ფაქტობრივი საფუძველი. [...] საქმის მეტად კრიტიკული ასპექტი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ვერც ერთი კონკრეტული არგუმენტის დემონსტრირება, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ვარაუდს, რომ განმცხადებელი ნამდვილად წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.¹⁰⁷ საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და განმარტა, რომ განმცხადებლის საქმე არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ საქმის განხილვის გონივრულ, საფუძვლიან და სიღრმისეულ სტანდარტებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სახეზე გვქონდა ფორმალური და არაფრისმომცემი გადაწყვეტილება.

განმცხადებელი ასევე, დავობდა კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აკრიტიკებს ეროვნული სასამართლოების მიდგომას, რომლებმაც მტკიცებულებათა სათანადო გამოკვლევის და ზოგადად, ასეთი ფაქტის დამდგენი მტკიცებულებების არქონის გარეშე გამოიტანეს დეპორტაციის გადაწყვეტილება. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო, რომელიც უცხოელის გაძევებისას ეყრდნობა საჯარო წესრიგის კონცეფციას, უნდა შეეძლოს იმის დემონსტრირება,

¹⁰⁶ იქვე. §43.

¹⁰⁷ იქვე. §46-47.

რომ აუცილებელი იყო ასეთი საგამონაკლისო მოქმედების გამოყენება.¹⁰⁸ სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელს ბულგარეთიდან გაძევებამდე უნდა ჰქონოდა კონვენციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. როგორც დადგინდა, განმცხადებლის საქმე არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული და დადგენილი, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტიდან.¹⁰⁹

მსგავსი საქმეა *ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ*, რომლის თაობაზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2006 წლის 8 ივნისს გამოიტანა.¹¹⁰ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. აღნიშნული მუხლის დარღვევაზე მსჯელობისას, სასამართლომ განიხილა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ძირითად უფლებაში ჩარევის პროპორციულობის ტესტი და დაასკვნა, რომ აღნიშნული საქმის პროპორციულობის ტესტის მეშვეობით შეფასება საჭიროც არ იყო, გამომდინარე იქედან, რომ განმცხადებელი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარდგომისას, არ იყო აღჭურვილი დაცვის მინიმალური გარანტიებით, რითიც შესაძლებელია განხორციელებულიყო რუმინეთის ხელისუფლების თვითნებობის პრევენცია. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნის დასახელება მოითხოვს კომპლექსურ დასაბუთებას. კერძოდ, თუ რა ხარისხითა და რა კონტექსტში უქმნის საფრთხეს განმცხადებელი ეროვნულ უსაფრთხოებას. სასამართლომ გამოიკვლია, რომ რუმინეთის ხელისუფლებას სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაუწვია განმცხადებლის წინააღმდეგ ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენის გამო. განმცხადებლის გაძევება ეფუძნებოდა მხოლოდ ზოგად მითითებას, რომ ეს უკანასკნელი საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული მართლწესრიგისთვის.¹¹¹ მეტად საინტერესოა, კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევაზე მსჯელობა, იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას კონვენციის ფარგლებში. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი არ იყო ინფორმირებული გაძევების მიზეზების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირის გაძევება განხორციელდა კანონის საფუძველზე, კანონი არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლო უთითებს, რომ რუმინეთის ხელისუფლებას მცირე მითითებაც არ მიუცია განმცხადებლისთვის, მისი გაძევების მიზეზების თაობაზე, ხოლო ბრალდების შესახებ დადგენილება, მას ერთი დღით აღრე

¹⁰⁸ ოქვე. §78.

¹⁰⁹ ოქვე. §79.

¹¹⁰ *Lupsa v. Romania*, N10337/04, ECHR 2006-VII.

¹¹¹ ოქვე. §40.

გადაეცა სააპელაციო პალატაში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვამდე.¹¹² საბოლოოდ კი, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საქმის სასამართლოს წინაშე განხილვას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ყოველგვარი ლოგიკური შედეგის დადგომის გარეშე, იმდენად, რამდენადაც დარღვეული იყო განმცხადებლის საპროცესო უფლებები. შედეგად, ვერ დაკმაყოფილდა კონვენციის დადგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფა, რაც საბოლოოდ, კონვენციით განსაზღვრული უფლების ხელყოფაში აისახა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საქმეზე, *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,¹¹³ გაერთიანებულ სამეფოში თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენების წესი შეიცვალა. თუკი, მანამდე არსებული მოდელის ფარგლებში მხარეს სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციაზე წვდომა საერთოდ არ ჰქონდა, აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ გაერთიანებულმა სამეფომ შემოიღო სპეციალური ადვოკატის ინსტიტუტი. იგივე ინსტიტუტი დამკვიდრდა კანადაშიც, კანადის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილების შემდეგ, საქმეზე *ჩარაკაოუი კანადის წინააღმდეგ*.¹¹⁴

სპეციალურ ადვოკატებს აქვთ უფლება გაეცნონ სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციას. ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. სასამართლო ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად წყვეტს, მისცეს თუ არა სპეციალურ ადვოკატს საქმის დეტალების კლიენტთან განხილვის უფლება, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია საქმის ძირითადი არსი კლიენტს გააცნოს.¹¹⁵

აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის არსებობის პირობებშიც კი, ადამიანის უფლებათა ერთობლივმა კომიტეტმა (Joint Committee on Human Rights) ტერორიზმთან მიმართებით, პოლიტიკისა და ადამიანის უფლებებთან მიმართებით, მეთექვსმეტე ანგარიშში აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამოყენების საკითხი და ზოგადად, სპეციალური ადვოკატის ინსტიტუტი უნდა გადაიხედოს.¹¹⁶ კომიტეტს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის საწინააღმდეგოა ის ფაქტი, რომ სპეციალურ ადვოკატებს ინფორმაციის

¹¹² იქვე. §59.

¹¹³ *Chahal v The United Kingdom*, N22414/93, 1996 წლის 15 ნოემბერი.

¹¹⁴ *Charkaoui v. Canada –SCC 0, 1 S.C.R.350*.

¹¹⁵ „საქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის პროცედურები გამჭვირვალე არ არის“ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2017 ნოემბერი, გვ. 8. იხ.: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/vizualization/Article_IDFI_Refugees%20_geo.pdf.

¹¹⁶ Joint Committee on Human Rights. Counter-Terrorism Policy and Human Rights (Seventeenth Report): Bringing Human Rights Back In. Sixteenth Report of Session 2009–10, p. 5.

გაცნობის შემდეგ უფლება არ აქვთ, მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ სახელმწიფო საიდუმლოებად მინიჭებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. კომიტეტის აზრით, აღნიშნულის გამო სასამართლოს მიერ გამოყენებული მტკიცებულებები ამ პირებისათვის კვლავ ბუნდოვანია.¹¹⁷

სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესსა და ინდივიდის უფლებების დაცვასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ZZ v. Secretary of State for the Home Department,¹¹⁸ სადაც სასამართლომ თავისუფალი გადაადგილების შესახებ დირექტივაზე (Free Movement Directive 2004/38/EC-დირექტივა სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის და ასევე, ისლანდიის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და ლიხტენშტეინისათვის) მსჯელობისას აღნიშნა, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დააბალანსონ სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესი და ინდივიდის მიერ საკუთარი თავის ეფექტურად დაცვის მექანიზმის არსებობის მნიშვნელობა. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ვალდებულება ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის 47-ე მუხლიდან გამომდინარეობს.¹¹⁹

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული ბალანსი სახელმწიფოთა შიდა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ. აუცილებელია, რომ ეს სასამართლოები დარწმუნდნენ და უზრუნველყონ, რომ პირს ჰქონდა ინფორმაცია უშუალოდ იმ არსებითი ფაქტების შესახებ, რომელიც საფუძველად დაედო მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

ლტოლვილთა და გაძევების ევროპული საბჭოც (European Council on Refugees and Exiles) ასევე, იზიარებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილ სტანდარტს და მიუთითებს, რომ აუცილებელია თავშესაფრის მაძიებელს ჰქონდეს წვდომა მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, რადგან სხვაგვარად მისთვის დაცვის უფლების გარანტირება შეუძლებელი იქნება.¹²⁰

¹¹⁷ Joint Committee on Human Rights. Counter-Terrorism Policy and Human Rights (Seventeenth Report): Bringing Human Rights Back In. Sixteenth Report of Session 2009–10, p. 23.

¹¹⁸ ZZ v. Secretary of State for the Home Department (CJEU, C-300/11).

¹¹⁹ „საქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის პროცედურები გამჭვირვალე არ არის“ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2017 ნოემბერი, გვ. 9. იხ.: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/vizualization/Article_IDFI_Refugees%20_geo.pdf.

¹²⁰ „საქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის პროცედურები გამჭვირვალე არ არის“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2017 ნოემბერი, გვ. 9. იხ.: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/vizualization/Article_IDFI_Refugees%20_geo.pdf.

აღსანიშნავია, რომ ძირითადად, თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოები კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველად ცალსახად არ მიიჩნევენ. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია განმცხადებლების მხრიდან საქართველოს ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხის არსებობის თაობაზე და თავშესაფრის მაძიებლებს მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა.¹²¹ ორივე სასამართლოს მსჯელობა თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით მოიცავდა პროპორციულობის ტესტს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Chahal v. The United Kingdom), სადაც განმარტებულ იქნა, რომ „პირისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმისა და დეპორტაციის გადაწყვეტილების მიღების საფუძველად სახელმწიფო უშიშროების მიზნების გამოყენებისას, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ უნდა დააბალანსოს სახელმწიფო ინტერესების შელახვის რისკი და ის საშიშროება, რაც პირს ემუქრება თავის ქვეყანაში დაბრუნებისას. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ სასამართლოებს უფლება აქვთ შეცვალონ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ არასწორად მოხდა კანონის ინტერპრეტაცია, ან არ იქნა გათვალისწინებული ის საკითხები, რაც მნიშვნელოვანია ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას, ან ის არის ირაციონალური.“ განსახილველ საქმეში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თავშესაფრის მაძიებლის დაბრუნება თავის ქვეყანაში წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მაღალი რისკის შემცველია, რომ პირის „იძულება“ დაბრუნდეს ქვეყანაში, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და შესაბამისად, ზემოთ მოხმობილი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რაც უფრო დიდია წარმოშობის ქვეყანაში არასათანადო მოპყრობის რისკი, მით ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის ინტერესებს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი იქნება დამატებით განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო საქმე

¹²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №38/2003-15.

ეროვნული სასამართლო პრაქტიკიდან. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში¹²² თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მხრიდან განმცხადებელს, რომელიც იყო სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე, სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველით უარი ეთქვა ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება და მას მიანიჭა ჰუმანიტარული სტატუსი. სასამართლოთა მსჯელობა იყო შემდეგნაირი:

თბილისის საქალაქო სასამართლომ კონტრადვერსული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს და ახორციელებს საჯარო ინტერესებს, თავის საქმიანობაში უნდა აბალანსებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს და რომელიმე მათგანს გაუმართლებელ პრივილეგიას არ უნდა ანიჭებდეს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად აქტით გათვალისწინებულ საშუალებას და ამ აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო აქტი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, ვინაიდან მიუხედავად პირის კანონით დაცული ინტერესისა, სახეზეა სახელმწიფოებრივი მიზანი და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ინტერესი, რაც გამორიცხავდა მოსარჩელისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას.“

განსახილველი საქმე სააპელაციო წესით გასაჩივრდა და სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც აპელანტს (თავშესაფრის მაძიებელს) ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა. კერძოდ, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ: „მოსარჩელის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და წარმოშობის ქვეყნის შესახებ საქმეზე წარმოდგენილი მასალების ანალიზი ადასტურებს როგორც თავშესაფრის მაძიებლის სუბიექტური შიშის საფუძველს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას, საფრთხისა და უფლებების დარღვევის შესახებ, ასევე

¹²² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება (შემდგომში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №33/1810-15).

ადასტურებს ამ შიშის ობიექტური საფუძვლების არსებობას, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში არის საფუძვლიანი ალბათობა, რომ განმცხადებლის სიცოცხლეს და უფლებებს მიაღვეს სერიოზული ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ სახეზეა ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული საფუძვლები ჰუმანიტარული სტატუსის მისანიჭებლად, ვინაიდან დასახელებული მუხლი ადგენს, რომ ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს და რომლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლეს ან დაირღვეს მისი უფლებები. ამასთან, თავშესაფრის მაძიებლის მიმართ წარმოშობის ქვეყანაში გამოკვეთილი შესაძლო არასათანადო მოპყრობა მთლიანობაში იწვევს მის მიმართ კონვენციით დაცული სხვადასხვა უფლებების მნიშვნელოვან დარღვევას. კერძოდ, სიცოცხლის უფლება – თითოეულ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის განუყოფელი უფლება. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე (მუხლი 6); წამების აკრძალვა – არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს (მუხლი 7); თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას, მუხლი 17(1).“

გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიუთითია, რომ „თავშესაფრის მაძიებლის მიერ მოტანილი ფაქტებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე აკმაყოფილებს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს ჰუმანიტარული სტატუსის მისანიჭებლად, ამასთან, თავშესაფრის მაძიებლის მიმართ შიდა გადაადგილების ალტერნატივა სამინისტროს მიერ სირიის ქალაქ ალეპოს შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე განხილული ვერ იქნება სირიაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.“

დაბოლოს, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან სასამართლოს მიერ მოსარჩელის მიმართ გამოთხოვილი ინფორმაცია იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის საქართველოში ყოფნა არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს და არ ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ მას უარი ეთქვას ჰუმანიტარულ სტატუსზე.“

კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკიდან კიდევ ერთი საქმე¹²³, რომელშიც თავშესაფრის მინიჭებას ითხოვდა აზერბაიჯანის ორი მოქალაქე, მათ შორის, ერთ-ერთი იმყოფებოდა საქსტრადიციო პატიმრობის ქვეშ. ეს საქმე მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ მოსარჩელებს, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება შეცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფოს უსაფრთხოების საფუძვლით და უარი უთხრა მათ სტატუსის მინიჭებაზე. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ამ საქმეში იმსჯელეს შემდეგნაირად:

[თბილისის საქალაქო] სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრიორიტეტულად მიიჩნია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხი, თუმცა განმარტა, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა იყოს ყოველმხრივ გაანალიზებული, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება გამოკვლეული და დასაბუთებული. ამასთან, სასამართლომ კანონით დადგენილი წესით გამოითხოვა და შესაბამისად, გაეცნო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის გაგზავნილ წერილს, ამ წერილის საფუძველად არსებულ ინფორმაციას და მიიჩნია, რომ „იგი არ შეიცავს დასაბუთებას საფრთხის პოტენციური ხასიათის შესახებ, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში რა სახის საფრთხე შეიძლება დაემუქროს თავშესაფრის მიმცემ ქვეყანას, ასევე არ არის გაანალიზებული საფრთხის სერიოზულობა და საერთოდ არ არის დასაბუთებული ისეთი ელემენტი, როგორცაა პროპორციულობის მოთხოვნა. ანუ ინფორმაცია არ შეიცავს დასაბუთებას საფრთხის სერიოზულობის შესახებ, რომელიც ექმნება ქვეყნის უსაფრთხოებას, ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული საფრთხე განხორციელდება და სახეზეა მისი გარდუვალობა, ინდივიდის გაძევების შემთხვევაში, აღმოიფხვრება ან შემცირდება თუ არა ეს საფრთხე, ასევე რისკის ხასიათი და სერიოზულობა.“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დაადგინა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არ შეიცავდა არანაირ დასაბუთებას თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ინტერესების საფრთხის თაობაზე, ასევე მითითებას იმ მნიშვნელოვან გარემოებებზე, რაც ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ინტერესებს, არსებობდა მოსარჩელისათვის და მისი შვილისათვის (ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით) ლტოლვილის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძველი.

¹²³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება (შემდგომში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №33/2208-16).

საკითხი სხვაგვარად შეაფასა თბილისის სააპელაციო სასამართლომ და სტატუსის მაძიებლის მიერ გამოთქმული შიშის საფუძვლიანობის შეფასებისას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, როგორც განმცხადებლის მიერ განხორციელებულ პოლიტიკური სახის ქმედებებზე (თავშესაფრის მაძიებელი აკეთებდა ღია განცხადებებს აზერბაიჯანის ხელისუფლების და კონკრეტულად, სახელმწიფოს მეთაურების – ჰეიდარ ალიევისა და ილჰამ ალიევის წინააღმდეგ), ისე წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე (ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, Human Rights Watch-ისა და Amnesty International-ის 2015 წლის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანში წამება და არაადამიანური მოპყრობა დაუსჯელი რჩება).

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციულმა ორგანომ სანდოდ მიიჩნია მოსარჩელის მიერ მითითებული ყველა ინფორმაცია. წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ცნობებით მისთვის ნათელი გახდა, რომ დაბრუნების შემთხვევაში მოსარჩელე შესაძლოა დადგეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკის ქვეშ. თავშესაფრის მაძიებელი, მის მიერ განხორციელებული პოლიტიკური ქმედებების ნიადაგზე, ვერ შეძლებს ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ხოლო საპატიმრო პირობებში აღმოჩენის შემთხვევაში, მაღალი ალბათობით აღმოჩნდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკის ქვეშ.“ თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატამ გაითვალისწინა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ საქმის განხილვისას სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და რომლის შინაარსიც მხოლოდ სასამართლოსთვის არის ცნობილი. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამინისტროსთვის და საქალაქო სასამართლოსთვის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიწოდებული ინფორმაციის შემდგომ, შესაბამის ორგანოს არ შეუწყვეტია თავშესაფრის მაძიებლების მიმართ დამატებითი მასალების მოპოვება, მოკვლევა და დამუშავება. დეპარტამენტის მიერ შეგროვებულ იქნა დამატებით არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომლის გაცნობის საფუძველზე, პალატის აზრით, დასტურდება, რომ მათი საქართველოში ყოფნა მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს. ვინაიდან საკითხი ეხება სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, თავშესაფრის მაძიებლების საქართველოში ყოფნა, თავისი საქმიანობის, ცხოვრების წესით, სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფო ინტერესებს, რადგან როდესაც საუბარია სახელმწიფო უსაფრთხოებაზე – მასში მოიაზრება საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მათი უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ უპირატესობა მიანიჭოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას მოწინააღმდეგე

მხარეთა ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით.“ გარდა ამისა, პალატამ მიუთითა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმე „ლეანდერი შევდეთის წინააღმდეგ,“ რომლის მიხედვით, „შევდეთის მთავრობას უფლება ჰქონდა დაედგინა ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი აპლიკანტის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით, რაც ასევე ადასტურებს, რომ სამინისტროს მიერ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული აქტი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისია.“ შესაბამისად, სასამართლომ განმარტა რომ „მიუხედავად პირის კანონით დაცული ინტერესის არსებობისა, სახეზეა სახელმწიფოებრივი მიზანი და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ინტერესი, რაც პალატის აზრით, გამოორიცხავს თავშესაფრის მაძიებლების განცხადების დაკმაყოფილებას, მათთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე.“

კვლევის შედეგად უნდა ითქვას, რომ როგორც წესი, თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოები ცდილობენ საკითხის გადაწყვეტისას შეაფასონ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია საქმის არსებით ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში (მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში¹²⁴, პალატამ განმარტა, რომ: წინამდებარე საქმეზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან სასამართლომ დამატებით გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მხარეებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება, შესაბამისად, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის, სადავო შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, თავშესაფრის მაძიებელ პირზე 2024 წლამდე გაცემულ იქნა მოქმედი საქართველოს ბინადრობის მოწმობა. პალატა განმარტავს, რომ: ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა კანონისმიერი ვალდებულება გამოეთხოვა შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისგან, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან. მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ადგენს დასკვნას, უცხოელის ან

¹²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 5 დეკემბრის განჩინება საქმეზე №33/2516-19.

მოქალაქეობის არმქონე პირის სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ შეუქმნის თუ არა უცხოელის ან მოქალაქეობის ამქონე პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა საფრთხეს საქართველოს სახელმწიფოს ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. შესაბამისად ზემოაღნიშნული ბინადრობის მოწმობით დასტურდება, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტმა თავშესაფრის მაძიებლის განცხადების განხილვისას განმეორებით უნდა მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს და მიღებული ინფორმაციისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, უნდა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ თავშესაფრის მაძიებელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან და ჰყავს ორი შვილი), წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და თავშესაფრის მაძიებლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მის მიმართ მოსალოდნელი დევნის საფრთხეების გათვალისწინებით. ამასთან, დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ეროვნული სასამართლოები კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განხილვისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით ხშირად მსჯელობენ საჯარო და კერძო ინტერესებზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ქვეყნის უსაფრთხოების საფუძველით ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მიზანშეუწონლობის შესახებ შესაბამისი ორგანოს რეკომენდაცია ძირითადად, გაითვალისწინეს ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეების მიმართ. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებებში საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ იყო განმარტებული „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლით გათვალისწინებული თუ რომელი საფუძველი იკვეთებოდა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაში. შესაბამისად, აღნიშნულით მხარე მოკლებულია შესაძლებლობას სრულად გაეცნოს გადაწყვეტილების მიღების საფუძველს და წარადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტებანი.

რეკომენდაცია:

- საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველით თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში თუ მიეთითება ზოგადად, პირის რასთან კავშირს ეხება გასაიდუმლოებული ინფორმაცია (მაგალითად, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს კავშირი აქვს: საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, სხვა ქვეყნის სადაზვერუო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან, სხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან) ან/და შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან.

საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფ პირთა საქმეების ანალიზი

ექსტრადიცია ფორმალური პროცესია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ერთი სახელმწიფოს მიერ (მიმღები ქვეყანა) მეორე სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის (მთხოვნელი ქვეყანა) გადაცემა სისხლის სამართლის საქმეზე დევნის ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით. ექსტრადიცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოებს მძიმე დანაშაულების ჩამდენთა დასჯის საშუალებას აძლევს. ექსტრადიციის მეშვეობით ხდება დაუსჯელობასთან ბრძოლა. გარდა ამისა, ექსტრადიცია სახელმწიფოების მიერ ტერორიზმთან და საერთაშორისო დანაშაულის სხვა ფორმებთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია.

ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულება ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები არ არის. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია და მისი 1967 წლის დამატებითი ოქმი არ წარმოადგენს იმუნიტეტს ლტოლვილებისთვის ან თავშესაფრის მაძიებლებისთვის, თუ ისინი გარკვეულ დანაშაულებს ჩაიდენენ. გარდა ამისა, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი მთლიანად არ გამორიცხავს მათი ექსტრადიციის შესაძლებლობას. თუმცა, როდესაც ლტოლვილის ან

თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის საკითხი დგას, სპეციალური დაცვის ასპექტები უნდა იქნას გათვალისწინებული.¹²⁵

არგაძევების პრინციპი, რომელიც კრძალავს ლტოლვილების გაძევებას იმ ქვეყანაში, სადაც ისინი დევნის მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის რეჟიმის ქვაკუთხედი, რომელიც 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში აღბეჭდილი ფუნდამენტური პრინციპია და რომლის დარღვევაც დაუშვებელია. იგი, აგრეთვე, წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს.¹²⁶ კერძოდ, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 33(1) მუხლის მიხედვით: *არცერთი ხელშემკერული სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა თუ პოლიტიკური მრწამსის გამო.* მოცემული მუხლით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები მოქმედებს თავშესაფრის მაძიებელზე, ვიდრე მისი სტატუსის საბოლოოდ განსაზღვრა არ მოხდება.

არგაძევების პრინციპი არა მხოლოდ ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანას, არამედ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ეხება, სადაც ამ პირს შეიძლება დაემუქროს საფრთხე 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მიზეზის გამო. არგაძევების პრინციპი ასევე, ეხება ისეთ ქვეყანასაც, საიდანაც პიროვნება შეიძლება გადაყვანილი იქნას იმ სახელმწიფოში, სადაც ზემოხსენებული საფრთხე ემუქრება.¹²⁷ ამ შემთხვევაში საინტერესო იქნება ეროვნული სასამართლო პრაქტიკიდან განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე:¹²⁸

განსახილველ საქმეში, მოსარჩელე აცხადებდა, რომ წარმოშობის ქვეყანაში (სომხეთში) ექსტრადიციის შემთხვევაში, სომხეთის რესპუბლიკა მას გადასცემდა რუსეთის ფედერაციას, სადაც ასევე, მის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. თავშესაფრის მაძიებლის განცხადებით, იგი იყო რუსეთის სპეცსამსახურების დევნის ობიექტი. გარდა ამისა, სტატუსის

¹²⁵ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, ჟენევა, 2008, გვ. 5.

¹²⁶ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, ჟენევა, 2008, გვ. 8.

¹²⁷ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, ჟენევა, 2008, გვ. 8.

¹²⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/9558-15.

მაძიებელმა აღნიშნა, რომ „სომხეთის რესპუბლიკამ, ნაცვლად მის მიერ რატიფიცირებული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რაც მას პოლიტიკური მოტივით დევნილი პირისა და თავისი ქვეყნის მოქალაქის დაცვის ვალდებულებას ანიჭებს, ისე რომ არ შეისწავლა და არ გადაამოწმა მოსარჩელის მხრიდან რუსეთის ფედერაციის საზღვრის სხვისი დოკუმენტით დატოვების ობიექტური მიზეზი, სხვისი დოკუმენტით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის ბრალდებულად ცნო და მასზე გამოაცხადა ძებნა.“ განმცხადებლის მტკიცებით, აღნიშნულის მიზანი ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით, ბრალდებულის რუსეთის ფედერაციაში შემდგომი ექსტრადიცია იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა თავშესაფრის მინიჭების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქმის მასალებით დადასტურებულია და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მისი წარმოშობის ქვეყანაში, სომხეთის რესპუბლიკაში, ბრალდებულია ნაკლებად მძიმე და საშუალო სიმძიმის დანაშაულთა ჩადენაში და სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური პროკურატურის საექსტრადიციო მომართვის (თხოვნის) საფუძველზე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს სამართალწარმოება სომხეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მოსარჩელე ა. კ-ს საქართველოდან სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით, ხოლო რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის უკოვსკის საგამოძიებო სამმართველოს მიერ გამოცემული ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიცემის დადგენილების თანახმად, ა.კ-ს ბრალი ედება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (განზრახ მკვლელობა). საექსტრადიციო მასალებში აღნიშნულია, რომ ქმედებებს, რომელთა გამოც არის იგი ბრალდებული, პოლიტიკური ხასიათი არ გააჩნია.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენება გამოირიცხება თავშესაფრის მაძიებელთან მიმართებაში, რამდენადაც „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ მან ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ, ვიდრე ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული.

გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამხვილა იმ გარემოებაზე, რომ „მოსარჩელე მხარის მიერ არც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში და არც სასამართლოში არ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის უტყუარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ იგი სომხეთის რესპუბლიკაში აქტიურ პოლიტიკურ

საქმიანობას ეწეოდა და ის დანაშაული, რომელიც ბრალად ედებოდა მას, მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა.“ ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავშესაფრის მაძიებლის განცხადებებში არსებობდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები, კერძოდ, განმცხადებელმა სამინისტროში გასაუბრებისას განმარტა, რომ იგი პოლიტიკური პარტიის „მართალი საქმის“ წევრი იყო, თუმცა, მას არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია პარტიის პროგრამასთან და მის მიზნებთან დაკავშირებით. ასევე, მან ვერ მიუთითა თუ როდის დაარსდა პარტია და ვინ იყო პარტიის ლიდერი. გარდა ამისა, სტატუსის მაძიებლის მიერ პარტიის სლოგანად დასახელებული „ძირს ოკუპაცია“ – პარტიის არცერთ სლოგანს არ ემთხვეოდა. მოგვიანებით კი, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოსარჩელემ განაცხადა, რომ იგი არ ყოფილა არც ერთი პარტიის წევრი.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ „იმ პირობებშიც კი, თუ სასამართლო გაიზიარებს მოსარჩელე მხარის მითითებას თავშესაფრის მაძიებლის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრად ყოფნის თაობაზე, ეს თავისთავად არ სძენს იმ დანაშაულს პოლიტიკურ ხასიათს, რომელიც მას ედება ბრალად და რომლის გამოც იგი იძებნება. აგრეთვე, ეს გარემოება თავისთავად არ ადასტურებს მის მიმართ კონვენციითა და კანონით გათვალისწინებული ნიშნით დევნის ან დევნის საფრთხის რეალურობას, რადგან მოსარჩელე მხარის მიერ არ გამოკვეთილა და უტყური მტკიცებულებებით არ დადასტურებულა სომხეთის რესპუბლიკაში, პოლიტიკურ საქმიანობაში მისი ისეთი როლი, თანამდებობა ან დანიშნულება, რომელიც ზემოთ აღნიშნული დანაშაულის პოლიტიკურ საფუძვლებს და მოსარჩელის მიმართ დევნის საფრთხის ლოგიკურობას და რეალობას ცხადს გახდიდა“ (ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ საქართველოს სახელმწიფოს თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა წარმოშობის ქვეყნის დატოვებიდან მას შემდეგ, როდესაც მას შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა, რაც ასევე, მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ თავშესაფრის მიღების მიზანი არ არის კონვენციაში მითითებული ნიშნით დევნის საფრთხისგან თავის არიდება).

რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას სომხეთის რესპუბლიკაში არსებულ ზოგად მდგომარეობასა და მის ვარაუდთან დაკავშირებით, რომ სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში განხორციელდება მისი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ეს ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ დევნა და დევნის საფრთხე რეალურია კონკრეტულ მოსარჩელესთან მიმართებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტის მიხედვით (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება „შამაევი და სხვა 12 პირი რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ,“ განცხ. 36378/02, გვ. 99), წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის

ზოგად კონტექსტში მითითება არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ მომხივანთა პირად მდგომარეობას ემუქრება საშიშროება, რომელიც შეიძლება განვიხილოთ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ადამიანს უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გამოიციხა, რომ ცუდი მოპყრობის შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა იქვე განმარტა, რომ ცუდი მოპყრობის უბრალო შესაძლებლობა სპეციალური მტკიცებულებების გარეშე, არ ნიშნავს მე-3 მუხლის დარღვევას, მით უმეტეს, როდესაც წარმოშობის სახელმწიფოსაგან მიღებულია სპეციალური გარანტიები ასეთი შესაძლებლობის გამოსარიცხად.“ განსახილველ საქმეშიც არსებობდა სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის წერილი, რომლითაც სომხეთის რესპუბლიკა იძლეოდა გარანტიას, რომ ბრალდებული ისარგებლებდა ყველა სახის დაცვითი სამართლებრივი უფლებით და იგი არ დაექვემდებარებოდა სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას და არ გახდებოდა დევნის მსხვერპლი.

შესაბამისად, ყოველივე ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, მოსარჩელე არ დადგებოდა დევნის საფრთხის წინაშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვენვის კონვენციის 33(2) მუხლი ადგენს იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც არ გამოიყენება არგაძევების პრინციპი. მიმღებმა ქვეყანამ ინდივიდუალურ დონეზე უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები ნამდვილად დაკმაყოფილებული იმისათვის, რომ მოხდეს არგაძევების პრინციპის მიმართ გამონაკლისის დაშვება:

- (i) რაც შეეხება „ქვეყნის უსაფრთხოებას,“ უნდა დადგინდეს, რომ ამჟამად ან მომავალში ლტოლვილი ნამდვილად წარმოადგენს საფრთხეს მიმღები ქვეყნისთვის. საფრთხე ძალიან სერიოზული უნდა იყოს (და არანაკლებად სერიოზული), ამავე დროს, ეს საფრთხე მიმღები ქვეყნის სახელმწიფო უშიშროებას უნდა ემუქრებოდეს;
- (ii) რაც შეეხება „საზოგადოების საფრთხეს,“ ამ შემთხვევაში კონკრეტული ლტოლვილი არა მხოლოდ გასამართლებული უნდა იყოს ძალიან მძიმე დანაშაულისთვის, არამედ ისიც უნდა იქნას დადგენილი, რომ აღნიშნული ნასამართლეობის და დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული პიროვნება ამჟამად ან მომავალში მიმღები ქვეყნის საზოგადოებისთვის ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პიროვნება ძალიან მძიმე დანაშაულის გამო იქნა გასამართლებული, თავისთავად არ არის საკმარისი, რომ იგი ამჟამად ან მომავალში კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებისთვის სერიოზულ საფრთხედ ჩაითვალოს. ამის დადგენა მხოლოდ დამოკიდებული იქნება კონკრეტული დანაშაულის ბუნებაზე

და გარემოებებზე და სხვა შესაბამის ფაქტორებზე (მაგალითად, რეციდივის ალბათობა).¹²⁹

1951 წლის კონვენციაში მოცემული არგაძევების პრინციპის მიმართ გამონაკლისების დაშვებისას, იგივე კონვენციაში აღნიშნულია, რომ უნდა არსებობდეს რაციონალური კავშირი ლტოლვილის ექსტრადიციასა და მის კონკრეტულ ქვეყანაში ყოფნისგან გამოწვეული საფრთხის აღმოფხვრას შორის. ამ შემთხვევაში იგულისხმება საფრთხე ქვეყნის ან მისი საზოგადოების უსაფრთხოების მიმართ. აღნიშნული დებულება იმასაც გულისხმობს, რომ ლტოლვილის გაძევება უნდა იყოს ყველაზე ბოლო და უკიდურესი საშუალება მიმღები ქვეყნის ან მისი საზოგადოების მიმართ არსებული საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის. ამასთან, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხე უფრო სერიოზული უნდა იყოს, ვიდრე გაძევების შემთხვევაში ამ კონკრეტული პიროვნებისთვის ზიანის მიყენების რისკი. გარდა ამისა, 22(2) მუხლში მოცემული რომელიმე გამონაკლისის გამოყენების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ პროცედურის ფარგლებში, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი გარანტიები. მაშინ, როდესაც 33(2) მუხლის გამოყენების საკითხი ექსტრადიციის პროცესის ფარგლებში ხდება, მიმღები სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ როგორც არსებული, ისე პროცედურული მოთხოვნები ბოლომდეა დაცული.¹³⁰

როდესაც მიმღები ქვეყანა ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხს წყვეტს, იგი შეიძლება სხვადასხვა, ერთმანეთის გამომრიცხავი, ვალდებულებების კონფლიქტის წინაშე დადგეს. ერთი მხრივ, ამ სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს ექსტრადირების მოვალეობა მოსოვნელ ქვეყანასთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში ან საერთაშორისო თუ რეგიონული ინსტრუმენტების დებულებების მიხედვით, რომლებიც მხარეებს ექსტრადირების ან სამართლებრივი დევნის ვალდებულებას აკისრებენ, ხოლო მეორე მხრივ, მიმღებ ქვეყანას აქვს არგაძევების ვალდებულება ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, რომელიც კრძალავს ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციას მოსოვნელ ქვეყანაში თუ ზემოხსენებულ გარემოებებს აქვს ადგილი. ასეთ სიტუაციებში პიროვნების ექსტრადიციის აკრძალვა ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა

¹²⁹ ლაუტერპაქტი ე., ბეთლემი დ., არგაძევების პრინციპის მასშტაბი და შინაარსი: თვალსაზრისი, §190-192.

¹³⁰ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, უნევა, 2008, გვ. 12.

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში უფრო მაღალი რანგის ვალდებულებაა, ვიდრე ექსტრადიციის განხორციელების ნებისმიერი ვალდებულება.¹³¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმღებ ქვეყანას არ აქვს უფლება მოახდინოს ლტოლვილის ექსტრადიცია თუ ამის შედეგად პირს წამების სერიოზული საფრთხე დაემუქრება.¹³² ასევე, გაძევება დაუშვებელია თუ ლტოლვილს ექსტრადირების შემთხვევაში, სხვა მსგავსი გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე ემუქრება.

ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიაღება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი დუმილით თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან ან მათი თანმდევი.¹³³

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს უფლება გადასცეს პიროვნება მეორე ქვეყანას ამ უკანასკნელის მიერ გაცემული დიპლომატიური გარანტიების საფუძველზე მხოლოდ მაშინ, თუ ეს გარანტიები ნამდვილად ანეიტრალურად ამ პიროვნების მიმართ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის რისკს. ამისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ აღნიშნული გარანტიები.¹³⁴

- (i) შესაბამისი საშუალებაა კონკრეტული პიროვნების მიმართ არსებული საშიშროების გასანეიტრალებლად და რომ;
- (ii) მიმღებ ქვეყანას შეუძლია ენდოს ამგვარ დაპირებებს.

¹³¹ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, ჟენევა, 2008, გვ. 16.

¹³² ლაუტერპაქტი ე., და ბეთლემი დ., არგაძეების პრინციპის მასშტაბი და შინაარსი: თვალსაზრისი, 159 (ii), 166-ე და 179-ე პარაგრაფები.

¹³³ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, ჟენევა, 2008, გვ. 142.

¹³⁴ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, ჟენევა, 2008, გვ. 19.

დიპლომატიური გარანტიების სანდოობის შემოწმება შედარებით ადვილია, როდესაც კონკრეტულ პიროვნებას ექსტრადირების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ემუქრება, მაგრამ ასეთი დიპლომატიური გარანტიების შემოწმება საკმაოდ პრობლემატურია მაშინ, როდესაც ექსტრადირების შემთხვევაში, პიროვნებას წამება ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმები შეიძლება დაემუქროს. აღნიშნული საკითხი განმარტებული აქვს კანადის უზენაეს სასამართლოს:

კანადის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ:

(საქმე სურეში კანადის წინააღმდეგ 1.S.C.R. 3, 2002, SCC1, პარაგრაფი 124)

არსებობს განსხვავება სახელმწიფოს მიერ (სამართლებრივი პროცესის შედეგად) სიკვდილით დასჯის არგამოყენების შესახებ გაცემულ გარანტიებსა და წამების არგამოყენების შესახებ (უკანონო ქმედება) სახელმწიფოს მიერ გაცემულ გარანტიებს შორის. ჩვენ გაგვიჭირდება წამების არგამოყენების შესახებ ისეთი ქვეყნის დაპირებების ბოლომდე დაჯერება, რომელიც წარსულში მონაწილეობდა უკანონო წამებაში ან ნებას რთავდა სხვა მხარეებს მის ტერიტორიაზე მოეხდინათ ამგვარი ქმედებები. ასეთი დაპირებების დაჯერება განსაკუთრებით რთულია იმ შემთხვევაში, როდესაც წამებას არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ მის მიერ უკონტროლო ოფიციალური პირები მიმართავენ. ამიტომ, აუცილებელია დავინახოთ განსხვავება სიკვდილით დასჯის და წამების არგამოყენების შესახებ გაცემულ გარანტიებს შორის, რადგან სიკვდილით დასჯის არგამოყენების შესახებ დადებული პირობა საერთოდ უფრო სანდოა და ადვილი გასაკონტროლებელი, ვიდრე წამების არგამოყენების შესახებ დადებული პირობა.

წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიების შეფასებისას, მიმდებმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს მთხოვნელ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა მათ შორის, ამ ქვეყნის მიერ წარსულში გაცემული მსგავსი გარანტიების შესრულების ხარისხი, ისევე როგორც ამ დაპირებების შესრულების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების არსებობა.¹³⁵ ამ საკითხზე მოსაზრება გამოთქმული აქვს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელსაც თავის ანგარიშში, სადაც აღნიშნავს, რომ ასეთი [დიპლომატიური] გარანტიები არასანდო და არაეფექტურია წამებისგან და სასტიკი მოპყრობისგან დაცვის მხრივ: „ამგვარი გარანტიები ჩვეულებრივ, გაიცემა სწორედ ისეთი ქვეყნების მიერ, სადაც წამების პრაქტიკა სისტემატურად გამოიყენება. ადამიანის ასეთ ქვეყნებში დაბრუნების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმები არ წარმოადგენს

¹³⁵ შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), §36 და §44-55.

წამების აღკვეთის გარანტიას. დიპლომატიური გარანტიების შესრულება არ არის სამართლებრივად სავალდებულო, ამიტომ მათი დარღვევისთვის აღნიშნულ ქვეყანას არანაირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო იმ პირს, რომლის წამებისგან დაცვის პირობას დებდა ესა თუ ის სახელმწიფო, ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების არავითარი საშუალება არ აქვს. ამიტომ, სპეციალური მომხსენებლის აზრით, სახელმწიფოებმა არ უნდა განიხილონ დიპლომატიური დაპირებები წამებისგან ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის გარანტიებად, მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში, კონკრეტული პიროვნება წამების ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების მსხვერპლი შეიძლება გახდეს.¹³⁶ ამ მხრივ საინტერესო მსჯელობას ვხვდებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალშიც. მაგალითად, საქმეზე *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,¹³⁷ მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი ექსტრადიცია ინდოეთში ეროვნული უშიშროების დაცვის მოსაზრებების საფუძველზე, დაარღვევდა მის უფლებებს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, რადგან როგორც პოლიტიკურ აქტივისტს, მას ემუქრებოდა წამება. ამ საქმის მნიშვნელოვან ნაწილში სასამართლომ დაადასტურა, რომ არასწორი იქნებოდა რაიმე დაბალანსების გამოყენება ამგვარ გარემოებებში. კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს აბსოლუტურ დაცვას და ინდივიდის საქმიანობა, როგორც არასასურველი ან საშიშიც არ უნდა იყოს იგი, არ წარმოადგენს გასათვალისწინებელ არგუმენტს, შესაბამისად, სასამართლოს არ სჭირდებოდა იმ საფრთხის შეფასება, რასაც ბატონი ჩაჰალი უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას. ეს პრინციპი ხელახლა იქნა დადასტურებული დიდი პალატის მიერ საქმეზე, *საადი იტალიის წინააღმდეგ*,¹³⁸ სადაც აშკარად უარყვეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის, როგორც საქმეში ჩართული მესამე მხარის მოსაზრებები, რაც მიმართული იყო მე-3 მუხლით გათვალისწინებული აბსოლუტური დაცვის შესუსტებისკენ. შესაბამისად, სასამართლოსთვის უფლების არასწორ აღქმად ჩაითვადა პირის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მოსალოდნელი ზიანის რისკის იმ საფრთხესთან მიმართებით დაბალანსებაზე საუბარი, რასაც პირი უქმნიდა საზოგადოებას, თუ არ მოხდებოდა მისი ექსტრადიცია. ეს კატეგორიები დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს. მიმღები სახელმწიფოს „დიპლომატიური გარანტიები“, რომ ინდივიდი არ დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას, თუნდაც ეს გარანტიები კეთილსინდისიერად იყოს გაკეთებული, სასამართლოს მიერ ცალსახად არ უნდა

¹³⁶ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში „შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეისთვის“, U.N. Doc. A/60/316, §51, 2005 წლის 30 აგვისტო.

¹³⁷ *Chahal v The United Kingdom*, №22414/93, 1996 წლის 15 ნოემბერი.

¹³⁸ *Saadi v. Italy* [დიდი პალატა], №37201/06, ECHR 2008.

იქნას გათვალისწინებული. თუ ამგვარი გარანტიები არსებობს სასამართლო შეაფასებს, არის თუ არა საკმარისად სარწმუნო, რომ განმცხადებელი პრაქტიკულად იქნება დაცული კონვენციით აკრძალული მოპყრობის რისკისგან.¹³⁹ კერძოდ, საქმეში *საადი იტალიის წინააღმდეგ*, მომჩივანი მიიჩნევდა, რომ ტერორიზმში მონაწილეობის ბრალდების გამო მისი ექსტრადიციის ტუნისში დააყენებდა მას წამებისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხის წინაშე. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მტკიცებით, სასამართლოს აბსოლუტური მოთხოვნა, რომ თუ ინდივიდებს ემუქრებოდათ საზღვარგარეთ წამების საფრთხე, მათი გაძევება არ უნდა მომხდარიყო, ხელს უშლიდა ეჭვმიტანილი ტერორისტების გაძევებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მათი მოქალაქეების სიცოცხლეს. ის ამტკიცებდა, რომ ზღვარი უნდა გაველებულიყო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მიყენებულ არასათანადო მოპყრობასა და სხვა სახელმწიფოს მიერ მიყენებულ არასათანადო მოპყრობას შორის. ამ ბოლო შემთხვევაში, მომჩივნის უფლებები უნდა შეეფასებინათ მთელი საზოგადოების უფლებების საპირწონედ. ის ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო სასამართლოს მიდგომის ცვლილება ტერორიზმის საქმეებში, რათა სასამართლოს უფრო მეტი მაღალი მტკიცების სტრანდარტი გამოეყენებინა არასათანადო მოპყრობის რისკის დასადგენად. ეს არგუმენტები განმტკიცებულ იქნა იტალიის მთავრობის მიერ. თუმცა, დიდი პალატა არ დაეთანხმა ამ მოსაზრებებს. მან მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობა არ განსხვავდებოდა სხვა სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობისგან. მან აგრეთვე, არ გაიზიარა არგუმენტი, რომ ინდივიდის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები უნდა აეწონ-დაეწონათ საზოგადოების ინტერესებთან მიმართებით. მან დაადგინა, რომ მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტის შესახებ არგუმენტი შეუთავსებელი იყო მე-3 მუხლის აბსოლუტურ ხასიათთან. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს.¹⁴⁰

კვლევის ფარგლებში შესწავლილ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლო წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის რისკის შეფასებისას, გაითვალისწინა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, აგრეთვე, წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიები კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და წარმოშობის ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით.¹⁴¹

¹³⁹ ფილიპ ლინი, როგორ მიემართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (მესამე გამოცემა), 2013, გვ. 270.

¹⁴⁰ ლინი ფ., როგორ მიემართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (მესამე გამოცემა), 2013, გვ. 270.

¹⁴¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აგვისტოს განჩინება საქმეზე №33/816-16.

საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დროს თურქეთის მოქალაქემ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა თავშესაფარი. თუმცა, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიზანშეუწონლად მიიჩნია თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება.

საქმის მასალებით დადგენილ იქნა, რომ თურქეთის კომპეტენტურმა ორგანოებმა საქართველოს მიმართეს მკვლელობაში ბრალდებული პირის – ს.ფ-ს თურქეთში ექსტრადიციასთან დაკავშირებით და ამავე მოთხოვნაში მიუთითეს, რომ „ს.ფ-ს მიმართ არსებული ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული არ წარმოადგენს პოლიტიკურ ან სამხედრო დანაშაულს. ეჭვმიტანილს აქვს ნებისმიერი კანონიერი დაცვის უფლება, რომელსაც მას ანიჭებს საერთაშორისო ხელშეკრულებები და რომლის მონაწილესაც წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკა. თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს და იგი აღიარებს აღნიშნული ხელშეკრულების 34-ე მუხლით მის წინააღმდეგ ინდივიდუალური მიმართვის უფლებას. შესაბამისად, მსჯავრდებულს აქვს უფლება სასჯელის აღსრულების ეტაპზე, მის შესახებ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება გაასაჩივროს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.“

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ თურქეთის რესპუბლიკის უფლებამოსილი და უმაღლესი ორგანოებისაგან გამოთხოვილ დიპლომატიურ გარანტიებზე იმასთან დაკავშირებით, რომ თავშესაფრის მაძიებელი ექსტრადიციის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება ყველა კანონიერი უფლებით და არ განხორციელდება მისი უფლებების დარღვევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და საფუძვლიანად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მითითება, რომ არ არსებობდა აღნიშნული გარანტიების მხედველობაში არმიღების წინაპირობები და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სამინისტროს დასკვნა საფრთხის რეალურად არმიჩნევის თაობაზე. ამასთან, პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება *Case of Mamatkulov and Askarov v. Turkey*, განცხ. #46827/99 და 46951/99 გვ. 33), ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოების მიერ გარანტიების განსაზღვრა იმასთან დაკავშირებით, რომ პირი არ გახდება

კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების მსხვერპლი, არის საფუძველი იმისა, რომ საფრთხე რეალურად არ იქნას მიჩნეული.“ ხოლო, რაც შეეხება თავშესაფრის მაძიებლის მითითებას თურქეთის რესპუბლიკაში არსებულ ზოგად მდგომარეობასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებითაც, „ეს ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ დევნა და დევნის საფრთხე რეალურია კონკრეტულად მოსარჩელის მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტის მიხედვით (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება „შამაევი და 12 სხვა პირი რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ,“ განცხ. #36378/02, გვ. 99), წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ზოგად კონტექსტზე მითითება არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ მომჩივანთა პირად მდგომარეობას ემუქრებოდა საშიშროება, რომელიც შეიძლება განვიხილოთ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გამოიხატა, რომ ცუდი მოპყრობის შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა იქვე განმარტა, რომ ცუდი მოპყრობის უბრალო შესაძლებლობა სპეციალური მტკიცებულებების გარეშე, არ ნიშნავს მე-3 მუხლის დარღვევას, მით უმეტეს, როდესაც წარმოშობის სახელმწიფოსგან მიღებულია სპეციალური გარანტიები ასეთი შესაძლებლობის გამოსარიცხად.“

გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დასძინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიკვლია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, როგორიც არის Amnesty International, Freedom House, Human Rights Watch, BBC News და სხვა, სადაც აღნიშნულია, რომ თურქეთის რესპუბლიკაში სამართლიანობისა და განვითარების პარტია (თავშესაფრის მაძიებელი უთითებდა, რომ სწორედ აღნიშნული პარტიის აქტიური წევრი იყო) არის მმართველი, ე. წ. სახელისუფლებო პარტია. თურქეთის რესპუბლიკაში არსებობენ სხვადასხვა პარტიები და პარტიებს შორის ურთიერთობა და ოპონირება არის კონსტრუქციული და პოლიტიკურ ნიადაგზე რაიმე მნიშვნელოვან ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

ზემოაღნიშნულისა და საქმეში წარმოდგენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ თავშესაფრის მაძიებლის მიერ მითითებული გარემოებები „არ აკმაყოფილებს „ლტოლვილისა და პუმანიტარული სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციით დადგენილი ლტოლვილის ცნების განმსაზღვრელ ძირითად მოთხოვნას, კერძოდ, მასზე ვერ გავრცელდება აღნიშნული აქტების მოქმედება, სახეზე არ არის მის მიმართ დევნა, რომელიც გამოიხატება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების

შელახვაში. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში თავშესაფრის მინიჭების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ვერც ერთი არგუმენტი, რის საფუძველზეც ის დანაშაული, რომელიც მას ედება ბრალად, პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათისაა ან ის შეიძლება ჩათვალიყო დევნის მსხვერპლად.“

საქართველოს ეროვნული სასამართლოები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად, ხშირად მიმართავენ და ეყრდნობიან მთავრობათაშორისი ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ანგარიშებს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში:¹⁴²

თავშესაფრის მინიჭებას ითხოვდა ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე (მდედრობითი სქესის წარმომადგენელი), რომელსაც წარმოშობის ქვეყანაში ბრალად ედებოდა ცრუ მეწარმეობა, ყალბი საწარმოს შექმნა და მისი ხელმძღვანელობა, ასევე მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში.

განსახილველ საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს, სადაც შეფასებული იყო ყაზახეთის საპატიმრო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, კერძოდ: „Amnesty International-ის 2015-2016 წლების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ წამება და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტები კვლავ უცვლელად რჩებოდა ყაზახეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში.“

იმის გათვალისწინებით, რომ ყაზახეთის რესპუბლიკაში თავშესაფრის მაძიებლის მიმართ გაცემული იყო მისი დაპატიმრების ორდერი, ასევე ის ფაქტი, რომ მოსარჩელე იყო ორსულად და წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ინფორმაციით დგინდებოდა წამების ფაქტები ყაზახეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში, თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოკვლეული უნდა იყოს თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ მოსარჩელე წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებაროს წამებას, მაშინ როდესაც წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის თანახმად, თითქმის დადასტურებულია აღნიშნული შესაძლებლობა. გარდა ამისა,

¹⁴² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №3/7706-16.

ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს განმცხადებლის თავშესაფრის მინიჭება რამდენად შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების კუთხით და ამისათვის, უნდა იქნას გამოთხოვილი ინფორმაცია შესაბამისი სამსახურიდან.

როდესაც ხდება იმის დადგენა თუ რამდენად იმსახურებს თავშესაფრის მაძიებელი (რომლის ექსტრადიციაც მისი წარმოშობის ქვეყნის მიერ არის მოთხოვნილი) ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ, რას გამოექცა აღნიშნული პიროვნება: სამართლებრივ დევნას/სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის თუ დევნას. თუ დადგინდა, რომ აპლიკანტი მართლმსაჯულებას გამოექცა და არა დევნას, მაშინ იგი ვერ დააკმაყოფილებს 1951 წლის 1A (2) მუხლში მოცემული ლტოლვილის ცნების განსაზღვრებას (სტატუსის დადგენის კრიტერიუმები) და ამ შემთხვევაში, მისი თხოვნა ლტოლვილის სტატუსის მიღების შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებული.¹⁴³ აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და საკმაოდ სიღრმისეულად განიხილავენ საქართველოს ეროვნული სასამართლოებიც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში:¹⁴⁴

თავშესაფრის მინიჭებას ითხოვდა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც იძებნებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდებით. აღნიშნულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია (შემდგომში ეს პოზიცია სრულად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც), რომ მოსარჩელე ცდილობდა თავი აერიდებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით დასკვნის შედგენისას, უმთავრესია თავად დაინტერესებული პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაცია იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. განსახილველ საქმეში კი დადგინდა, რომ წარმოშობის ქვეყანაში დევნის განხორციელების შიშის არსებობის თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის განცხადებებს შორის არსებობდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები. ამასთან, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა, რომ *„დაზარალებულთა ოჯახის წევრების მხრიდან მოსარჩელის მიმართ შესაძლო საფრთხე არ შეიძლება განხილულ იყოს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონით და „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ იმგვარ საფრთხედ, რაც შესაძლებელს გახდის მისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი*

¹⁴³ სახელმძღვანელო „თავშესაფართან დაკავშირებული პროცესები,“ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), §56-60.

¹⁴⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №33/745-17.

გარემოებებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია შიში არ არის პოლიტიკური ხასიათის და მის წინააღმდეგ განხორციელებული რაიმე სახის დევნა დაზარალებულთა ოჯახის წევრების მხრიდან, შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ პირადი მოტივებით.“

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პირის ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავს საფუძვლიანი შიში, რაც მდგომარეობს არა მხოლოდ შესაბამისი პირის განწყობაში, არამედ პირის განწყობა გამყარებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით. ამდენად, „საფუძვლიანი შიში“ შედგება სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისგან. თავშესაფრის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს პირადად მას რატომ აქვს დევნის შიში. 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ან თავისუფლებისათვის საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო ყოველთვის წარმოადგენს დევნას. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნა განსხვავდება საერთო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად დანიშნული სასჯელისგან. ადამიანები, რომლებიც სამართლებრივ დევნას ან სასჯელს გაურბიან, როგორც წესი, არ ითვლებიან ლტოლვილებად. ზოგადი განმარტების თანახმად, ლტოლვილი უსამართლობის მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლია და არა პირი, რომელიც მართლმსაჯულებას გაურბის. განსახილველ საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერც ერთ ეტაპზე მოსარჩელე მხარემ ვერ მიუთითა მის მიმართ რაიმე სახის დევნის შემცველი ქმედებების განხორციელების შესახებ თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან და შესაბამისად, მის მიერ მითითებული გარემოებები არ შეიძლება შეფასდეს კონვენციურ დევნად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლო დაეთანხმა ადმინისტრაციულ ორგანოს არგუმენტაციას და მართებულად მიიჩნია სამინისტროს უარი მოსარჩელისათვის ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, ვინაიდან თავშესაფრის მაძიებელს არ გააჩნია ისეთი სახის ინდივიდუალური გარემოება, რომ ექსტრადირებისა და საპატიმრო პირობებში მოთავსების შემთხვევაში დადგეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკის ქვეშ, ხოლო სასჯელი, რომელიც დაბრუნების შემთხვევაში ემუქრება, არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სწორედ იქნა გამოკვლეული და შეფასებული მოსარჩელესთან მიმართებაში რაიმე სახის დევნის განხორციელებისა და მომავალში დევნის განხორციელების შიშის საფუძვლიანობის საკითხი.

ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლება შესაძლებელია სამართლებრივ დევნას კონკრეტული პირის მიმართ უკანონო დევნისთვის

იყენებდეს ან ექსტრადიციის მოთხოვნა ემსახურება ძებნილის უსამართლოდ დასჯის მიზანს. შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ძებნილს, რომლის მიმართაც კანონიერი დევნა ხორციელდება, შეიძლება ჰქონდეს საფუძვლიანი შიში, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში ან სხვა მიზეზების გამო იგი დევნის მსხვერპლი გახდება (მაგალითად, წამების რისკი წინასწარი დაკავების ეტაპზე). ასეთი გარემოებების არსებობისას, აპლიკანტი აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემული სტატუსის დადგენის კრიტერიუმებს, თუმცა, ამ დროს უნდა არსებობდეს კავშირი დევნასა და 1951 წლის კონვენციაში მოცემულ კრიტერიუმებს შორის.¹⁴⁵ ამ მხრივ საინტერესო იქნება განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე,¹⁴⁶ სადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური საფუძვლით დევნის საფრთხე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი, საკითხი სხვაგვარად შეაფასა და თავშესაფრის მაძიებლის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა:

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, თავშესაფრის მაძიებლები იყვნენ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები (ცოლ-ქმარი). ერთ-ერთი მოსარჩელის (მამრობითი სქესის წარმომადგენლის) განცხადებით, იგი წარმოშობის ქვეყანაში აქტიური პოლიტიკური საქმიანობით იყო დაკავებული.

განსახილველ საქმეში, პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა იმსჯელეს შემდეგნაირად: თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „*მოსარჩელეთა შიში ვერ იქნება შეფასებული ობიექტური საფუძვლის მქონედ. წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციით არ დასტურდება ორგანიზაციის (SGDF) დევნის ფაქტი, რომლის ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელიც იყო მოსარჩელე. ასევე, ESP-ის პარტია, რომლის ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენს ზემოაღნიშნული ორგანიზაცია, არ არის მოხსენიებული თურქეთში არსებული არალეგალური პარტიების სიაში.*“ შესაბამისად, ორგანიზაცია SGDF-ის ხელმძღვანელობა ვერ იქნა მიჩნეული შიშის ობიექტურ საფუძვლად. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ „*არ დასტურდება ის ფაქტიც, რომ ქ. სურუჯში აფეთქება სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულად განხორციელდა სოციალისტური ახალგაზრდობის ასოციაციის ორგანიზაცია SGDF-ის წევრთა გასანადგურებლად. ვინაიდან, აფეთქების შესახებ არსებული ინფორმაციით, აფეთქების ორგანიზატორებად ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ დაადანაშაულეს.*“ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ

¹⁴⁵ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, უნევა, 2008, გვ. 19.

¹⁴⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 დეკემბრის საქმეზე №33/1076-15.

განმარტა, რომ „მას არ გააჩნია საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მოსარჩელები თურქეთის რესპუბლიკაში დაბრუნებისას ძალადობის აქტების უშუალო რისკის ქვეშ დადგებიან და წარმოშობის ქვეყანა მათ სათანადო დაცვას ვერ უზრუნველყოფს.“

თავშესაფრის მაძიებლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სააპელაციო საჩივრის მიხედვით, აპელანტებს მიაჩნდათ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო თავად გამოეკვლია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური პარტიების დევნის ფაქტები და არ მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასკვნაში მითითებული გარემოებების სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახვა. ამასთან, თავშესაფრის მაძიებლების განმარტებით, თურქეთის რესპუბლიკაში სისტემური სახე აქვს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების დევნასა და შევიწროებას. ამის შესახებ საუბარია არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში, მათ შორისაა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, Human Rights Watch, Amnesty International და ა. შ.

გარდა ამისა, აპელანტი ა.ნ-ს განცხადებით, იგი თურქეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური ანგარიშსწორების მახინჯი პრაქტიკის არსებობიდან გამომდინარე გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის მსხვერპლი. როგორც სამინისტროში წარდგენილი და საჩივარზე თანდართული მასალებიდან ჩანს, აპელანტი დაკავებულ იქნა ტერორიზმის ბრალდებით, თუმცა მოგვიანებით, კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ის პასუხისმგებლოსგან გათავისუფლდა, თუმცა სააპელაციო საჩივარში ა.ნ-მ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოთხოვნის საფუძველზე იგი დააკავეს საქართველოში და ის დღემდე იმყოფება საექსტრადიციო პატიმრობაში. აღნიშნული გარემოება კი, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ აპელანტის მიმართ ისევ მიმდინარეობს დევნა და თურქეთისათვის მისი გადაცემის შემთხვევაში, ის დიდი ალბათობით გახდება პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ორგანიზაცია SGDF-ის და პარტია ESP-ის ხელმძღვანელობა (წევრობა) ვერ იქნება მიჩნეული შიშის ობიექტურ ფაქტორად, რამდენადაც მითითებული ორგანიზაცია და პარტია, თურქეთში რეგისტრირებულია ოფიციალურად და არ ითვლება არალეგალურ ორგანიზაციად (პარტიად).“ ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებები და მის მიერ გამოკვლეული და დადგენილი გარემოებები ატარებდა მკვეთრად წინააღმდეგობრივ შინაარსს. კერძოდ, დასკვნის საფუძველზე სამინისტრო სანდოდ მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი იყო

სოციალისტი ახალგაზრდობის ხელმძღვანელი და 2007-2009 წლებში დაკავებული იყო სწორედ ასოციაციის წევრობის გამო, თუმცა დასკვნის შემაჯამებელ ნაწილში აღნიშნავდა, რომ კონვენციური ნიშნით დევნა არ იკვეთებოდა, რამდენადაც ორგანიზაცია SGDF-ისა და პარტია ESP-ის აკრძალვისა და მათი წევრების დევნის ფაქტები არ დასტურდებოდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საკითხის სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში, უნდა მოეხდინა ყველა გარემოების სრულყოფილი გამოკვლევა და აღნიშნულის საფუძველზე მიეღო დასაბუთებული დასკვნა მოსარჩელეთა სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ პირდაპირ მიუთითა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ გამოეთხოვა და შეესწავლა ინფორმაცია, თუ როგორია იმ ორგანიზაციის რეალური სტატუსი, რომლის წევრებსაც აპელანტები მიეკუთვნებიან, ცნობილია თუ არა ის ტერორისტულ ორგანიზაციად და ამასთან, წარმოშობის ქვეყანაში ამ ორგანიზაციისათვის მინიჭებული სტატუსი ხომ არ ატარებს ფართო და გადაჭარბებულ მნიშვნელობას.

ასევე, სააპელაციო სასამართლომ კონვენციური ნიშნით დევნისა და წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მომდინარე საფრთხის გამორიცხვის მიზნით მიიჩნია, რომ უნდა დადგინდეს, რა მოტივითაა აღძრული სისხლის სამართლის საქმე აპელანტი ა.ნ-ს მიმართ (ექსტრადიციის თაობაზე მოთხოვნის საფუძველი), ხომ არ ხდება პირის ბრალდება იმავე დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ის გამართლებულია და უკავშირდება თუ არა ეს მის პოლიტიკურ საქმიანობას.

დაბოლოს, განსახილველ საქმეში, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ თქვა, რომ იმ პირობებში, თუ მოსარჩელები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციის წევრებს, რომელიც სარგებლობს ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსით და არის საფრთხის შემცველი ან/და მათი მხრიდან ჩადენილია არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული, აპელანტების სტატუსიდან გამორიცხვა უნდა მოხდეს კანონში მითითებული კონკრეტული საფუძველით და არა იმ გარემოებებზე მითითებით, რაც აღნიშნული იყო სადავო აქტში და რაც ცალსახად ეწინააღმდეგება თავად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს.

ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, ყველაზე მთავარი საკითხია იმის უზრუნველყოფა, რომ კონკრეტული პირის ექსტრადიციის მოთხოვნამ მას ხელი არ შეუშალოს თავშესაფრის მიღების პროცედურებში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ რომელიმე ქვეყანა კონკრეტული პირის ექსტრადიციას ითხოვს, არ შეიძლება გახდეს ამ პირის თავშესაფრის

მოთხოვნის განაცხადის უარყოფის მიზეზი. გარდა ამისა, თავშესაფრის განაცხადი არ უნდა ჩაითვალოს დაუსაბუთებლად ან უსაფუძვლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს ამ პირის ექსტრადიციის მოთხოვნა. იგივე პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როდესაც კონკრეტულ პირს თავშესაფრის განაცხადი მას შემდეგ შემოაქვს, რაც იგი მისი ექსტრადიციის მოთხოვნის შესახებ იგებს, რადგან ამ შემთხვევაში, მას ექსტრადიციის მომთხოვნ ქვეყანაში დევნის შიში შეიძლება გაუჩნდეს და შესაბამისად, მას შეიძლება მოუხდეს მიმღებ ქვეყანაში თავშესაფრის მიღება. ამ შემთხვევაში, თავშესაფრის განაცხადი ჩვეული პროცედურების მიხედვით უნდა იქნას განხილული, თუ არ არსებობს ამ განაცხადის უსაფუძვლობის აშკარა ნიშნები.¹⁴⁷

ამასთან, აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმა „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, შეამცირა გაძევების პროცედურაში მყოფი პირისა და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადები. კერძოდ, მოქმედი კანონით გაძევების პროცედურაში მყოფი პირის მიერ გაკეთებული საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილულ უნდა იქნას მისი რეგისტრაციიდან არაუგვიანეს, ერთი თვის ვადაში, ხოლო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებული საერთაშორისო დაცვაზე განცხადება – სამინისტროს მიერ საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღების დღიდან არაუგვიანეს, ერთი თვის ვადაში. აღნიშნული ცვლილება განპირობებული იქნა იმ გარემოებით, რომ პრაქტიკაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც პირი, რომლის მიმართაც განიხილებოდა ექსტრადიციის ან საქართველოდან გაძევების საკითხი, ბოროტად სარგებლობდა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების ხანგრძლივობით და ექსტრადიციის ან გაძევების პროცედურის ბოლო ეტაპზე ითხოვდა სტატუსის მინიჭებას. შესაბამისად, სახელმწიფო იწყებდა სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით დროში გაჭიანურებული სამართლებრივი პროცედურის აღსრულებას, პარალელურად კი, იძულებული იყო უზრუნველყო საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი პირის საპატიმრო დაწესებულებიდან, ხოლო გაძევებას დაქვემდებარებული პირის – დროებითი განთავსების ცენტრიდან გათავისუფლება. ამასთან, საკმაოდ ხშირი იყო გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა მიმალვის შემთხვევები, რის გამოც, თუ არ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება პირისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ, შეუძლებელი იქნებოდა ექსტრადიციის ან საქართველოდან გაძევების პროცედურის წარმატებით დასრულება. აღსანიშნავია, რომ საექსტრადიციო პროცედურის მიმდინარეობის

¹⁴⁷ სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება, უენევა, 2008, გვ. 50.

შემთხვევაში, ამგვარი დაბრკოლება სახელმწიფოს უზღუდავს შესაძლებლობას, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულება – კანონის დაცვით, სათანადო საფუძვლების არსებობისას, მოახდინოს მომთხოვნ სახელმწიფოში პირის ექსტრადიცია, ხოლო გაძევების პროცედურების მიმდინარეობისას, შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს სუვერენული უფლების – სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, პირის გაძევების განხორციელება.¹⁴⁸

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეების თანახმად, თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა უმრავლესობაში, სადაც ფიგურირებდა ექსტრადაციის შესახებ მოთხოვნა, სარჩელი არ დაკმაყოფილდა და თავშესაფრის მაძიებლებს უარი ეთქვათ საერთაშორისო დაცვაზე. მათ შორის, ერთ-ერთ საქმეში¹⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და აზერბაიჯანის მოქალაქეებს უარი უთხრა საერთაშორისო დაცვაზე. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ თავშესაფრის მაძიებლები აკმაყოფილებდნენ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს, თუმცა არსებობდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, მათი საქართველოში ყოფნა ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ინტერესებს. თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაცია არ შეიცავდა დასაბუთებას საფრთხის პოტენციური ხასიათის შესახებ, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, რა სახის საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა თავშესაფრის მიმცემ ქვეყანას, ასევე არ იყო გაანალიზებული საფრთხის სერიოზულობა და საერთოდ არ იყო დასაბუთებული ისეთი ელემენტი, როგორცაა პროპორციულობის მოთხოვნა. გარდა ამისა, სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ყურადღება გაამახვილა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციაზე, რომლის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არც ერთი სახელმწიფო არ გაასახლებს ან არ დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება, რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და თუ პოლიტიკური მრწამსის გამო. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 33 (1) მუხლი არ შეიძლება იქნას გამოყენებული იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ანგარიშგასაწვევი მიზეზების გამო საფრთხეს

¹⁴⁸ განმარტებითი ბარათი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120318>.

¹⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №33/2208-16.

უქმნის სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით ქვეყანას, თუმცა მიუხედავად ზემოთქმულისა, 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ ამოქმედდება, თუ ლტოლვილის გადაყვების შედეგად არსებობს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის რეალური რისკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სადავო გადაწყვეტილების მიღების დროს, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ ყოფილა გამოკვლეული ზემოაღნიშნული გარემოებები და სათანადოდ შეფასებული, მით უფრო მაშინ, როდესაც თავად ადმინისტრაციულმა ორგანომ სანდოდ მიიჩნია მოსარჩელის მიერ მითითებული ყველა ინფორმაცია და წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ცნობებით მისთვის ნათელი გახდა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაბრუნების შემთხვევაში, მოსარჩელე დიდი ალბათობით დადგებოდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკის ქვეშ. ასევე, მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამინისტრომ მიიჩნია, რომ თავშესაფრის მაძიებელი, მის მიერ განხორციელებული პოლიტიკური ქმედებების ნიადაგზე, ვერ შეძლებდა ესარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ხოლო საპატიმრო პირობებში აღმოჩენის შემთხვევაში, მაღალი ალბათობით დაირღვეოდა მისი უფლებები. გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, შესაძლებელი იყო თავშესაფრის მაძიებელი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში გამხდარიყო დევნის ობიექტი პოლიტიკური ნიშნით. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელეებს უნდა მინიჭებოდათ ლტოლვილის სტატუსი, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. კერძოდ, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამინისტროსათვის და საქალაქო სასამართლოსათვის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიწოდებული ინფორმაციის შემდგომ, შესაბამის ორგანოს არ შეუწყვეტია თავშესაფრის მაძიებლის მიმართ დამატებითი მასალების მოპოვება, მოკვლევა და დამუშავება. დეპარტამენტის მიერ შეგროვებულ იქნა დამატებით არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომლის გაცნობის საფუძველზეც, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეების საქართველოში ყოფნა მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ინტერესებს. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ „*ვინაიდან საკითხი ეხება სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს და თავშესაფრის მაძიებლების საქართველოში ყოფნა თავისი საქმიანობით, ცხოვრების წესით, სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფო ინტერესებს, რადგან როდესაც საუბარია სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე – მასში მოიაზრება საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მათი უფლებები და თავისუფლებები.*“ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე ინსტანციის სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ

უპირატესობა მინიჭებოდა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას მოწინააღმდეგე მხარეთა ინდივიდუალურ ინტერესებთან შედარებით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით აღნიშნა, რომ სადავო აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული იქნა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი, პალატამ განმარტა, რომ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ „ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს და ახორციელებს საჯარო ინტერესებს, თავის საქმიანობაში უნდა აბალანსებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს და რომელიმე მათგანს გაუმართლებელ პრივილეგიას არ უნდა ანიჭებდეს. მიუხედავად პირის კანონით დაცული ინტერესის არსებობისა, სახეზეა სახელმწიფოებრივი მიზანი და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ინტერესი, რაც პალატის აზრით, გამოირიცხავს თავშესაფრის მაძიებლების განცხადების დაკმაყოფილებას, მათთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე.“¹⁵⁰

გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ეროვნული სასამართლოები თავშესაფრის მაძიებლების წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, მათ მიმართ შესაძლო წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის რისკის შეფასებისას, საქმეში არსებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, ცალსახად ითვალისწინებენ (ენდობიან) ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემულ დიპლომატიურ გარანტიებს. აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტიც, რომ თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებში, სადაც ფიგურირებდა დიპლომატიური გარანტიები, არც ერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თავშესაფრის მაძიებლებს უარი ეთქვათ ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

რეკომენდაციები:

- საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფ პირთა სარჩელების განხილვისას, თავშესაფრის მინიჭების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია სასამართლოებმა სიღრმისეულად გამოიკვლიონ, რა მიზანს უკავშირდება იგი: მართლმსაჯულების თავიდან არიდებას, თუ რეალური დევნიდან თავის დაცვას. ამასთან, სიღრმისეულად უნდა შეფასდეს არსებობს თუ არა რისკი, რომ განმცხადებელი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას დაექვემდებარება წამებას, ან/და სხვა ნებისმიერ არაადამიანურ მოპყრობას;

¹⁵⁰ იქვე.

- როდესაც თავშესაფრის მაძიებლებისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი ხდება შესაბამისი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც არსებობს საფუძველიანი ვარაუდი, რომ განმცხადებლების საქართველოში ყოფნა მნიშვნელოვანი გარემოებების გამო ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, მაშინ სასურველია სასამართლო გადაწყვეტილებებში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად აისახოს მსჯელობა კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობასთან დაკავშირებით;
- თავშესაფრის საკითხის გადაწყვეტისას, უმჯობესი იქნება, სასამართლოები ცალსახად არ ეყრდნობოდნენ საქმეში წარმოდგენილ დიპლომატიურ გარანტიებს. სასურველია, მათი სანდოობა შეფასდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და წარმოშობის ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით.

დასკვნა

საქართველოში თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლეს ენიჭება ფუნდამენტური როლი – განმარტოს ეროვნული კანონმდებლობა ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ სიღრმისეულად იქნა შესწავლილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ბოლო წლებში მიღებული გადაწყვეტილებები საერთაშორისო დაცვის შესახებ. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკა გააანალიზდა თავშესაფრის სფეროში მოქმედი საერთაშორისოსამართლებრივი აქტების, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების, ევროკავშირის დირექტივებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგულაციური პრეცედენტული სამართლის ჭრილში.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ყოველწლიურად იზრდება ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ საერთაშორისო დაცვის შესახებ სარჩელების (სააპელაციო საჩივრების) განხილვის რაოდენობრივი მაჩვენებელი და აღნიშნულის კვალდაკვალ იზრდება იმ პირთა რაოდენობაც, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ საერთაშორისო დაცვაზე და ასევე, იმ პირთა რაოდენობაც, რომლებსაც მიენიჭათ ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი გადაწყვეტილებების თანახმად, სასამართლოს წინაშე საქართველოში მეოფი თავშესაფრის მაძიებლები ძირითადად აღნიშნავდნენ, რომ მათ გააჩნდათ საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ისინი წარმოშობის ქვეყანაში დაექვემდებარებოდნენ დევნას რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების გამო.

თავშესაფრის მაძიებლის სანდოობის შეფასებისას, საქართველოს ეროვნული სასამართლოები ობიექტურობის უზრუნველყოფისა და მთავარ ელემენტებზე ყურადღების გამახვილების მიზნით ძირითადად იკვლევდნენ შემდეგ საკითხებს: თუ რამდენად თანმიმდევრული და დამაჯერებელია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განაცხადი თავის თავში და გარე ფაქტორებთან; წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას (თუმცა, სასურველია სასამართლო თავის მხრივ იყოს მეტად ჩართული წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში და არ იყოს დიდ წილად დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც თავის მხრივ მხარეს წარმოადგენს სასამართლოში); წარსულში განცდილი დევნის ან არასათანადო მოპყრობის თაობაზე არსებულ მტკიცებულებებს; რამდენად ლოგიკურად და ობიექტურად ასაბუთებს ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლის მონაცემების მოწოდების არგაზიარების, დოკუმენტების სანდოდ აღიარებისა თუ სანდოდ აღიარებაზე უარის თქმის შესახებ თავის გადაწყვეტილებას; მოწვევადი განმცხადებლების მარგინალიზებულ მდგომარეობას და ასევე მიეცა თუ არა განმცხადებელს განაცხადის, შესაბამისი მტკიცებულებების სამართლიანად და გონივრულად წარდგენის შესაძლებლობა.

ამასთან, არაერთ საქმეში ეროვნულ სასამართლოებს მოუწიათ შეეფასებინათ, თუ რამდენად რელევანტური და გონივრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმცხადებლებისათვის შეთავაზებული შიდა გადაადგილების ალტერნატივა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს წარმოშობის ქვეყნის შიგნით, გარკვეულ ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობას, სადაც თავშესაფრის მაძიებლებს არ ექნებათ დევნის საფუძვლიანი შიში ან არ დადგებიან სერიოზული ზიანის საფრთხის ქვეშ. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოები ხშირად ეყრდნობიან კონკრეტულ რეგიონთან მიმართებით გაეროს უმაღლესი კომისარიატის მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს და იმ საქმეებში, სადაც სამინისტრო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლად უთითებდა შიდა გადაადგილების ალტერნატივას, სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებდა დამატებით სრულყოფილად გამოეკვლია წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და შიდა გადაადგილების ალტერნატივად მიჩნეულ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებლის უსაფრთხოდ დასახლების შესაძლებლობა.

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ასევე ცხადყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა თავშესაფრის მაძიებლებს, სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველით, ცალსახად უარს არ ეუბნებიან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნაზე. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და თავშესაფრის მაძიებლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მის მიმართ მოსალოდნელი დევნის საფრთხეების გათვალისწინებით, ორივე ინსტანციის სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით მსჯელობს შემდეგზე: სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესი უფრო მაღლა უნდა იყოს დაყენებული, თუ თავშესაფრის მაძიებლის ინტერესი – იცხოვროს უსაფრთხო გარემოში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ არის განმარტებული „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლით გათვალისწინებული თუ რომელი საფუძველი იკვეთებოდა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაში, რითიც მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, სრულად გაეცნოს გადაწყვეტილების მიღების საფუძველებს და წარადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტებანი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი გადაწყვეტილებების თანახმად, ეროვნული სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა უმრავლესობაში, სადაც ფიგურირებდა ექსტრადაციის შესახებ მოთხოვნა, სასარჩელო მოთხოვნა – თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა და თავშესაფრის მაძიებლებს უარი ეთქვათ საერთაშორისო დაცვაზე.

გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ეროვნული სასამართლოები თავშესაფრის მაძიებლების წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, მათ მიმართ შესაძლო წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის რისკის შეფასებისას, საქმეში არსებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, ცალსახად ითვალისწინებენ (ენდობიან) ექსტრადაციის მომთხოვნი სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემულ დიპლომატიურ გარანტიებს. აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტიც, რომ თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებში, რომლებშიც ფიგურირებდა დიპლომატიური გარანტიები, არცერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თავშესაფრის მაძიებლებს უარი ეთქვათ ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოები თავშესაფრის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას ცდილობენ გაითვალისწინონ საერთაშორისო სტანდარტები.

კერძოდ, მათ გადაწყვეტილებებში აქტიურად გხვდება 1951 წლის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციისა და მისი დამატებით ოქმის დებულებები. ასევე, ეროვნული სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს უმეტესწილად, მოიხმობენ საექსტრადიციო საქმეებში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით), ამასთან, იმ საქმეებში, სადაც [ეროვნული] სასამართლო არ აკმაყოფილებს თავშესაფრის მაძიებლის მოთხოვნას თავშესაფრის მინიჭების თაობაზე, ქვეყნის უსაფრთხოების საფუძველით. ამ შემთხვევაში, ეროვნულ სასამართლოს გადაწყვეტილებებში გხვდება სტრასბურგის გადაწყვეტილებებიდან იმ პარაგრაფების ციტირება, რომლითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, ეროვნული უსაფრთხოების უპირატეს ინტერესს აპლიკანტის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით. დამატებით, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ძირითადად, მე-3, მე-6 და მე-8 მუხლები) გარდა, თბილისის სააპელაციო სასამართლო ხშირად მოიხმობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (მე-14 მუხლი).

კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლენილი პოზიტიური ტენდენციებისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების გათვალისწინებით, თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებზე სამართალწარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოების მიზნით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით, კვლევაში შემოთავაზებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმეებზე ეროვნული სასამართლოების მიდგომა ხშირ შემთხვევაში, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ყოველწლიურად მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის განზოგადება;
- ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, მიზანშეწონილია სასამართლოებმა იხელმძღვანელონ რეგულაციური საერთაშორისო აქტებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკით;¹⁵¹
- ქმედების დევნად დაკვალიფიცირებისთვის გამოყენებულ უნდა იქნას ე. წ. „საკმარისი სიმძიმის ტესტი“;

¹⁵¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქართულ ენაზე უკვე ხელმისაწვდომია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების ელექტრონული საძიებო პროგრამის (HUDOC) ქართულ ანალოგზე.
 იხ.: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22documentcollectionid%22%3A%5B%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%5D%2C%22language%22%3A%22ka%22%7D> დამატებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი მოსამართლეთა მომართვის საფუძველზე, კონკრეტულად, თემატურად მოიძიებს და თარგმნის სტრასბურგის სასამართლოს რეგულაციურ პრაქტიკას.

- გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმის გამორკვევას, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი კონვენციაში მოხსენიებული დევნის ხუთი საფუძვლიდან ერთ ან მეტ საფუძველსა და იმ დევნის აქტს (აქტებს) შორის, რომელზედაც განმცხადებელი მიუთითებს;
- სასურველია, სასამართლო თავის მხრივ, ჩართული იყოს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში და არ იყოს დიდწილად დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც მხარეს წარმოადგენს სასამართლოში;
- საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფ პირთა სარჩელების განხილვისას, მნიშვნელოვანია სასამართლოებმა, თავშესაფრის მინიჭების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებისას, სიღრმისეულად გამოიკვლიონ, რა მიზანს უკავშირდება იგი – მართლმსაჯულების თავიდან არიდებას, თუ რეალური დევნიდან დაცვას. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, არსებობს თუ არა რისკი იმისა, რომ განმცხადებელი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას, დაექვემდებარება წამებას, ან/და სხვა ნებისმიერ არაადამიანურ მოპყრობას;
- უმჯობესი იქნება, სასამართლოებმა ცალსახად არ გაითვალისწინონ და არ დაეყრდნონ საქმეში წარმოდგენილ დიპლომატიურ გარანტიებს. სასურველია, შეაფასონ მათი სანდოობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, წარმოშობის ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით;
- თავშესაფრის მაძიებლებისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი, როდესაც ხდება ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ განმცხადებლების საქართველოში ყოფნა მნიშვნელოვანი გარემოებების გამო ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, მაშინ სასურველია, სასამართლო გადაწყვეტილებებში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად აისახოს მსჯელობა კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობასთან დაკავშირებით;
- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა შიდა გადაადგილების ალტერნატივის შეფასება მოახდინონ რელევანტურობისა და გონივრულობის ტესტის გამოყენებით;
- მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველით თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებში თუ მიეთითება ზოგადად, პირის რასთან კავშირს ეხება გასაიდუმლოებული ინფორმაცია (მაგალითად, ტერორისტულ ან/და

- ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან კავშირს, სხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან კავშირს თუ სხვა);
- გაგრძელდეს სატრენინგო აქტივობები მოსამართლეებისა და თანაშემწეებისათვის ღტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე.